

ღალი ღაზარაშვილი

სოლიდარული  
პასუხისმგებლობის  
საზოგადოება

ნაშრომი ეძღვნება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საწარმოს – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების გამოკვლევას. ნაშრომში გაშუქებულია საზოგადოების სამართლებრივი ფორმის თავისებურებანი, მთელი რიგი განსხვავებანი შეზღუდული პასუხისმგებლობის, სააქციო, კომანდიტური საზოგადოებებისაგან, გაანალიზებულია საკორპორაციო სამართლის სხვადასხვა პრობლემები. ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს როგორც მეცნიერი-იურისტებს, ასევე პრაქტიკოსებს, სტუდენტებსა და საკორპორაციო სამართლის საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირებს.

რედაქტორი: ბესარიონ ზოიძე  
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გამოსცემის სახელი: იურიდიული ფაკულტეტი

„ზონა კაუზა“

თბილისი, 2003 წ.

© „ზონა კაუზა“

© დ. . . . . აშვილი

ISBN 99928-123-9-9

## წ ი ნ ა თ ქ მ ა

საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესმა განაპირობა ახალი სამართლებრივი სივრცის დამკვიდრება, რაც ფუნდამენტურად შეეხო კერძო სამართლის დარგს. ამ სფეროში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის მიღებამ განსაზღვრა თანამედროვე ქართული კერძო სამართლის განვითარების გზა – საქართველომ უარი თქვა კერძო სამართლის დუალისტურ კონცეფციაზე და აირჩია სამოქალაქო კოდექსისა და სპეციალური კანონების საფუძველზე კერძო სამართლის ერთიანი მოწესრიგების თანამედროვე მიმართულება. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საკორპორაციო სამართლის განვითარებას. კანონმა განამტკიცა სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, რომელთა არსებობაც საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომი ეხება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც შესწავლილია მისი ისტორიული და თანამედროვე სამართლებრივი მდგომარეობის გამოკვლევის გზით, მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნების საკორპორაციო სამართლის გამოცდილებაზე დაყრდნობით. ნაშრომში განხილული პრობლემა აქტუალურია საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით.

აღნიშნული ნაშრომის შექმნა და გამოქვეყნება ღიდად განაპირობა იმ ადამიანების მხარდაჭერამ, რომელთა მიმართ მსურს

გულწრფელი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო. მადლობას ვუძღვნი პროფესორ ბატონ ბესარიონ ზოიძეს, რომლის მეცნიერული ხელმძღვანელობის გარეშეც ნაშრომში განხილული პრობლემის კვლევა შეუძლებელი იქნებოდა. მადლიერებას გამოვხატავ პროფესორ ბატონ ლადო ჭანტურიას მიმართ ნაშრომის ირგვლივ გამოთქმული საყურადღებო შენიშვნებისათვის, ასევე მისი შესანიშნავი ლექციების კურსისათვის, რომელიც დიდად დამეხმარა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი ნორმებისა და, ზოგადად, ქართული საკორპორაციო სამართლის პრობლემების სათანადოდ გააზრებაში. არც ჩემი მეგობრის, ნანა ჭიჭილეიშვილის მიერ გაწეული დახმარების დავიწყება შემიძლია ნაშრომის საბოლოო სახით სრულყოფაში; მადლობას მოვახსენებ ქალბატონ თინათინ ქოქრაშვილს, რომელმაც იზრუნა წიგნის სტილური დახვეწისათვის. მადლობელი ვარ ყველასი, ვისი დახმარებითაც შევძელი ამ ნაშრომის შექმნა და გამოცემა.

ლალი ლაზარაშვილი

## რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

სიამოვნებით მსურს აღვნიშნო, რომ საქართველოში სერიოზული საძიკველები ჩაეყარა საკორპორაციო სამართლის შესწავლა-განვითარებას. 1994 წლის მეწარმეთა კანონი ხალხმა ისევე შეიყვარა, როგორც სამოქალაქო კოდექსი. დღემდე მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებიც შევიდა, რითაც იგი კიდევ უფრო მოერგო თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის კანონებს. ამ ხნის მანძილზე სერიოზულად წინ წაიწია საკორპორაციო სამართლის კვლავამ. საკანდიდატო დისერტაცია არ დაცულა მხოლოდ ინდივიდუალური საწარმოს, კომანდიტური საზოგადოებისა და კოოპერატივის შესახებ. წარმოდგენილი მონოგრაფიის ავტორს – ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარ ლალი ლაზარაშვილს პირველად ხვდა წილად 1998 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაეცვა საკორპორაციო სამართალში, სწორედ რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე. ამ საკითხებით ავტორის დაინტერესება იმანაც განაპირობა, რომ რატომღაც სამეწარმეო ეს ფორმა ზოგიერთების მიერ უპერსპექტივოდ იყო მიჩნეული. პრაქტიკულად შესწავლამ მაშინვე აჩვენა, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას სერიოზულად გაედგა ფესვები ჩვენს ცხოვრებაში. ყოველივე ეს მისი ბევრი იმ ნიშან-თვისებით იყო განპირობებული, რაც ადამიანებს უადვილებს მეწარმეობის ამ ფორმით წარმართვას. ამიტომაცაა, რომ საზოგადოების ამ ტიპს იცნობს როგორც საერთო, ისე – კონტინენტური ევროპის სამართალი.

ახალგაზრდა მკვლევარს მეტად სერიოზული სამუშაო ჩაუტარებია. იგი გაცნობია არა მარტო ქართული და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების დოქტრინის მიღწევებს, არამედ ევროპულ სამართალშიც კარგად ჩაუხედია. შედეგიც სახეზეა, ჩვენს წინაშეა დასრულებული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც სოლიდარული

პასუხისმგებლობის საზოგადოების თითქმის ყველა არსებითი საკითხია გამოკვლეული.

ამიტომაც, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ წიგნი უეჭველად საინტერესო იქნება როგორც თეორიული, ისე – პრაქტიკული იურის-პრუდენციით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

იმედს გამოვთქვამ, რომ ავტორი კვლავაც საინტერესო გამოკვლევებით უპასუხებს თანამედროვე კერძო სამართლის მოთხოვნებს.

ბესარიონ ზოიძე

## **P r e f a c e**

The process of formation of the independent Georgian State gave way to the creation of a new legal space, which had a fundamental effect upon the field of the private law.

Among various legislative changes in the sphere of private law, the Law on Entrepreneurs of October 28, 1994, holds one of the most relevant places in the field. The adoption of the Law determined the direction of the development of the modern Georgian private law, as Georgia rejected the dualistic concept of the private law and chose the unified legislation based upon the Civil Code and special legal acts, by that means corresponding to the modern tendency of the private law development. Besides, it is also significant, that the adoption of the Law on Entrepreneurs, created a basis for the promotion of the modern corporate law of Georgia as a whole. The Law provides legal forms and frameworks of the entities participating in the commercial activities, which are vital for the existence and functioning of the market economy based society.

The present work refers to the general Partnership - one of the forms of entrepreneurship regulated by the Law on Entrepreneurs, which fits small and middle business organization. The analysis of Partnership in this book are based on the study of the legal regulation of the entity in Georgia, at the same time taking into account some valuable solutions, and models found in the experience of the Western European states in the field of corporate law. The study of the framework mentioned above will be definitely relevant for assistance and development of small and middle business in Georgia.

I would like to express my sincere appreciation and gratitude

to the persons who have assisted me in the preparation and publishing of this work. I would like to thank Professor Bessarion Zoidze, whose scientific supervision made it possible for me to handle the study of the problem presented. I express my gratitude to Professor Lado Chanturia for his valuable remarks around this research. His excellent lectures significantly helped me to understand innovations in the Law on Entrepreneurs and Georgian corporate law in general. I also can not forget the support of my friend Nana Chichileishvili in the final development of this book. I would also like to thank Mrs. Tinatin Cocrashvili for putting efforts in the stylistic perfection of the book. I am grateful and appreciate support of all other people who have participated in any way and assisted me in preparing and publishing of the book.

**Lali Lazarashvili**



# შინაარსი

## თავი პირველი

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება, სამართლებრივი ბუნება, მნიშვნელობა .....	14
§1. ზოგადი შესავალი .....	14
§2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება .....	16
<i>I. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების საკითხი იურიდიულ მეცნიერებაში .....</i>	<i>16</i>
<i>II. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და ძირითადი ნიშნები „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით .....</i>	<i>22</i>
§3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ისტორიული წანამძღვრები .....	34
§4. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკანონმდებლო რეგულირების ისტორიული მიმოხილვა ქართული კანონმდებლობის მიხედვით .....	43
<i>I. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით .....</i>	<i>44</i>
<i>II. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიხედვით .....</i>	<i>54</i>
§5. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – პერსონალური საზოგადოება .....	61
§6. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – იურიდიული პირი .....	68
§7. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პრაქტიკული მნიშვნელობა .....	75

## თავი მეორე

### სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების

შექმნა .....	79
§1. სადამფუძნებლო დოკუმენტები .....	79
§2. რეგისტრაცია .....	85

## თავი მესამე

შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები .....	93
§1. ზოგადი მიმოხილვა .....	93
§2. ხელმძღვანელობა .....	94
I. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირები .....	94
II. ხელმძღვანელობის ფორმები .....	97
III. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვა .....	99
IV. ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა .....	101
§3. პარტნიორთა კრება .....	103
§4. ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოების კონტროლის უფლება .....	107
§5. კონკურენციის აკრძალვა .....	108
§6. მოგება და ზარალი .....	113

## თავი მეოთხე

სამართლებრივი ურთიერთობები მესამე პირებთან .....	122
§1. ზოგადი მიმოხილვა .....	122
§2. წარმომადგენლობა .....	122
I. წარმომადგენლობის ფორმები .....	124
II. წარმომადგენლობა – შეუზღუდავი უფლებამოსილება .....	125
III. წარმომადგენლის პასუხისმგებლობა .....	127

§3. პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებზე .....	128
I. პასუხისმგებლობის საფუძვლები .....	130
II. პასუხისმგებლობის შინაარსი .....	131
III. პარტნიორის პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები .....	140

### თავი მეხუთე

ცვლილებები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობაში .....	143
---	-----

§1. ზოგადი მიმოხილვა .....	143
----------------------------	-----

§2. წილი კაპიტალის გასხვისება .....	146
-------------------------------------	-----

§3. პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან .....	149
--	-----

§4. პარტნიორის გარიცხვა .....	153
-------------------------------	-----

I. პარტნიორის გარიცხვის ზოგადი წესი .....	154
---	-----

II. პარტნიორის გარიცხვის სპეციალური შემთხვევა .....	155
---	-----

§5. პარტნიორის გარდაცვალება .....	160
-----------------------------------	-----

I. უმკვიდრო ქონების საკითხი .....	161
-----------------------------------	-----

II. ურთიერთობა მემკვიდრეებთან .....	162
-------------------------------------	-----

### თავი მეექვსე

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია .....	167
--	-----

§1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძვლები .....	167
---	-----

§ 2. ლიკვიდაცია .....	171
-----------------------	-----

I. ლიკვიდაციის პროცესი .....	171
------------------------------	-----

II. ლიკვიდაციის წესი .....	173
----------------------------	-----

III. საზოგადოების ქონების განაწილება .....	176
--	-----

§3. რეორგანიზაცია ..... 179

*I. გარდაქმნა ..... 179*

*II. შერწყმა ..... 181*

*III გაყოფა ..... 183*

ნაშრომში დამოწმებული ლიტერატურა ..... 185

## თავი პირველი

# სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება, სამართლებრივი ბუნება, მნიშვნელობა

### §1. ზოგადი შესავალი

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, რომლის პარტნიორები უშუალოდ მონაწილეობენ საზოგადოების საქმიანობაში და საზოგადოების კრედიტორების წინაშე საკუთარი ქონებით სოლიდარულად აგებენ პასუხს. აღნიშნული საზოგადოების სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს 1994 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტს.<sup>1</sup>

სპს-ის სამართლებრივ ფორმას იცნობს როგორც კონტინენტური ევროპის, ისე – საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც საზოგადოება სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება. მაგალითად, გერმანიაში სპს-ს არეგულირებს სავაჭრო კოდექსი, რომლის მიხედვით საზოგადოების სახელწოდებაა ღია სავაჭრო საზოგადოება (Offene Handelsgesellschaft), რაც მიანიშნებს პასუხისმგებლობის ხასიათზე ამ საზოგადოებაში, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის დროს საზოგადოების კრედიტორებისათვის ყველა პარტნიორი არის ღია, ხელმისაწვდომი; საფრანგეთში სპს-ის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სავაჭრო კოდექსსა და სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ 1966 წლის 24 ივლისის კანონში, ხოლო საზოგადოების სახელწოდება – Societe en nom collectif – ყურადღებას

---

<sup>1</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21-22, მუხ.455.

ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პარტნიორები ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ახორციელებენ საზოგადოების საქმიანობას;<sup>2</sup> შედეგითში სპს-ის სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს სავაჭრო და არასავაჭრო ამხანაგობათა შესახებ 1980 წლის კანონი, ხოლო საზოგადოების სახელწოდება – Handelsbolag – მიანიშნებს, რომ საზოგადოება იქმნება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით; ამხანაგობათა შესახებ ინგლისის 1890 წლის კანონი, ისევე როგორც აშშ-ის ერთიანი კანონი ამხანაგობათა შესახებ, ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებაში პარტნიორთა ერთობლივ საქმიანობაზე და საზოგადოებას უწოდებს Partnership; რუსეთში სპს-ის სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო საზოგადოების სახელწოდება – Полное хозяйственное товарищество – აქცენტრებულია იმაზე, რომ მასში აისახოს საზოგადოების ფორმა.<sup>3</sup> რაც შეეხება საზოგადოების ქართულ სახელწოდებას, მასში აღბეჭდილია პასუხისმგებლობის შინაარსის ძირითადი ელემენტი,<sup>4</sup> იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების სამართლებრივი ფორმის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია საზოგადოების კრედიტორების წინაშე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა. ასეთი სახელწოდებით სპს-ს არ იცნობს რომელიმე სხვა ქვეყნის კანონმდებლობა.

---

<sup>2</sup> А. И. Каминка, Очерки торгового права, С-ПТ., 1911, стр.13.

<sup>3</sup> იქვე, გვ.14.

<sup>4</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, შესამე გამოცემა, თბილისი, 2002, გვ.16.

## §2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება

### *I. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების საკითხი იურიდიულ მეცნიერებაში*

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების საკითხის კვლევისას მეცნიერთა ერთი ნაწილი ამოსავალ წერტილად მიიჩნევს საზოგადოების კანონისმიერ განსაზღვრებას. გერმანელი მეცნიერები გ. ჰუკი<sup>5</sup> და ფ. კუბლერი თავიანთ ნაშრომებში საკორპორაციო სამართლის შესახებ სპს-ის არსებით ნიშნებს აყალიბებენ გერმანიის სავაჭრო კოდექსზე დაყრდნობით. ამ კოდექსის შესაბამისად ღია სავაჭრო საზოგადოების მიზანია სავაჭრო საქმიანობის განხორციელება ერთიანი საფირმო სახელწოდებით, სადაც პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებები-სათვის კრედიტორების წინაშე უშუალოდ და შეუზღუდავად არიან პასუხისმგებლები (§105). აღნიშნულ განსაზღვრებაზე დაყრდნობით გერმანელი ავტორები გამოყოფენ ღია სავაჭრო საზოგადოების შემდეგ ძირითად ნიშნებს:

- ა. სავაჭრო საქმიანობის განხორციელება;
- ბ. ერთიანი საფირმო სახელწოდება;
- გ. საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების პარტნიორთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის არსებობა.<sup>5</sup>

ამხანაგობათა შესახებ ლორდი ლინდლეის მონუმენტური გამოკვლევაში სპს-ის ცნების საკითხი გამორკვეულია ამხანაგობათა შესახებ ინგლისის კანონში მოცემული ზოგადი ცნების საფუძველზე,

---

<sup>5</sup> Hueck Götz, Gesellschaftsrecht. München, 1991, S.85-87; Kübler Friedrich, Gesellschaftsrecht, Heidelberg, 1990, S.65-66.

რომლის თანახმად ამხანაგობა არის ურთიერთობა რამდენიმე პირს შორის მოგების მისაღებად კომერციული საქმიანობის გახორციელების მიზნით. აღნიშნული ცნების გაფართოების შედეგად ნაშრომში ჩამოყალიბებულია სპს-ის შემდეგი ძირითადი ნიშნები:

ა. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება;

ბ. მოგების მიღების მიზანი;

გ. ორი ან მეტი პირის მონაწილეობა;

დ. სახელშეკრულებო ურთიერთობა პარტნიორთა შორის;

ე. საზოგადოების ვალდებულებებზე ყოველი პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. ამასთან, ეს უკანასკნელი ნიშანი სპს-ის არსებით თავისებურებად განიხილება.<sup>4</sup>

საყურადღებოა სხვა მეცნიერთა მოსაზრებებიც, რომლებიც საკუთარი შეხედულებებისამებრ აყალიბებენ სპს-ის თეორიულ ცნებას და მის ძირითად მახასიათებელ ნიშნებს. ამასთან, რიგ შემთხვევაში სპს განსაზღვრულია პოზიტიური, სხვა შემთხვევაში – ნეგატიური სახით. ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ განსაზღვრება, რომლის მიხედვით სპს ისეთი საზოგადოებაა, რომელიც არ არის სააქციო ან კომანდიტური საზოგადოება.<sup>5</sup> ამგვარ განსაზღვრებას. თავის მხრივ, განაპირობებდა შეხედულება, რომ სტრუქტურული სიმარტივის გამო სპს-ს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ ახასიათებს რაიმე სპეციფიკური ნიშნები.<sup>6</sup> სპს-ის ასეთი გაგება, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ, ვინაიდან სპს, სტრუქტურული

---

<sup>4</sup> Lindley, On the Law of Partnership, fourteenth edition by Ernest H. Scamell and R. C. I'Anson Banks, London, 1979, P.10-14, 26.

<sup>5</sup> აღნიშნული განსაზღვრება ეკუთვნის მეცნიერ-კომენტატორ კანას. იხ. კამინკა, ღასახ. ნაშრ., გვ.14.

<sup>6</sup> იქვე, გვ.14.



სიმარტივის მიუხედავად, დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და საკუთარი ნიშნები ახასიათებს. გარდა ამისა, სპს-ის ზემოაღნიშნული ფორმულირება არ ითვალისწინებდა იმას, რომ შესაძლებელია გარკვეული დროის განმავლობაში დამკვიდრებულიყო სამეწარმეო საზოგადოების სრულიად ახალი ფორმები, რომლებსაც კანონმდებლობა მანამდე არ იცნობდა, რის გამოც ზემოაღნიშნული განსაზღვრება აღარ იქნებოდა მართებული. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც გერმანელმა კანონმდებელმა შექმნა მას შემდეგ, რაც უკვე ცნობილი იყო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმები და რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რეალურ ცხოვრებაში.

იურიდიულ მეცნიერებაში უფრო დამკვიდრებულია სპს-ის დეფინიცია პოზიტიური სახით, ანუ საზოგადოების განსაზღვრება მისი დამახასიათებელი არსებითი ნიშნების საფუძველზე; ამასთან, თეორიული ცნების ამ სახით დამკვიდრებამ გარკვეული ევოლუციური გზა გაიარა. ამ თვალსაზრისით თეორიულ შეხედულებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რუსული იურიდიული მეცნიერება, სადაც სპს-ის თეორიული ცნების თაობაზე ცივილისტებს მრავალი მოსაზრება აქვთ გამოთქმული. მოსაზრებათა არსებულ მრავალფეროვნებას ხელი შეუწყო სპს-ის მაშინდელი კანონისმიერი განსაზღვრების ხარვეზიანობამ და მისი სრულყოფის საჭიროებამ. კერძოდ, სევაჭრო წესდება, რომელიც რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის ნაწილს შეადგენდა, სრულ ამხანაგობას განსაზღვრავდა ორი ან მეტი წევრისგან შემდგარ ამხანაგობად, რომლებიც ვაჭრობენ ერთობლივად, საერთო სახელწოდებით (მუხ. 62).<sup>9</sup> მოცემული განსაზღვრება

---

<sup>9</sup> Устав торговый, т. II, ч. 2, А. Э. Вормс, Э. Н. Данилова, Источники торгового права, М., 1919, стр. 51.

ყურადღებას არ ამახვილებდა სრული ამხანაგობის ისეთ არსებით ნიშანზე, როგორცაა საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, აღნიშნული კანონთა კრებული არ აწესრიგებდა იურიდიულ პირად სას-ის აღიარების საკითხს. ყოველივე ეს სრული ამხანაგობის ცნების საკითხის ირგვლივ არაერთი თეორიული მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლეოდა.

მაგალითად, კ. პობედონოსცევის აზრით, სრული ამხანაგობის სამართლებრივი ფორმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია საფირმო სახელწოდების არსებობა, ერთობლივი საქმიანობა და ამხანაგობაში მონაწილეობა როგორც პირადად, ისე – მთელი ქონებით. ამასთან, უკანასკნელ მომენტს იგი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ სრულ ამხანაგობას განსაზღვრავდა ისეთ ამხანაგობად, სადაც რამდენიმე პირი აერთიანებს პირად და ქონებრივ ძალებს, საერთო სახელწოდებით ახორციელებს ერთობლივ საქმიანობას და ხდება პირთა სრული შერწყმა კაპიტალთან.<sup>10</sup> სრული ამხანაგობის ასეთი განსაზღვრა არ გაიზიარა ა. კამინკამ, რომელიც მიიჩნევდა, რომ აღნიშნული განმარტება არ მოიცავდა სრული ამხანაგობის სამართლებრივი ფორმის ძირითად თავისებურებას. იგი მართებულად მიუთითებდა, რომ ამ ამხანაგობის „ძირითადი სასიცოცხლო ნერვი“, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ცნების საკითხის გამოსარკვევად, მდგომარეობს ამხანაგების გაძლიერებულ პასუხისმგებლობაში ამხანაგობის ვალდებულებებისათვის მესამე პირების წინაშე, ხოლო პირადი ძალებისა და კაპიტალის გაერთიანების გზით ამხანაგობაში მონაწილეობის ფარგლები დამოკიდებულია ამხანაგთა შეთანხმებაზე.<sup>11</sup> ამასთან, ა. კამინკა სრული ამხანაგობის ცნების ძირითად ნიშნად არ

---

<sup>10</sup> К. Победоносцев. Курс гражданского права. ч.3. С-III., 1880. стр.505.

<sup>11</sup> კამინკა, დასახ. ნაშრ., გვ.210.

მიიჩნედა საფირმო სახელწოდების არსებობას. მისი აზრით, სრული ამხანაგობა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო როგორც ორი ან მეტი პირის გაერთიანება საწარმოს გასაძღოლად საერთო ხარჯებით, ყველა ამხანაგის შეუზღუდავი, სოლიდარული პასუხისმგებლობით.<sup>12</sup>

სრული ამხანაგობის ცნებაში საფირმო სახელწოდებაზე მითითებას ასევე არ მიიჩნედა აუცილებლად ცივილისტი გ. შერშენევიჩი, რომელიც სრულ ამხანაგობას განმარტავდა როგორც სავაჭრო საქმიანობის განსახორციელებლად პირთა სახელშეკრულებო გაერთიანებას ერთობლივი საშუალებებით, მათი შეუზღუდავი და სოლიდარული პასუხისმგებლობის საწყისებზე.<sup>13</sup> მისგან განსხვავებით, ვ. უდინცევი სრული ამხანაგობის ცნებას აგებდა პარტნიორთა მიერ სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისა და მათი სოლიდარული პასუხისმგებლობის ნიშნებთან ერთად საფირმო სახელწოდების ნიშანზე დაყრდნობით: იგი სრულ ამხანაგობას განსაზღვრავდა როგორც პირთა კავშირს, რომლის მონაწილეები ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევიან ვაჭრობას და ამხანაგობის საქმეებზე პასუხისმგებელნი არიან სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით.<sup>14</sup>

საყურადღებოა, როგორ განსაზღვრავს სპს-ს ქართველი მეცნიერი ს. ჯაფარიძე სავაჭრო სამართლის ძირითადი საკითხებისადმი მიძღვნილ სახელმძღვანელოში. იგი სრულ ამხანაგობას უწოდებს ისეთ ამხანაგობას, რომლის ყველა მონაწილე აწარმოებს ვაჭრობას ან მრეწველობას საერთო ფირმით და პასუხს აგებს ამხანაგობის ვალდებულებებისათვის მთელი თავისი ქონებით და სოლიდარულად.<sup>15</sup>

---

<sup>12</sup> იქვე, გვ.209.

<sup>13</sup> Г. Ф. Шершеневич, Курс торгового права, т.1, С-ПТ., 1908, стр.306.

<sup>14</sup> В. Удинцев, Русское торгово-промышленное право, Баку, 1923, стр.94.

<sup>15</sup> სერგი ჯაფარიძე, სავაჭრო სამართალი, ტფილისი, 1925, გვ.30.

პოზიტიური სახით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების განსაზღვრის ტენდენცია გაბატონებულია თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაშიც. ამასთან, ზოგი მეცნიერი საზოგადოების სამართლებრივ ფორმას ახასიათებს ისეთი ნიშნებით, როგორიცაა საფირმო სახელწოდება, სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, პარტნიორთა შეუზღუდავი პერსონალური პასუხისმგებლობა.<sup>16</sup> მეცნიერთა სხვა ნაწილი ასეთ ნიშნებს მიაკუთვნებს საზოგადოებაში პარტნიორთა პირად და ქონებრივ მონაწილეობას, პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, პარტნიორთა შორის ნდობის არსებობას, გაერთიანების სახელშეკრულებო ხასიათს, სპს-ის ყოველი პარტნიორის მოქმედებას საზოგადოების სახელით, რის გამოც საზოგადოების პარტნიორის სამეწარმეო საქმიანობა მიიჩნევა თავად საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობად.<sup>17</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია, გამოვყოთ ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც სხვადასხვა დროის მეცნიერთა შეხედულებებიდან გამოიკვეთა სპს-ის ცნების საკითხის გამორკვევისას. ესენია: სავაჭრო საქმიანობის განხორციელება; საზოგადოების საქმიანობაში პარტნიორთა პირადი მონაწილეობა; ერთიანი საფირმო სახელწოდების არსებობა; საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პარტნიორთა პასუხისმგებლობა თავიანთი პირადი ქონებით და სოლიდარულად. ამასთან, გაბატონებული აზრის თანახმად, უკანასკნელი ნიშანი საზოგადოების სამართლებრივი ფორმისათვის დამაფუძნებელი მნიშვნელობის მქონეა.

---

<sup>16</sup> Т. В. Кашанина, Хозяйственные товарищества и общества: правовое регулирование внутрифирменной деятельности, М., 1995, стр.45.

<sup>17</sup> Е. Богатых, Гражданское и торговое право, ч.1, М., 1996, стр.62; Коммерческое право, ч.1, под ред. В. Попондопуло, И. Яковлевой, М., 1996, стр.45.

## *II. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და ძირითადი ნიშნები „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით*

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება მოცემულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 20.1 მუხლში, რომლის თანახმად: „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით“. მოცემულ განსაზღვრებაში ჩამოყალიბებულია ის აუცილებელი ნიშნები, რომლებიც სპს-თვის არის დამახასიათებელი და მისი სამართლებრივი ფორმის თავისებურებებს განსაზღვრავს.

ა. საზოგადოების პარტნიორი შესაძლებელია, იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, ამასთან, კანონის თანახმად, „რამდენიმე ფიზიკური პირი“, ე.ი. სულ ცოტა ორი ფიზიკური პირი მაინც. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია როგორც ერთი პირის მიერ სპს-ის დაფუძნება, ისე საზოგადოებაში იურიდიული პირის მონაწილეობა, განსხვავებით შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებისაგან, სადაც შესაძლებელია, საზოგადოებას ჰყავდეს მხოლოდ ერთი პარტნიორი, აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორი იყოს იურიდიული პირი. კომანდიტურ საზოგადოებასა და კოოპერატივში, სპს-ის მსგავსად, უნდა მონაწილეობდეს სულ ცოტა ორი პარტნიორი, თუმცა სპს-გან განსხვავებით, კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარები, ასევე კოოპერატივის პარტნიორები, შესაძლებელია, იურიდიული პირებიც იყვნენ.

კანონი „მეწარმეთა შესახებ“ სპს-ის პარტნიორთა მაქსიმუმსაც განსაზღვრავს. კერძოდ, პარტნიორთა რიცხვი სპს-ში ორმოცდაათს არ

უნდა აღმატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად ან კოოპერატივად (2.4 მუხლი).

რაც შეეხება პრაქტიკას, აქ ძირითადად ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სპს-ის პარტნიორთა რიცხვი ორი ან სამი, იშვიათად ოთხია. ეს ფაქტი, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეუზღუდავი ხასიათის გამო, ჩვეულებრივ, სპს-ში მონაწილეობა მნიშვნელოვან რისკთან არის დაკავშირებული და პარტნიორთა შორის ნდობაზე დამყარებული ახლო ურთიერთობის არსებობას მოითხოვს, რაც მხოლოდ პირთა ვიწრო წრეშია შესაძლებელი.

ის გარემოება, რომ სპს-ის სამართლებრივი ფორმა გამორიცხავს მის არსებობას ერთი პირის საზოგადოების სახით, არ არის სადავო იურიდიულ მეცნიერებაში. რაც შეეხება პარტნიორებად იურიდიული პირების ყოფნას, ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

გერმანიაში აღნიშნული საკითხი სადავო იყო გარკვეული დროის განმავლობაში. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლიდა, რომ თუკი სპს-ის პარტნიორი გახდებოდა სააქციო საზოგადოება ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ამ შემთხვევაში აღარ იარსებებდა პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა, რამდენადაც აღნიშნული საზოგადოებების პარტნიორები შეუზღუდავად აღარ იქნებოდნენ პასუხისმგებლები. მეცნიერთა სხვა ნაწილი არ იზიარებდა ამ თვალსაზრისს და მიიჩნევდა, რომ რამდენადაც იურიდიული პირები სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტებია. ამიტომ მათი მონაწილეობა სპს-ში შეუზღუდავ პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მათ ქონებაზე და არა პარტნიორთა პირადი ქონების მიმართ, რაც არ ცვლის საზოგადოების პასუხისმგებლობის ხასიათს.<sup>18</sup> საყურადღებოა, რომ აღნიშნული საკითხი საბოლოოდ მოაწესრიგა სასამართლო პრაქტიკამ, რომელმაც დაუშვა

---

<sup>18</sup> პუეტი, დასახ. ნაშრ., გვ.93.

ღია სავაჭრო საზოგადოებაში იურიდიული პირების მონაწილეობის შესაძლებლობა,<sup>19</sup> რაც შემდგომ კანონმდებელმაც გაიზიარა. პერსონალურ საზოგადოებებში კაპიტალური საზოგადოებების გაერთიანების შესაძლებლობა იმაჟინალ მხიშენელოვანი მოვლენა იყო საკორპორაციო სამართალში, რომ აღნიშნული ფაქტი ზოგიერთმა მეცნიერმა შეაფასა როგორც საზოგადოებების განვითარების ახალი ეპოქის დასაწყისი.<sup>20</sup> დღეს გერმანიის კანონმდებლობით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ისევე როგორც კომანდიტური საზოგადოება, შესაძლებელია, შეიქმნას როგორც ფიზიკური, ისე – იურიდიული პირების მონაწილეობით, უფრო მეტიც, შესაძლებელია, რომ მასში ფიზიკური პირი საერთოდაც არ მონაწილეობდეს (სავაჭრო კოდექსი, §19, §130).

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორად იურიდიული პირის ყოფნის საკითხი ასევე სადავო იყო საბჭოთა პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში, როდესაც ამ საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა, როგორც სრული ამხანაგობისა, განმტკიცებული იყო რუსეთის ფედერაციის 1922 წლის სამოქალაქო სამართლისა და, შესაბამისად, სხვა რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში. აღნიშნულ ღვაწს განაპირობებდა ამ საკითხთან მიმართებაში კანონმდებლის გამოკვეთილი პოზიციის არარსებობა. თავის მხრივ, ამის თაობაზე ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას მეცნიერთა შორისაც, რომელთა ერთი ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევდა სრულ ამხანაგობაში იურიდიული პირების მონაწილეობას, იმ მოსაზრებით, რომ სრული ამხანაგობის მარეგული-

---

<sup>19</sup> ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ 1922 წელს, იხ. კუბლერი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

<sup>20</sup> მაგალითად, გერმანელმა მეცნიერმა ცაილინსკიმ, იხ. С. Н. Цайлинский, Товарищества и акционерные общества, Харьков, 1926, стр.25-26.

რებელი ნორმები მთლიანად გათვალისწინებულია ფიზიკურ პირებზე, როგორც ხელშეკრულების კონტრაქტებზე, ხოლო ამხანაგობაში იურიდიული პირების გაერთიანება იწვევს მათ შერწყმას და ახალი იურიდიული პირის წარმოქმნას, რის გამოც პარტნიორი იურიდიული პირების სამეურნეო დამოუკიდებლობიდან აღარაფერი რჩება; გარდა ამისა, სრული ამხანაგობის პარტნიორთა მოსალოდნელი ქონებრივი რისკის გამო, განსაკუთრებით სახელმწიფო საწარმოების მიმართ, ამგვარი მონაწილეობა სრულიად დაუშვებლად მიიჩნეოდა.<sup>21</sup> მეცნიერთა მეორე ნაწილი, რომელიც იურიდიული პირების მონაწილეობას სრულ ამხანაგობაში სავსებით დასაშვებად თვლიდა, ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს განიხილა ვადა პრინციპულ საფუძველსა და ზოგადთეორიულ მნიშვნელობას მოკლებულ არგუმენტებად.<sup>22</sup> რაც შეეხებოდა იმდროინდელ პრაქტიკას, იგი უარყოფითად ეკიდებოდა იურიდიული პირების სპს-ში მონაწილეობას, იმ საფუძველით, რომ სრული ამხანაგობის ორგანიზაციული ფორმა მთლიანად მიმართულია ფიზიკური პირებისა და მათი ქონებრივი სახსრების გაერთიანებისაკენ და მასში მონაწილე იურიდიულ პირებს მთლიანად შთანთქამს ზოლიდარული პასუხისმგებლობის, ერთიანი ფირმისა და კონკურენციის აკრძალვის წესების არსებობის გამო.<sup>23</sup>

---

<sup>21</sup> В. Ю. Вольф, Основы учения о товариществах и акционерных обществах, М., 1927, стр.61; А. Карасс, О возможных формах объединения юридических лиц, Ежегодник Советской Юстиции, 1923, №49, стр.1129-1130.

<sup>22</sup> Н. Вавин, Юридические лица в товарищеских объединениях, Право и жизнь, М., 1925, кн.4-5, стр.3-9; ლანდკოფი, დასახ. ნაშრ., გვ.25; О. Фишелевич, Возможен ли договор товарищества между юридическими лицами? Ежегодник Советской Юстиции, 1923, №40, стр.914-915.

<sup>23</sup> Разъяснения Отдела Законодат. Предпол. и Кодификации НКЮ. Ежегодник Советской Юстиции, 1924, №17, стр.403.



დღევანდელ იურიდიულ მეცნიერებაში სპს-ის პარტნიორებად იურიდიული პირების მონაწილეობა, მათ შორის პერსონალურ საზოგადოებებში სხვა პერსონალური საზოგადოების გაერთიანება (ე.წ. ორსართულიანი საზოგადოებები<sup>24</sup>), უკვე აღარ არის სადავო, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულად წყვეტს ამ საკითხს.

სპს-ში იურიდიული პირების მონაწილეობა დასაშვებია გერმანიისა და საფრანგეთის კანონმდებლობით, რომლებიც საზოგადოების ვალდებულებებზე სოლიდარულ პასუხისმგებლობას აკისრებს არამარტო პარტნიორ იურიდიულ პირებს, არამედ – სპს-ის ხელმძღვანელებსაც.<sup>25</sup> ასევე დასაშვებად მიიჩნევა სპს-ში იურიდიული პირების მონაწილეობას შვედეთის კანონმდებლობა.<sup>26</sup>

იურიდიული პირების სპს-ში მონაწილეობას ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსიც, იმ შეზღუდვით, რომ იურიდიული პირის გაერთიანება მხოლოდ ერთ სრულ ამხანაგობაშია ნებადართული (მუხ. 69), რასაც მეცნიერთა ნაწილი კრიტიკულად აფასებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ასეთი აკრძალვა იწვევს რიგ პრობლემებს, განსაკუთრებით კონკურენციის აკრძალვასთან დაკავშირებით, რის გამოც სრულ ამხანაგობაში მონაწილე იურიდიული პირები, ფაქტობრივად, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, განახორციელონ რაიმე საქმიანობა.<sup>27</sup>

---

<sup>24</sup> კუბლერი. დასახ. ნაშრ., გვ.66.

<sup>25</sup> Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран, М., 1986, стр.17.

<sup>26</sup> Swedish law, a survey, Stockholm, 1994, P.291-292.

<sup>27</sup> Гражданский кодекс Российской Федерации, часть первая, отв. ред. Т. Е. Абова. А. Ю. Кабалкин, В. П. Мозолин, М., 1996, стр.135.

სპს-ში იურიდიული პირების მონაწილეობას დაუშვებლად მიიჩნევს თურქეთის საეაჭრო კოდექსი (მუხ. 153).<sup>28</sup>

ბ. საზოგადოების საქმიანობა ხორციელდება ერთობლივად პარტნიორთა მიერ. ასეთი საქმიანობა შეიძლება მდგომარეობდეს არამარტნიორთა დადებით მოქმედებაში უშუალო მონაწილეობის გაგებით, არამედ შესაძლოა გამოიხატოს უმოქმედობითაც, მაგალითად, თავის შეკავებით იმ გამოვლენების გამოყენებისაგან, რომელიც ერთ-ერთ პარტნიორს ეკუთვნის და რამაშეიძლება კონკურენტია გაუწიოს საზოგადოების საქმიანობას. გარკვეულწესად, პარტნიორთა ერთობლივი საქმიანობის გამოხატულება ისიც არის, რომ ყველა პარტნიორს უფლება აქვს, უხელმძღვანელოს საზოგადოება და წარმოადგინოს იგი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ასეთი წესი განპირობებულია პარტნიორთა პასუხისმგებლობის ხასიათით, რის გამოც ყველა პარტნიორის ინტერესებში 'შედის უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში, რათა არ დაუშვას საზოგადოების არასწორი საქმიანობის გამო პასუხისმგებლობა. მაგრამ ეს ნიშანი არ უნდა გავიგოროგორც მხოლოდ სპს-თვის დამახასიათებელი. ერთობლივ საქმიანობა არამარტნიორთა სპს-ში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, არამედ – კაპიტალურ საზოგადოებებშიც, ხოლო სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორთა ერთობლივი მონაწილეობის ერთგვარი გამოვლინება ისიც არის, რომ პარტნიორები განსაზღვრული მიზნის მისაღწევად საზოგადოების ერთიან საფორმო სახელწოდების ქვეშ ერთიანდებიან და ამისათვის გარკვეულ შენატანს ახორციელებენ. უბრალოდ, პასუხისმგებლობის შეუზღუდა ხასიათის გამო სპს-ის პარტნიორები, სხვა სამეწარმეო საზოგადოებებთან პარტნიორებთან შედარებით. უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში.

<sup>28</sup> Av. Guntekin Yazgan, Hukuk, Istanbul, 1988. S.268.

გ. სპს-ს მიზანია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. კანონი ამ შემთხვევაში საუბრობს არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობაზე, რომელსაც პარტნიორები ეწვეიან ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით. სამეწარმეო საქმიანობის ცნება მოცემულია კანონის 1.1 მუხლში, რომლის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. როგორც ვხედავთ, არაერთჯერადობისა და დამოუკიდებლობის ნიშნებს მოიცავს თავად სამეწარმეო საქმიანობის ცნება, მაგრამ სპს-ის განსაზღვრისას კანონი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას მათზე.

დ. სპს-ს აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა – სახელი, რომლითაც ის გამოდის სამოქალაქო ბრუნვაში. სპს-ს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ერთი საფირმო სახელწოდება, მაშინაც კი, როდესაც რამდენიმე სახის საქმიანობას ახორციელებს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ უშვებს, რომ სპს-ის ფირმა შეირჩეს მხოლოდ საზოგადოების საქმიანობის საგნის მიხედვით ან იყოს მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი, როგორც ეს დასაშვებია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის ფირმების მიმართ. კანონის 6.3 მუხლი მოითხოვს, რომ სპს-ის საფირმო სახელწოდება შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელი დამატების – „სპს“-ის დართვით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს (გვარს). ამდენად, სპს-ის საფირმო სახელწოდებაში შესაძლებელია როგორც სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის გვარისა და სახელის (ან გვარის) მითითება, ასევე – ყველა პარტნიორის სახელისა და გვარის (ან გვარის) აღნიშვნა. მაგალითად, თუკი სპს-ში გაერთიანებული პარტნიორები არიან მერაბ გიორგაძე და დავით კვაჭაძე, მოცემული სპს-ის საფირმო სახელწოდებად შესაძლებელია, შეირჩეს ერთ-ერთი შემდეგი დასახელება:

„სპს და მერაბ გიორგაძე“, „სპს და გიორგაძე“, „დავით კვაჭაძე და სპს“, „სპს და კვაჭაძე“, „მერაბ გიორგაძე და დავით კვაჭაძე“, „გიორგაძე და კვაჭაძე“ და ა.შ.

კანონი სხვაგვარად სპს-ის ფირმას ერთიანი საფირმო სახელწოდებითაც მოიხსენიებს (20.1 მუხლი), რაც მიანიშნებს იმაზე, რომ საზოგადოების ფირმა პარტნიორთა სახელებს აერთიანებს. კანონის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სპს-ის საფირმო სახელწოდება უეჭველად უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთ-ერთი პარტნიორის სახელსა და გვარს, ხაზს უსვამს იმას, რომ საზოგადოება წევრთა გაერთიანებაზეა ორიენტირებული; აღნიშნული ნორმა ერთგვარად ეხმარება საფირმო სახელწოდების თაობაზე არსებულ ადრინდელ შეხედულებას, რომელიც ფირმას ვაჭრის სახელწოდებად განიხილავდა.<sup>29</sup>

შესაძლოა, სპს-ის საფირმო სახელწოდებას დაერთოს დამატებები. პარტნიორებს თავიანთი სურვილისამებრ ყოველთვის შეუძლიათ საზოგადოების ფირმაზე ასეთი დამატებების დართვა. დამატებების დართვა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისაგან განსასხვავებლად (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 6.7 მუხლი). კანონის ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს კონკურენციის აკრძალვას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის გაადვილებას ამ ბრუნვის მონაწილე პირთა ინდივიდუალიზაციის გზით. მაგალითად, თუკი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო რეგისტრაციაში გაატარებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მამალაძე და სპს“, ხოლო შემდგომ გამოირკვევა, რომ ასეთივე საფირმო სახელწოდებით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრაციაში გაატარა ბორჯომის რაიონულმა სასამართლომაც, ასეთ

---

<sup>29</sup> С. П. Никонов, Юридическая природа торговых и промышленных предприятий по русскому праву, Петроград, 1917, стр.41-50.

შემთხვევაში აუცილებელია, ერთ-ერთი საზოგადოების საფირმო სახელწოდებას დაერთოს განმასხვავებელი აღნიშვნა. მაგალითად, შესაძლებელია, ბორჯომში რეგისტრირებული საზოგადოების საფირმო სახელწოდებაზე დამატების დართვა შემდეგი სახით: „სპს მამლაძე-ბორჯომი“. დამატების დართვა ასევე შესაძლებელია, განხორციელდეს საქმიანობის საგანზე მინიშნების გზით, მაგალითად, „სპს მამლაძე და იურიდიული ბიურო“, თუკი საზოგადოება საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს და ა.შ. თუკი რომელიმე საზოგადოება სადავოდ ხდის საფირმო სახელწოდებაზე დამატების დართვას, ასეთ შემთხვევაში მართებულია, დამატების დართვას დაექვემდებაროს მოგვიანებით რეგისტრირებული საზოგადოების საფირმო სახელწოდება.

საფირმო სახელწოდებაზე დამატებების დართვის საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დამატება არ უნდა იყოს ისეთი, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან გამოიწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ანდა პარტნიორთა ურთიერთობების გამო (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, ნ.ნ მუხლი). ამ თვალსაზრისით, სპს-ის საფირმო სახელწოდება უნდა ემყარებოდეს ე.წ. ჭეშმარიტების პრინციპს, რომლის შესაბამისად პარტნიორთა სახელი და გვარი, საზოგადოების საქმიანობის საგანი თუ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც საფირმო სახელწოდებაშია მითითებული, სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს.<sup>30</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საზოგადოების კონტრაქტებს შეუქმნის მცდარ წარმოდგენას საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, საქმიანობის საგნის, პასუხისმგებლობის ხასიათისა თუ საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების

---

<sup>30</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, დასახ. ნაშრ., გვ.98. ამის შესახებ ასევე იხ. Bokelmann, Das Recht der Firmen - und Gesellschaftsbezeichnungen, 3 Aufl., 1986.

წინაშე სოლიდარულად პასუხისმგებელი პარტნიორების რაოდენობასთან დაკავშირებით, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობაზე. მაგალითად, თუკი ზემოთ დასახელებული პარტნიორები შეარჩევენ საფირმო სახელწოდებას „სას გიორგაძე, კვაჭაძე და სხვები“, ასეთი სახელწოდება იქნება შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან საზოგადოების კონტრაქტებს შეუქმნის მცდარ წარმოდგენას, თითქოს სას-ში ორზე მეტი სოლიდარულად პასუხისმგებელი პარტნიორია.

უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი იცნობს გამონაკლისებს აღნიშნული წესიდან. კერძოდ, საწარმოს შემქმნს შეუძლია, გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუ ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმანი იქნებიან (8.8 მუხლი). ამ შემთხვევაში უფრო საუბარია ცნობილ საფირმო სახელწოდებაზე, რაც კლიენტების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ასეთი საფირმო სახელწოდების შეცვლა შეიძლება საზოგადოებისათვის არახელსაყრელი იყოს, ვინაიდან საზოგადოების კონტრაქტებსა და მისი პროდუქციის მომხმარებლებს ფირმის მიხედვით უკვე გარკვეული წარმოდგენა აქვთ შექმნილი საზოგადოების კრედიტუნარიანობაზე. კეთილსინდისიერებაზე, საიმედოობაზე, პროდუქციის ხარისხზე. ასეთ დროს, ისევე როგორც მემკვიდრეების მიერ სას-ის საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში, ადრინდელი საფირმო სახელწოდების გამოყენებას უკავშირდება ადრინდელი მფლობელის საწარმოს საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის საკითხი, რაც პარტნიორებმა უნდა გაითვალისწინონ (8.1-8.4 მუხლები).

კანონი „მეწარმეთა შესახებ“ არ აწესრიგებს ადრინდელი საფირმო სახელწოდების შენარჩუნებისათვის ადრინდელი პარტნიორის ან მათი

მემკვიდრეების თანხმობის საკითხს საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის ან გარიცხვის, ან პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევებში. გერმანიის სავაჭრო კოდექსით ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია ადრინდელი პარტნიორის ან მათი მემკვიდრეების თანხმობის საჭიროება (§22, §24).

იმ შემთხვევაში, როდესაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს ფილიალი, იგი შეიძლება იმართებოდეს როგორც განსხვავებული ფორმით, ისე – სათავო საწარმოს საფირმო სახელწოდებით („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 10.3 მუხლის მეხუთე აბზაცი).

ე. სპს-ის ცნების ყველაზე არსებითი ნიშანია საზოგადოების ვალდებულებებისათვის პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა – პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. ასეთი პასუხისმგებლობის არსებობა საზოგადოების ძირითადი თავისებურებაა, რაც მას განასხვავებს სხვა სამეწარმეო საზოგადოებებისაგან. თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პასუხისმგებლობის შემთხვევები.

#### *მაგალითი:*

პარტნიორებმა ჯანხოთელმა და კობახიძემ დააფუძნეს სპს. ერთ-ერთი გარიგების საფუძველზე საზოგადოების მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოემვა სს „თბილბანკს“. თუკი სპს-ის ქონებიდან ვერ მიიღებს დაკმაყოფილებას, სს-ს შეუძლია, ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მიმართოს პირადად ჯანხოთელს ან კობახიძეს, რომლებმაც საკუთარი ქონებიდან უნდა დააკმაყოფილონ საზოგადოების კრედიტორი – სს „თბილბანკი“. ე.ი. აქ საზოგადოების პარტნიორები პირადად და საკუთარი ქონებით არიან პასუხისმგებლები საზოგადოების ვალდებულებებზე.

მეორე მხრივ, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ჯანსოთელი და კობახიძე არიან შპს-ის პარტნიორები, რომლის საწესდებო კაპიტალია 2000 ლარი. კრედიტორს – სს „თბილბანკს“ – საზოგადოების მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 5000 ლარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში დაუშვებელია კრედიტორის დაკმაყოფილება პარტნიორთა პირადი ქონებიდან, თუნდაც საზოგადოების ქონება არ აღემატებოდეს 2000 ლარს. ე.ი. შპს-ის პარტნიორი პირადად და საკუთარი ქონებით არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე.

საყურადღებოა, რომ სპს-ის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს რომელიმე პარტნიორის მიმართ, ხოლო თუკი პარტნიორებს შორის ასეთი შეთანხმება მაინც მოხდება, იგი ბათილი იქნება მესამე პირებისათვის („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.2 მუხლი). მაგალითად, თუკი ზემოდასახელებული პარტნიორები – ჯანსოთელი და კობახიძე სპს-ის დაფუძნებისას შეთანხმდებიან, რომ ოფისის მოწყობის ხარჯებს თავის თავზე აიღებს ჯანსოთელი, ხოლო ამის სანაცვლოდ საზოგადოების დაფუძნებიდან ორი სამეურნეო წლის განმავლობაში საზოგადოების კრედიტორების წინაშე მხოლოდ კობახიძე იქნება პასუხისმგებელი, პარტნიორთა ამგვარ შეთანხმებას საზოგადოების კრედიტორებისათვის არ ექნება იურიდიული ძალა. კრედიტორებს არ ეკრძალებათ, საზოგადოებისადმი არსებული მოთხოვნა წაუყენონ როგორც ჯანსოთელს, ისე – კობახიძეს, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნა.

სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა განაპირობებს, რომ პარტნიორთათვის სპს-ში მონაწილეობა ნდობაზე დამყარებულ ახლო დამოკიდებულებასთან და, იმავედროულად, მნიშვნელოვან რისკთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, ტრადიციულად, ამ საზოგადოების პარტნიორთა რაოდენობა ყოველთვის მცირერიცხოვანი იყო, რასაც დღევანდელი პრაქტიკაც ადასტურებს. თუმცა პასუხისმგებლობის სწორედ ასეთი



ხასიათი განაპირობებს საზოგადოების ღირსებასაც – კრედიტორთა ინტერესები და მათი მოთხოვნების უსაფრთხოება ყველაზე მეტად ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითაა დაცული.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების საკითხის გაანალიზების შედეგად მივიღვართ დასკვნებამდე: კანონი ამ ცნებას აგებს ისეთი ნიშნების საფუძველზე, როგორცაა: საზოგადოებაში რამდენიმე ფიზიკური პირის მონაწილეობა, პარტნიორთა მიერ საზოგადოების საქმიანობის განხორციელება ერთობლივად, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი მეწარმეობის განხორციელება, საფირმო სახელწოდების არსებობა, საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების სამართლებრივი ფორმის დამაფუძნებელია სამეწარმეო საზოგადოებად ყოფნა და საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორების სოლიდარული პასუხისმგებლობა. საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სხვა დამახასიათებელი ნიშნები, მათ შორის, საზოგადოების საქმიანობაში პარტნიორთა პირადად მონაწილეობის წესი, ამ ნიშნებზეა დაფუძნებული და მათგან გამომდინარეობს, ხოლო რაც შეეხება საფირმო სახელწოდებას, საკუთარი სახელით სპს-ის სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსვლას უკვე გულისხმობს მისი ყოფნა სამეწარმეო საზოგადოებად და, შესაბამისად, იურიდიულ პირად.

### **§3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ისტორიული წანამძღვრები**

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობის კვლევისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ისტორიული ფესვები, იმდენად, რამდენადაც ამ ინსტიტუტის მიერ განვლილი გზის განხილვის საფუძველზე შესაძლებელია, გამოიკვეთოს, თუ რამ განაპირობა საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განმსაზღვრელი თავისებურებების ჩამოყალიბება.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება უძველესი სავაჭრო საზოგადოებაა და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. იურიდიულ მეცნიერებაში არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს იმის თაობაზე, თუ სად ჩაისახა საზოგადოების სამართლებრივი ფორმა. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი რომის სამართალს მიუძღვის.<sup>31</sup> არსებობს მოსაზრებაც, რომ კორპორაციები, მათ შორის საზოგადოების ეს ფორმა, ჯერ კიდევ საბერძნეთში ჩაისახა, სადაც საკმაოდ კარგად იყო განვითარებული ვაჭრობა და საზღვაო საქმე.<sup>32</sup> დომინირებული მოსაზრების თანახმად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ისტორიული ფესვები შუა საუკუნეების ჩვეულებებში აისახება.<sup>33</sup>

ზემოჩამოთვლილ მოსაზრებათა შორის საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული ის აზრი, რომ ისტორიულად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წანამძღვრები რომის სამართლის წიაღში ჩაისახა, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ფორმასთან რომაული ამხანაგობის (societas) მსგავსებას არ უარყოფენ თვით ის კომერციალისტებიც, რომლებიც აღნიშნული საზოგადოების წარმოშობას შუა საუკუნეებს უკავშირებენ.<sup>34</sup>

---

<sup>31</sup> კამინკა, დასახ. ნაშრ., გვ.119-120; А. И. Каминка, Основы предпринимательского права. Петроград. 1917, стр.23; В. А. Удинцев. История обособления торгового права, Киев, 1900. стр.47.

<sup>32</sup> კაშანიანი, დასახ. ნაშრ., გვ.335.

<sup>33</sup> ს. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., 1925, გვ.31; შერშენეიჩი, დასახ. ნაშრ., გვ.308; Н. Л. Дювернуа, Из курса лекции по гражданскому праву, С-ПТ., 1895, стр.478.

<sup>34</sup> შერშენეიჩი, დასახ. ნაშრ., გვ.287.

რომის სამართალი შემთხვევით არ ითვლება კერძო სამართლის აკვნად. მართალია, კერძო სამართლის სუბიექტებად, ფიზიკური პირების დარად, რომელი იურისტები არ გამოყოფდნენ იურიდიულ პირებს, მაგრამ რომის სამოქალაქო ცხოვრება იცნობდა შემთხვევებს, როდესაც უფლება-მოვალეობები ეკუთვნის პირთა ჯგუფს ან მთლიან ორგანიზებულ წარმონაქმნს, რის მიხედვითაც რომელი იურისტები განასხვავებდნენ კავშირების ორ ფორმას – საკორპორაციო დაწესებულებას (*universitas*) და სახელშეკრულებო ამხანაგობას (*societas*).<sup>35</sup> პირველ შემთხვევაში კორპორაციას გააჩნდა განკერძოებული ქონება და არსებობდა მასში შემავალი ფიზიკური პირებისაგან დამოუკიდებლად. რომელიმე წევრის გარდაცვალებას ან კავშირიდან გასვლას არ შეეძლო, გავლენა მოეხდინა კავშირის მთლიანობაზე. რაც შეეხება ამხანაგობას, იგი განიხილებოდა როგორც წმინდა ინდივიდუალისტური სახელშეკრულებო კავშირი, ერთგვარი საძმო, სადაც ადგილი ჰქონდა უაღრესად პირადულ, შინაურულ ურთიერთობებს და ამის გამო ამხანაგობის წევრთა პირადი შემადგენლობის ყოველგვარი ცვლილება იწვევდა მთლიანად სახელშეკრულებო კავშირის რღვევას.<sup>36</sup> ამასთან, ასეთ კავშირში სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს ქონება ეკუთვნოდათ ერთობლივად, რაც ქმნიდა ე.წ. ქონებრივ ერთობას (*communio*). იმავედროულად, ამ ქონებაში ყოველ ამხანაგს ეკუთვნოდა განსაზღვრული წილი, რომელიც გამოეყოფოდა კავშირიდან გასვლის შემთხვევაში. ასეთი ამხანაგობის ერთ-ერთი ფორმა ცნობილი იყო როგორც ქონებით სრული ერთობის ამხანაგობა (*societas omnium bonorum*), რომელიც შექმნილი იყო საოჯახო-შემკვიდრებითი ხასიათის კავშირებისათვის. მასში მონაწილენი ერთიანდებოდნენ მთელი ქონებით, მათ შორის – მომავალი ქონებით და თავიანთი ყოფით, ამასთან, ყოველი

---

<sup>35</sup> И. Б. Новицкий, Римское право, М., 1994, стр.59-60.

<sup>36</sup> Н. Суворов, Об юридических лицах по римскому праву, М., 1900, стр.236.

წვერი წარმოადგენდა მთელი ქონების მესაკუთრეს მისი შეუზღუდავი პასუხისმგებლობით.<sup>37</sup>

სწორედ ასეთი ამხანაგობები უნდა ყოფილიყო სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ისტორიული პირველსახე, მისი ადრეული ფორმა. მაგრამ ამ ფორმამ რომში განვითარება ვერ ჰპოვა, რაც განაპირობა იმდროინდელმა სოციალურმა ყოფამ. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ რომაული ოჯახის ბუნებაც, რომელიც მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალისტურ ხასიათს ატარებდა, ძლიერი იყო ოჯახის უფროსის გავლენა, რაც ხელს უშლიდა ოჯახის ცალკეულ წევრთა დამოუკიდებლობას და ოჯახის გადაქცევას ოჯახ-საწარმოდ.<sup>38</sup> ამიტომ რომაული *societas*, ძირითადად, მაინც მკაცრად განსაზღვრულ ვალდებულებით ურთიერთობად დარჩა.

როგორც აღვნიშნეთ, იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ სპს-ის ისტორიული ფესვები შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ამ თვალსაზრისის მიხედვით შუა საუკუნეების პერიოდში სპს დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა, ხოლო რომის სამართალმა მხოლოდ გააადვილა შესაბამისი თეორიული კონსტრუქციების აგება, რის დამადასტურებლადაც მიიჩნევენ შუა საუკუნეებში სპს-ის განვითარებას იმ სახით, რაც დაახლოებით თანამედროვე ფორმას ახასიათებს.

საინტერესოა, თუ რამ განაპირობა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩასახვა და განვითარება. თუ გავიზიარებთ მეცნიერთა თვალსაზრისს, რომელიც ამ საზოგადოების ჩამოყალიბებას შუა საუკუნეებს უკავშირებს, დავინახავთ, რომ იმ პერიოდში სპს-ის განვითარება საოჯახო-მემკვიდრეობითი ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობამ

---

<sup>37</sup> К. Победоносцев, Курс гражданского права, ч.3, С-ПТ., 1880, стр.502.

<sup>38</sup> А. И. Каминка, Очерки торгового права, С-ПТ., 1911, стр.99.

განაპირობა, რასაც დრომოჭმულმა ძველი ყოფითი პირობების რღვევამ შეუწყო ხელი. წყაროებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქალაქებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის უკვე შექმნილი საერთო ქონების დანაწევრების თავიდან აცილება, ვინაიდან სამკვიდროდანი წილის გამოყოფა და მემკვიდრეთა მიერ ახალი ოჯახური მეურნეობების ჩამოყალიბება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული მიწის დაბუხვებასთან არსებული სიძნელეების, ასევე – სხვის ჭერქვეშ ცხოვრების დამამცირებელი ხასიათის გამო.<sup>39</sup> ამიტომ ხშირ შემთხვევებში მემკვიდრეები, ნაცვლად ერთობლივი ოჯახური მეურნეობის დაშლისა, აერთიანებდნენ თავიანთ წილ ქონებას და ერთობლივი ძალებით აგრძელებდნენ სამეურნეო საქმიანობას, რა დროსაც იქმნებოდა დიდი ოჯახები საერთო მეურნეობითა და ქონებით, რომლის წევრებსაც თავიანთი შრომით შეჰქონდათ მასში წვლილი, საერთო ქონებიდან იკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს და ამავე ქონებიდან ფარავდნენ ვალებს. ქონების ამგვარ გაერთიანებას ხელს უწყობდა გერმანული ოჯახის ბუნებაც, კერძოდ კი – ოჯახის ცალკეულ წევრთა მიერ საკუთარი უფლებების ძლიერ განვითარებული შეგნება.<sup>40</sup> ქონების ამგვარ გაერთიანებას ხშირად მიმართავდნენ ვაჭრისა თუ ხელოსნის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრეები, რომლებიც აგრძელებდნენ მამის საქმიანობას. საყურადღებოა, რომ ასეთ ოჯახურ გაერთიანებაში ძირითადად მოწესრიგებული იყო მხოლოდ წევრების შიდა ურთიერთობა და ნაკლებად – ურთიერთობა მესამე პირებთან.

რამდენადაც ოჯახი, ჩვეულებრივ, აკავშირებდა ახლობელ ადამიანებს, ამიტომ თავისთავად იგულისხმებოდა ოჯახის წევრთა პასუხისმგებლობა ოჯახის ვალდებულებებისადმი, ე.ი. ამგვარი

---

<sup>39</sup> იქვე, გვ.202.

<sup>40</sup> იქვე, გვ.202.

პასუხისმგებლობა შიდასაოჯახო ურთიერთობებიდან – ოჯახის წევრებს შორის არსებული ურთიერთობებიდან მომდინარეობდა, როგორც ამ ურთიერთობების უშუალო შედეგი, რომელიც არ იყო განპირობებული მესამე პირებთან ურთიერთობის ინტერესებით. თანდათანობით, ოჯახის ცალკეული წევრების უფლებების ზრდისა და მათ მიერ საკუთარი ქონების დაგროვებასთან ერთად, ოჯახური გაერთიანება დაუახლოვდა თანამედროვე სამეწარმეო საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ორგანიზაციულ ერთიანობას, დაემსგავსა საწარმოს. იმავდროულად, ოჯახური ურთიერთობებიდან საწარმოს განვითარების პროცესის პარალელურად, ვითარდებოდა ურთიერთმემხვედრი პროცესიც – როდესაც გარეშე პირების შემთხვევითი გაერთიანებები იძენდა ისეთ ხასიათს, რომ ორგანიზაციული ერთიანობისა და მოწყობის მხრივ უახლოვდებოდა ოჯახს, როგორც საწარმოო მთლიანობას.<sup>41</sup> ამდენად, ოჯახური საწარმოს ფორმა საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, თანდათანობით მასში ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ერთმანეთისადმი ნდობით გამსჭვალული გარეშე პირები შეენაცვლნენ, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე აერთიანებდნენ პირად და ქონებრივ ძალებს, რათა ერთობლივი სავაჭრო საქმიანობის შედეგად სარგებელი მიეღოთ. ამგვარად, ოჯახური გაერთიანების ფორმის ტრანსფორმაციის გზით თანდათანობით სამეწარმეო საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა განვითარდა.

ოჯახური საწარმოს ზემოაღნიშნული ფორმა უკვე გამოკვეთილად ჩანს XIII საუკუნის იტალიაში – სავაჭრო სამართლის სამშობლოში.<sup>42</sup> წყაროებში იგი მოიხსენიება როგორც *compagnia fraterna, societas fratrum*.\* გერმანიაში სპს-ის ფორმა გამოკვეთილად ჩნდება უკვე XV-

---

<sup>41</sup> იქვე. გვ.201.

<sup>42</sup> ჰუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.85-87; კუბლერი, დასახ. ნაშრ., გვ.90.

\* სამძო, ძმათა გაერთიანება (ლათ.).

XVI საუკუნეებში. განსაკუთრებით ცნობილია ფუგერების ოჯახური საზოგადოება, დაფუძნებული აუგსბურგში ძმების – გეორგ, ულრიხ და იაკობ ფუგერებს შორის ჯადებული ხელშეკრულების საფუძველზე 1494 წელს. სამივე ძმას ჰქონდა გარიგების დადებისა და წარმომადგენლობის შეუზღუდავი უფლება, თითოეული შეუზღუდავად აგებდა პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე. ულრიხისა და გეორგის გარდაცვალების შემდეგ პარტნიორები გახდნენ მათი მემკვიდრეები, მხოლოდ გარიგებების დადებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მათ შეეზღუდებოდათ არამარტო გარიგების დადების უფლება, არამედ პასუხისმგებლობაც, ადგილი ექნებოდა სპს-ს გარდაქმნას კომანდიტურ საზოგადოებად.<sup>43</sup>

როგორც ვხედავთ, პირველი სპს-ები იქმნებოდა არა საერთო ქონების შექმნის, არამედ – უკვე შექმნილი ქონების დაყოფა-დანაწევრების თავიდან აცილების მიზნით. შესაძლოა, ამ გარემოებამაც განაპირობა საზოგადოების ქონების დამოუკიდებლობის იდეის წარმოშობა და საზოგადოების კრედიტორებისათვის, პარტნიორთა პირად კრედიტორებთან შედარებით, საზოგადოების ქონებიდან უპირატესი დაკმაყოფილების უფლების მინიჭება.<sup>44</sup>

საყურადღებოა, რომ ოჯახის წიაღში განვითარდა ის ურთიერთობები, რომლებიც უკავშირდებოდა ანგარიშიან ინტერესსა და გამიზნულ თანამშრომლობას, რაც სამეწარმეო საზოგადოებას ახასიათებს. რუსი ცივილისტის კამინკას აზრით, ის გარემოება, რომ ოჯახში ერთობლივი მეურნეობის წარმოებისათვის დამახასიათებელი შრომითი ელემენტი ხშირად კონკურენტიასაც კი უწევს ნათესაობას, იყო მიზეზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა, ოჯახის მიუდგომელ სიწმინდეში შეელწია გარეშე

---

<sup>43</sup> პუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.90.

<sup>44</sup> შერშენევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ.308-309.

ელემენტს და მოეხდინა მასში ყველაზე სერიოზული ცვლილებები სამეწარმეო საზოგადოებასთან დაახლოების თვალსაზრისით.<sup>45</sup>

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სპს, როგორც ოჯახური მეწარმეობის ფორმა, ოჯახის წიაღში ჩაისახა და ნათესაური ურთიერთობებიდან განვითარდა. ამის გამო ოჯახური მეურნეობის გაძლოლის, ახლობელ ადამიანთა ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი გადავიდა სამეწარმეო საზოგადოების იმ ფორმაში, რომლითაც შემდგომში ოჯახური კავშირის ზემოაღნიშნული ფორმა შეიცვალა. ეს გარემოება კარგად ხსნის საზოგადოების პერსონალურ ხასიათს, პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობას, იმ განსაკუთრებულ ნდობას, რომელიც პარტნიორთა საქმიანი ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელია. შესაძლებელია, სწორედ ამ ფაქტის გამოძახილი იყო რუსეთში სრული ამხანაგობის სხვაგვარი სახელწოდება – სავაჭრო სახლი – ТОВЫЙ ДОМ.<sup>46</sup>

მიუხედავად სხვადასხვა ქვეყანაში არსებული სპს-ის სამართლებრივი ფორმის მსგავსებისა, ეს საზოგადოება ყველგან დამოუკიდებლად განვითარდა, ფართოდ გავრცელდა და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საზოგადოების ცხოვრებაში, რაც ნათლად ჩანს ისტორიულ წყაროებში მოპოვებული ფაქტებიდან.<sup>47</sup>

როგორც ვხედავთ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წარმოშობა ცხოვრებისეულმა აუცილებლობამ განაპირობა. მოგვიანებით კი საზოგადოების სამართლებრივი ფორმა კანონმდებლობაშიც განმტკიცდა.

---

<sup>45</sup> კამინკა, დასახ. ნაშრ., გვ.203-204.

<sup>46</sup> А. Э. Вормс, Э. Н. Данилова, Источники торгового права, М., 1919. стр.51.

<sup>47</sup> კამინკა, დასახ. ნაშრ., გვ.209.



სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პირველი საკანონმდებლო რეგლამენტაცია საფრანგეთში განხორციელდა. ლუდოვიკო XIV-ის მიერ განხორციელებული სავაჭრო სამართლის პირველი კოდიფიკაციის შედეგად 1673 წელს გამოიცა Ordonnance de commerce, რომელიც კოდიფიკაციის მთავარი ინიციატორის – მინისტრ კოლბერის სახელის მიხედვით კოლბერის ორდონანსადაა ცნობილი და ზოგადად ვაჭრობას არეგულირებს. ამ ორდონანსში სპს-ის სამართლებრივი მდგომარეობა განმტკიცებული იყო societe generale-ს სახელწოდებით. აღნიშნული ორდონანსი საფუძვლად დაედო საფრანგეთის 1807 წლის სავაჭრო კოდექსს, რომელშიც დამკვიდრდა საზოგადოების თანამედროვე სახელწოდება – societe en nom collectif.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმის წანამდგვრები არც ქართული სინამდვილისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. მართალია, სავაჭრო სამართლის განვითარების თვალსაზრისით საქართველოს არ გაუვლია ისეთი გზა, როგორც დასავლეთ ევროპამ განვლო, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება არ მდგარა ამ მოვლენების მიღმა, რამდენადაც საქართველოს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ევროპის ქვეყნებთან. ივანე ჯავახიშვილი შუა საუკუნეების საქართველოში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას, ქვეყნის მჭიდრო ურთიერთკავშირს ბიზანტიასა და იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებთან უკავშირებდა ვაჭარ-ხელოსანთა კორპორაციების არსებობას.<sup>48</sup> შუა საუკუნეების ქართულ ქალაქებში ჩამოყალიბებული ვაჭართა და ხელოსანთა პროფესიული გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ეს ამხანაგობები მოიხსენიებოდა სხვადასხვა სახელწოდებით: „ოფიკალი“, „თაბუნი“, „ასნაფი“, „ამქარი“. სწორედ ამ უკანასკნელი სახელწოდებით

---

<sup>48</sup> ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, მე-2 წიგნი, თხზულებანი თორმეტ ტომად, მე-7 ტომი, თბილისი, 1984, გვ.234-235.

დამკვიდრდა ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>49</sup> საფიქრებელია, რომ ამ კორპორაციებში უნდა ვეძიოთ სპს-ის ქართული ფორმის ჩანასახები, მით უმეტეს, რომ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მონაწილეთა პირად ურთიერთობას და პირად-შრომით ელემენტს, რაც ასევე დიდ როლს თამაშობს სპს-ში. მაგრამ ეს ფორმა ქართულ სინამდვილეში სრულყოფილად ვერ განვითარდა იმ სახით, როგორც თანამედროვე ფორმას ახასიათებს. ეს კი განაპირობა ქვეყნის ისტორიულმა ყოფამ.

ამდენად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმის წარმოშობისა და ისტორიული განვითარების საკითხების გაანალიზება გვეხმარება, აეხსნათ საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თვითმყოფადი ხასიათი.

#### §4. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკანონმდებლო რეგულირების ისტორიული მიმოხილვა ქართული კანონმდებლობის მიხედვით

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმა ადრეც არ ყოფილა უცხო ქართული კანონმდებლობისთვის. მას იცნობდა საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი<sup>50</sup> და 1991 წლის 25 ივლისის კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“.<sup>51</sup> ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ სამართლებრივ აქტებში მოწესრიგებული, დღევანდელი სოლიდარული პასუხისმგებლობის

---

<sup>49</sup> ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებ იხ. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, მე-2 ტომი, თბილისი, 1983, გვ.507-607; პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1941, გვ.167-181.

<sup>50</sup> სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ტფილისი, 1925.

<sup>51</sup> ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი I, თბილისი, 1992, გვ.12-19.

საზოგადოების წინამორბედი საზოგადოებების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებათა წარმოდგენა და გააზრება, რაც, იმავდროულად, სპს-ის თანამედროვე ფორმის მემკვიდრეობითობის გამორკვევაში დაგვემარება.

## *I. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით*

ქართულ კანონმდებლობაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სრული ამხანაგობის სახელწოდებით – პირველად ჩნდება 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში, რომელშიც საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირებული იყო რუსეთის 1922 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესატყვისად, ხოლო იგი, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ევროპულ კანონმდებლობას, ძირითადად – გერმანიის სამოქალაქო კოდექსს. სამეწარმეო საზოგადოებების მრეგულირებელი ნორმების არსებობა 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში განპირობებული იყო იმით, რომ „ნეპის“ შემდგომ პერიოდში ვერ კიდევ დაიშვებოდა სამეწარმეო საქმიანობა და, შესაბამისად, ამ საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არსებობა. 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ სამართლებრივი ფორმების მომწესრიგებელი ნორმები ქრება კოდექსიდან.

სრული ამხანაგობის შესახებ სპეციალური ნორმები მოცემული იყო სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-10 თავის მე-2 ნაწილში (295-311 მუხლები). გარდა ამისა, მასზე ნაწილობრივ ვრცელდებოდა მარტივი ამხანაგობის მარეგულირებელი ნორმები (277-278, 283-285, 289-290, 292, 294 მუხლები). ეს უკანასკნელი განიხილებოდა როგორც ამხანაგობის ძირითადი ფორმა, რომლის მომწესრიგებელი ნორმებიც წარმოადგენდა საფუძველს სავაჭრო ამხანაგობების შესახებ სხვა ნორმების

ასაგებად. ამ თვალსაზრისით სრული ამხანაგობა განიხილებოდა როგორც მოდიფიცირებული მარტივი ამხანაგობა.<sup>52</sup>

კოდექსი სრულ ამხანაგობას განსაზღვრავდა როგორც ისეთი ამხანაგობას, რომლის ყველა მონაწილე (ამხანაგი) ეწეოდა ვაჭრობას ან მრეწველობას საერთო ფირმით და მთლიანად თავისი ქონებით პასუხს აგებდა ამხანაგობის ვალდებულებებზე, როგორც სოლიდარული მოვალე (მუხ. 295). აქედან გამომდინარე, სრული ამხანაგობის ძირითად ნიშნებს განეკუთვნებოდა:

ა. ვაჭრობის ან მრეწველობის განხორციელება;<sup>53</sup>

ბ. საერთო ფირმის არსებობა;

გ. ამხანაგობის ვალდებულებებისათვის ამხანაგების სოლიდარული პასუხისმგებლობა.

სრული ამხანაგობის საფირმო სახელწოდების მიმართ კოდექსი მოითხოვდა, რომ მასში მოცემული ყოფილიყო მონაწილეთა გვარები.

შესაძლებელი იყო თუ არა სრულ ამხანაგობაში იურიდიული პირების მონაწილეობა, ამის თაობაზე კოდექსი არ იძლეოდა ერთმნიშვნელოვან პასუხს. ერთი მხრივ, ამხანაგობის დაფუძნების შემთხვევაში კოდექსი არ ითვალისწინებდა ამხანაგების განცხადებაში იურიდიული პირის მონაცემების მითითების საჭიროებას (მუხ. 296), მეორე მხრივ

---

<sup>52</sup> ვოლფი, დასახ. ნაშრ., გვ.60.

<sup>53</sup> თუ რა ჩაითვლებოდა „ვაჭრობის ან მრეწველობის განხორციელებად“, ამის განსაზღვრას იმდროინდელი კანონმდებლობა არ იძლეოდა. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისი მას უკავშირებდა სავაჭრო გარიგების ცნებას სუბიექტური გაგებით. იხ. ლანდკოფი, დასახ. ნაშრ., გვ.66; ვოლფი, დასახ. ნაშრ., გვ.61-62. ეს საკითხი ასევე იყო გათვალისწინებული 1924 წლის სავაჭრო (სამეურნეო) კოდექსის პროექტშიც, რომლის საჭიროების თაობაზე ხშირად კამათობდნენ იმდროინდელ იურიდიულ მეცნიერებაში. იხ. ს. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ.11-12; Л. Гинцбург, К вопросу о хозяйственном кодексе СССР, Вопросы советского хозяйственного права, М., 1933, стр.16-45.

კი, დასაშვებად მიიჩნევა, გარდაცვლილი ამხანაგის ადგილი ამ ამხანაგობაში დაეჭირა დაწესებულებას, რომელსაც კანონის თანახმად გარდაცვლილის ქონება გადაეცემოდა (მუხ. 290). აღნიშნულ საკითხზე კანონმდებლის სწორედ ამგვარმა არაერთგვაროვანმა მიდგომამ გამოიწვია სრულ ამხანაგობაში იურიდიული პირების მონაწილეობის მიზანშეწონილობის თაობაზე დავა იმდროინდელ იურიდიულ მეცნიერებაში, რასაც სპს-ის ცნების საკითხზე მსჯელობისას შევეხეთ.

სრული ამხანაგობის დაფუძნებას კოდექსი ითვალისწინებდა ე.წ. გამოცხადების სისტემის საფუძველზე, განსხვავებით შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობისა და საპაიო ამხანაგობისაგან,\* რომელთა დაფუძნებაც გათვალისწინებული იყო სანებართვო (საკონცესიო) სისტემის წესით, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი აქტის საფუძველზე. სრული ამხანაგობის დაარსების პროცესი მოიცავდა ორ ეტაპს: შეთანხმებას ამხანაგთა შორის და ამ შეთანხმების გამოქვეყნებას.

ამხანაგების შეთანხმებას ადასტურებდა ხელშეკრულების დადება, რომლის მიმართ კანონი მოითხოვდა წერილობითი ფორმის დაცვას და სანოტარო წესით დამოწმებას (მუხ. 297). ამხანაგების შეთანხმების გამოქვეყნება მდგომარეობდა ამხანაგობის რეგისტრაციაში. ხელშეკრულების დადებიდან რეგისტრაციამდე პერიოდში ურთიერთობები ამხანაგებს შორის წესრიგდებოდა მარტივი ამხანაგობის ნორმების შესაბამისად.

სრული ამხანაგობის რეგისტრაციას ახორციელებდა სავაჭრო რეესტრის მწარმოებელი დაწესებულება – ვაჭრობის სახალხო კომისარი-ატის შესაბამისი ორგანო – ამხანაგობის ადგილსამყოფლის მიხედვით. რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენდა ამხანაგთა განცხადება, რომელიც

---

\* ამ სახელწოდებებით იცნობდა 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებას.

ყველა ამხანაგის მიერ ხელმოწერასა და სანოტარო წესით დამოწმებას საჭიროებდა. კოდექსი მოითხოვდა, რომ მასში აღნიშნული ყოფილიყო შემდეგი მონაცემები:

ა. თითოეული ამხანაგის გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი;

ბ. ამხანაგობის ფირმა და ადგილსამყოფელი;

გ. ამხანაგობის ხელშეკრულების ვადა;

დ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ამხანაგი, ხოლო რამდენიმე წარმომადგენლის შემთხვევაში – მათი მოქმედების ფარგლები;

ე. ამხანაგობის შენაერთი კაპიტალის ოდენობა.\*

შესაბამისად, იგივე სახით განცხადებასა და გამოქვეყნებას საჭიროებდა:

ა. ყოველგვარი ცვლილება განცხადების ზემოაღნიშნულ მონაცემებში;

ბ. ამხანაგობის ლიკვიდაცია;

გ. ლიკვიდატორების არჩევა ან დანიშვნა და მათი შემადგენლობის შეცვლა (მუხ. 296).

რეესტრში რეგისტრაციას ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომ ამ მომენტიდან სრული ამხანაგობა ითვლებოდა იურიდიულ პირად.

სრული ამხანაგობის შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები, ძირითადად, წესრიგდებოდა მარტივი ამხანაგობის მსგავსად, კერძოდ, ამხანაგების შენატანის, ამხანაგობაში მათი პირადი მონაწილეობის, კონტროლის უფლების, მოგება-ზარალის განაწილების მიმართ ვრცელდებოდა მარტივი ამხანაგობისათვის გათვალისწინებული წესები, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნებოდა განსაზღვრული.

---

\* ასე უწოდებდა 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი სრული ამხანაგობის მონაწილეთა შენატანებისაგან შემდგარ ქონებას, განსხვავებით სააქციო საზოგადოებაში განხორციელებული სავალდებულო შენატანებისაგან, რომელსაც ეწოდებოდა ძირითადი კაპიტალი.

შენატანი, რომლის განხორციელების მოვალეობაც ეკისრებოდათ ამხანაგებს, შეიძლებოდა ყოფილიყო „სხვადასხვა გვარისა და ღირებულებისა“ (მუხ. 278), მაშასადამე, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის. ამასთან, ამხანაგების საწინააღმდეგო შეთანხმების არარსებობისას იგულისხმებოდა, რომ ყველა ამხანაგის შენატანი იყო თანაბარი, რომ ფულის, მოხმარებადი და შენაცვლებადი ნივთების სახით განხორციელებული შენატანი ამხანაგობას გადაეცემოდა საკუთრების უფლებით, ხოლო ყველა სხვა ქონება – სარგებლობაში (მუხ. 279).

სრული ამხანაგობის პერსონალური ბუნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებაში განსხვავებული წესების არარსებობისას იგულისხმებოდა, რომ თითოეულ ამხანაგს შეეძლო გაძლოლოდა ამხანაგობის საწარმოო საქმეებს. ამხანაგობის საქმეთა მართვა ერთი ან რამდენიმე ამხანაგის მიერ შესაძლებელი იყო ხელშეკრულების ან ცალკე, დანარჩენი ამხანაგების მიერ გაცემული რწმუნებულების საფუძველზე. ამასთან, ხელმძღვანელობაზე ხელშეკრულების ძალით უფლებამოსილი ამხანაგის ჩამოშორება მართვა-გამგეობისაგან დაიშვებოდა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, დანარჩენი ამხანაგების პატივისაღებ მიზეზებზე დამყარებული მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო რწმუნებულების გაუქმება შეეძლო ყოველ ამხანაგს, რომელიც მონაწილეობდა მის გაცემაში (მუხ. 303).

თითოეულ ამხანაგს, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა ამხანაგობის მართვაში, ჰქონდა საზოგადოების საქმიანობის კონტროლის ფართო უფლება, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ შეეძლო პირადად გაცნობოდა ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობას, „გაესინჯა დავთრები და ქაღალდები“. ყოველგვარი შეთანხმება ამხანაგობისათვის ამ უფლების ჩამორთმევის ან შეზღუდვის თაობაზე ითვლებოდა ბათილად (მუხ. 285).

სრული ამხანაგობის მონაწილენი ვალდებულნი იყვნენ, დაეცვათ კონკურენციის აკრძალვის წესები, კერძოდ, მათ უფლება არ ჰქონდათ, დაელოთ ისეთივე გარიგება, რაც ამხანაგობის საქმიანობის საგანს შეადგენდა

ან მონაწილეობა მიეღოთ ასეთ ამხანაგობაში შეუზღუდავად პასუხისმგებელი ამხანაგის სახით. კონკურენციის აკრძალვის აღნიშნული წესის დამრღვევი ამხანაგი ვალდებული იყო, ამხანაგობისათვის აენაზღაურებინა მიყენებული ზარალი ან მთლიანად გადაეცა ის შემოსავალი, რასაც ასეთი მოქმედების შედეგად მიიღებდა (მუხ. 301).

ზარალის შედეგად ამხანაგების შენატანის შემცირების შემთხვევაში ამხანაგობის ამონაგებიდან, უწინარეს ყოვლისა, ამხანაგობის შენაერთი კაპიტალი უნდა შეესებულებოდა სავაჭრო რეესტრის ჩანაწერში აღნიშნულ ოდენობამდე. მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვებოდა მოგების განაწილება ამხანაგებს შორის (მუხ. 300). აღნიშნულის თაობაზე იმდროინდელ იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ასეთი წესის არსებობა არ შეესაბამებოდა საზოგადოების პასუხისმგებლობის ხასიათს, ვინაიდან პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებდნენ მთელი თავიანთი ქონებით და არა მარტო საზოგადოების ქონებაში თავიანთი შენატანის ფარგლებში.<sup>54</sup> რაც შეეხებოდა მოგება-ზარალის განაწილების წესს, კოდექსი ამის თაობაზე არ ადგენდა ცალკე ნორმას და მის მოწესრიგებას მთლიანად ამხანაგების ურთიერთშეთანხმებას ანდობდა.

სრული ამხანაგობა, როგორც იურიდიული პირი, მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდიოდა წარმომადგენლის მეშვეობით. ისევე, როგორც ხელმძღვანელობის შემთხვევაში, წარმომადგენლობის უფლებამოსილებით შეიძლებოდა აღჭურვილი ყოფილიყო ყოველი ამხანაგი ხელშეკრულებაში ამის თაობაზე რაიმე სპეციალური მითითების გარეშე, ან ხელშეკრულების ან ცალკე რწმუნებულების ძალით უფლებამოსილი ერთი ან რამდენიმე ამხანაგი. ხელშეკრულებაში განსხვავებული წესის არარსებობისას, სრული

---

<sup>54</sup> Советское хозяйственное право, под ред. Даниловой, Перетерского и Раевича, М., 1926, стр.7.



ამხანაგობის პერსონალური ბუნებიდან გამომდინარე, თითოეულ ამხანაგს ჰქონდა ამხანაგობის სახელით გამოსვლის უფლება. მაგრამ, იმავედროულად, ამხანაგის ამ ინდივიდუალური უფლებამოსილების ფარგლების ზღვარში იყო დანარჩენი ამხანაგების პროტესტის უფლება უფლებამოსილი ამხანაგის მოქმედების წინააღმდეგ, რაც საკმარისი იყო ამ მოქმედების შესაჩერებლად (მუხ. 302). ამხანაგს, რომელიც სათანადო რწმუნების გარეშე ამხანაგობის ინტერესებში გარკვეულ მოქმედებას განახორციელებდა, შეეძლო, მოეთხოვა მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუკი საფუძველი ჰქონდა, მიეჩნია, რომ ასეთი მოქმედება აუცილებელი იყო ამხანაგობის ინტერესებისათვის (მუხ. 283).

სრული ამხანაგობის სამართლებრივი ფორმის ყველაზე თვალსაჩინო თავისებურებას გამოხატავდა ამხანაგების პასუხისმგებლობის ხასიათი. ამხანაგები პასუხს აგებდნენ სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით ამხანაგობის ვალდებულებებისათვის ან ყველა იმ გარიგებისათვის, რაც, როგორც ეს მხარეთა განზრახვიდან ჩანდა, დადებული იყო ამხანაგობისათვის (მუხ. 304). შეთანხმება პასუხისმგებლობის ყოველგვარი შეზღუდვის თაობაზე ბათილი იყო მესამე პირების მიმართ. ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, ამხანაგების სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა არამარტო ამხანაგობის ვალდებულებებზე, არამედ – იმ ვალდებულებების მიმართაც, რომლებიც წარმოიშობოდა მესამე პირების მიერ ამხანაგობისათვის დადებული გარიგებიდან, რაც განუსაზღვრელად აფართოებდა სრული ამხანაგობის განსაზღვრებაში მოცემული პასუხისმგებლობის ფარგლებს. ამიტომ ამ ნორმის არსებობა ერთგვარ გაურკვევლობას იწვევდა იმდროინდელ იურიდიულ მეცნიერებაში.<sup>55</sup>

ამხანაგობის კრედიტორების წინაშე პირველ რიგში პასუხისმგებელი იყო თავად ამხანაგობა (მუხ. 305). ამდენად, ამხანაგობა იყო მთავარი მოვალე, ხოლო ამხანაგების შეუზღუდავი პასუხისმგებლობა

---

<sup>55</sup> კოლფი, დასახ. ნაშრ., გვ.73-74; ლანდკოფი, დასახ. ნაშრ., გვ.80-81.

ატარებდა დამატებით, სუბსიდიურ ხასიათს, რის გამოც ცალკეული ამხანაგების ქონებაზე გადახდევინების მიქცევა დაიშვებოდა მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობისას:

- ა. ამხანაგობის ფაქტიური ვალაუვალობის შემთხვევაში;
- ბ. სასამართლოს მიერ ამხანაგობის ვალაუვალად აღიარებისას;
- გ. ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

ამხანაგობისადმი მიმართვამდე დაუშვებელი იყო ამხანაგის ქონებაზე გადახდევინების მიქცევინების მოთხოვნა.

კოდექსი სრულ ამხანაგობაში შესული ახალი მონაწილის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა მის შესვლამდე წარმოშობილ ვალდებულებებზეც. ამხანაგს, რომელიც გადაიხდიდა ამხანაგობის ვალს, ჰქონდა რეგრესის უფლება დანარჩენი ამხანაგებისადმი ამხანაგობის ზარალში თითოეულის წილის შესაბამისად.

სრული ამხანაგობის ქონებიდან დაუშვებელი იყო რომელიმე ამხანაგის პირადი კრედიტორის დაკმაყოფილება. მას ამხანაგის კუთვნილ ქონებაზე გადახდევინების მიქცევინება შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ფაქტობრივად ან სასამართლოს მიერ ცნობილი იქნებოდა ამხანაგობის არაშემძლეობა,\* ან ამხანაგობის ლიკვიდაციის შედეგად. ამიტომ, სრული ამხანაგობის ქონებაში თავისი მოვალის კუთვნილი წილიდან დაკმაყოფილების მისაღებად ამ კრედიტორს უნდა მოეთხოვა ამხანაგობის ლიკვიდაცია ექვსი თვით ადრე საოპერაციო წლის\*\* დასრულებამდე (მუხ. 305). თუმცა ასეთი მოთხოვნა არ იყო სავალდებულო დანარჩენი ამხანაგებისათვის. ამ შემთხვევაში მათ შეეძლოთ მოვალე-ამხანაგისთვის მისი კუთვნილი წილის გამოყოფა, რათა თავიდან აეცილებინათ ლიკვიდაცია.

სრული ამხანაგობის პერსონალურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა ძალა მესამე პირებისათვის,

---

\* სამოქალაქო კოდექსი ამ ტერმინს ხმარობდა გაკოტრების მნიშვნელობით.

\*\* სამოქალაქო კოდექსი ამ ტერმინს ხმარობდა სამეურნეო წლის მნიშვნელობით.

თუკი ეს ცვლილება შეიტანებოდა სავაჭრო რეესტრში და, ამასთანავე, გამოქვეყნდებოდა კიდევ (მუხ. 306). განუსაზღვრელი ვადით შექმნილი სრული ამხანაგობიდან ამხანაგის გასვლა დაიშვებოდა შესაბამისი განცხადების გაკეთებიდან, მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ, ხოლო განუსაზღვრელი ვადით შექმნილი სრული ამხანაგობიდან ამხანაგის გასვლა შეზღუდული იყო და დაიშვებოდა მხოლოდ პატივსადები მიზეზის არსებობისას (მუხ. 307). ამასთან, კოდექსი ითვალისწინებდა გამოსული ამხანაგის პასუხისმგებლობას ამხანაგობის ვალებისათვის ორი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამტკიცდებოდა მისი გამოსვლის წლის ანგარიში. ისეთი ცვლილება ამხანაგობის პერსონალურ შემადგენლობაში, როგორც იყო ამხანაგის გარდაცვალება, განიხილებოდა სრული ამხანაგობის ლიკვიდაციის საფუძველად, თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში არ იქნებოდა დათქმა გარდაცვლილის წილის გამოყოფის ანდა კანონით ან ანდერძით მემკვიდრის მიერ მისი შენაცვლების თაობაზე (მუხ. 290).

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, სრული ამხანაგობის ლიკვიდაციას კოდექსი ითვალისწინებდა აგრეთვე ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

ა. რომელიმე ამხანაგის ქმედუნაროდ ან არაშემძლედ გამოცხადების შემთხვევაში;

ბ. ამხანაგის მოთხოვნით, განუსაზღვრელი ვადით შექმნილი ამხანაგობის შემთხვევაში;

გ. განსაზღვრული ვადით შექმნილ ამხანაგობაში მონაწილეობაზე ერთ-ერთი ამხანაგის უარის დროს;

დ. იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც ამხანაგობა იყო შექმნილი;

ე. ამხანაგობის მიზნის მიღწევისას ან იმის გამო, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი გახდა. ამ საფუძველში გამოხატული იყო იურიდიული პირის სპეციალური უფლებუნარიანობის პრინციპი;

ვ. იმ კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში, რომელმაც გადახდევინება მიაქცია ერთ-ერთი ამხანაგის წილზე შენაერთ ქონებაში;  
ზ. ამხანაგების შეთანხმებით;  
თ. სასამართლო წესით ამხანაგობის არაშემძლედ გამოცხადების შემთხვევაში.

ლიკვიდაციის აღნიშნულ საფუძველებში კარგად ჩანდა სრული ამხანაგობის პერსონალური ბუნება, რამდენადაც ზოგიერთი ამხანაგის პიროვნებას შესაძლოა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა ამხანაგობის არსებობისათვის.

ამხანაგობის ლიკვიდაციას აწარმოებდნენ უფლებამოსილი პირები – ლიკვიდატორები. ასეთებად ინიშნებოდნენ როგორც ამხანაგები, ისე – გარეშე პირები. თუკი ამხანაგები ვერ შეთანხმდებოდნენ ლიკვიდატორების არჩევაზე, ამ უკანასკნელთა დანიშვნა შეეძლო სასამართლოს ერთ-ერთი ამხანაგის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, როდესაც სრული ამხანაგობის ლიკვიდაციის საფუძველი იყო სასამართლო წესით ამხანაგობის არაშემძლედ გამოცხადება, ლიკვიდატორებს, ამხანაგების მოთხოვნისაგან დამოუკიდებლად, ნიშნავდა სასამართლო მხოლოდ გარეშე პირთაგან (მუხ. 308).

ლიკვიდატორები ამთავრებდნენ მიმდინარე საქმეებს, ლიკვიდაციის მიზნებიდან გამომდინარე, ღებდნენ ახალ გარიგებებს. თავიანთი საქმიანობის დამთავრებისას ისინი ანგარიშს წარუდგენდნენ ამხანაგობის მონაწილეებს ან სასამართლოს (როდესაც ამხანაგობა გამოცხადებული იყო არაშემძლედ). ამხანაგობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში ისინი სოლიდარულად აგებდნენ პასუხს.

როგორც ვხედავთ, კოდექსი საკმაოდ დაწვრილებით არეგულირებდა სრული ამხანაგობის სამართლებრივ მდგომარეობას, თუმცა მასში ნაკლებად იყო მოწესრიგებული შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები და მათი მოგვარება მთლიანად პარტნიორთა შეხედულებაზე იყო მინდობილი.

არასათანადოდ იყო გადაწყვეტილი პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხიც, რამდენადაც იგი გათვალისწინებული იყო არამარტო საზოგადოების ვალდებულებებისათვის, არამედ – მესამე პირების მიერ ამხანაგობისათვის დადებული გარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებათა მიმართაც, რაც, ფაქტობრივად, განუსაზღვრელად აფართოებდა იმ პირთა წრეს, რომელთა ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელნი იყვნენ პარტნიორები და ამ უკანასკნელთ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

30-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული კანონმდებლობა უკვე აღარ იცნობდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ისევე როგორც სხვა სამეწარმეო საზოგადოებების სამართლებრივ ფორმებს. ეს დუმილი ქართულ კანონმდებლობაში დაირღვა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ 1991 წლის 25 ივლისის კანონის მიღებით.

## ***II. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიხედვით***

სოციალისტური სამართლებრივი სისტემის დაშლასა და საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოში აუცილებელი გახდა საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, მათ შორის – სამეწარმეო საზოგადოებების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება. საკანონმდებლო აქტი, რომელმაც სოციალისტური სამართლებრივი სისტემის დაშლის პერიოდში საქართველოში სამართლებრივად პირველად განამტკიცა სამეწარმეო საზოგადოებები, იყო კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1991 წლის 25 ივლისს. ამ კანონში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობა სრული სამეურნეო ამხანაგობის სახელწოდებით იყო განმტკიცებული. საზოგადოების მარეგულირებელი სპეციალური ნორმები მოცემული იყო კანონის მე-13 მუხლში.

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის რეგულირების სფერო ითვალისწინებდა სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ურთიერთობის მოწესრიგებას, რის გამოც ჰქონდა ძალზე განზოგადებული ხასიათი. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მომწესრიგებელი ნორმების გარდა იგი მოიცავდა შრომითსამართლებრივ, საფინანსო-საკრედიტო, აგრეთვე, მიწასთან, პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს. თავად სრული სამეურნეო ამხანაგობის სამართლებრივი მდგომარეობა, ისევე როგორც დანარჩენი საწარმოებისა, ზოგადად იყო რეგულირებული, რაც განაპირობებდა ცალკეული კანონ-ქვემდებარე აქტების მიღების აუცილებლობას. ასეთი აქტის მიღება საჭირო გახდა სამეურნეო ამხანაგობების მიმართაც და გარდა ზემოაღნიშნული კანონისა, სრული სამეურნეო ამხანაგობის სამართლებრივი მდგომარეობა აგრეთვე განმტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ სრულ სამეურნეო ამხანაგობას განსაზღვრავდა როგორც ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის რამდენიმე ფიზიკური და (ან) იურიდიული პირის გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე (მე-13 მუხლის პირველი აბზაცი). ამდენად, ამ განსაზღვრების მიხედვით სრული სამეურნეო ამხანაგობის ცნების დამახასიათებელ ნიშნებს განეკუთვნებოდა:

ა. სამეურნეო საქმიანობის განხორციელება;

ბ. ამხანაგობაში რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის მონაწილეობა;

გ. გაერთიანების სახელშეკრულებო ხასიათი.

როგორც ვხედავთ, კანონი ამხანაგობის ცნების არსებით ნიშნად არ განიხილავდა საზოგადოების ვალდებულებებისათვის პარტნიორთა

სოლიდარულ პასუხისმგებლობას, რაც ამ საზოგადოების უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია. ეს ნიშანი ცალკე იყო გამოყოფილი და უკავშირდებოდა არა ცნების, არამედ – იურიდიულ პირად ამხანაგობის არალიარების საკითხს (მე-13 მუხლის მე-2 აბზაცი), მაშინ როდესაც იგი საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დამაფუძნებელია და არა იურიდიულ პირად მისა ყოფნისა.

სრული სამეურნეო ამხანაგობის საფირმო სახელწოდებაში მითითებული უნდა ყოფილიყო საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ერთ-ერთი მონაწილე ფიზიკური პირის გვარი ან იურიდიული პირის სახელწოდება მაინც (მე-13 მუხლის მე-5 აბზაცი). დებულების მიხედვით აკრძალული იყო ამხანაგობაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოს, სახელმწიფო საწარმოსა და იმ საწარმოს მონაწილეობა, რომლის ქონებაშიც სახელმწიფო წილი 25%-ზე მეტს შეადგენდა. ეს იყო გარდამავალი ხასიათის ნორმა და გამომდინარეობდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების ინტერესებიდან.

იმის გამო, რომ სრული სამეურნეო ამხანაგობა არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, მისი ქონება განუყოფელი იყო მონაწილეთა ქონებისაგან და ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდა საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

სრული სამეურნეო ამხანაგობის შექმნისა და რეგისტრაციის წესი, მისი ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის საკითხები კანონში მოწესრიგებული იყო ასევე ზოგადი სახით, დებულების ნორმები ავსებდა ამ საკითხებს.

ამხანაგობის დაფუძნებისას სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სახით დებულება ითვალისწინებდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების არსებობას, რომელიც წარმოადგენდა ამხანაგობის შექმნისა და საქმიანობის საფუძველს. დებულებითვე განსაზღვრული იყო ხელშეკრულებაში შესატანი აუცილებელი მონაცემები, მათ შორის: ამხანაგობის საფირმო სახელწოდება,

ამხანაგობის საგანი, მონაწილე ფიზიკურ პირთა სახელი, გვარი, მისამართები, მონაწილე იურიდიულ პირთა დასახელება, ადგილსამყოფელი, ბანკის ანგარიშის ნომრები, პარტნიორთა უფლება-მოვალეობები, მათი წილი ამხანაგობის საერთო ქონებაში, ამხანაგობისათვის შენატანების გადახდისა და გადაცემის წესი და ვადები, ამხანაგობის სალაროდან ნაღდი ფულის გატანის წესი, მოგებისა და ზარალის განაწილების წესი, ამხანაგობაში წევრების მიღების, მათი გარიცხვის წესი და პირობები, ამხანაგობის საქმეების გამგებლობის უფლებამოსილების მქონე პირები, ამხანაგობის მართვის წესი და პირობები, ამხანაგობის მიერ გადაწყვეტილების მიღების, ამხანაგობის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი.

სრული სამეურნეო ამხანაგობის სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებდნენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის დამფუძნებლებს უნდა წარედგინათ შემდეგი დოკუმენტები: განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ; დამფუძნებელთა ხელშეკრულება, მოწმობა; სარეგისტრაციო გადასახადის შესახებ. საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად კანონი ითვალისწინებდა ერთი თვის ვადას ყველა საჭირო დოკუმენტის ჩაბარებიდან. მარეგისტრირებული ორგანო ვალდებული იყო, გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში დამფუძნებელთათვის წერილობით ეცნობებინა თავისი გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან მასზე უარის შესახებ.

სადამფუძნებლო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის პროცედურა კანონით გართულებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში კანონი მოითხოვდა საწარმოს ხელახალ რეგისტრაციას. გარდა ამისა, ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნა გათვალისწინებული იყო საწარმოს გაყიდვის, იჯარით გაცემის ან შესამე პირებზე სხვა წესით გადაცემის შემთხვევებშიც.



საწარმო დაფუძნებულად ითვლებოდა მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

ღებულება კრძალავდა სრულ სამეურნეო ამხანაგობაში მონაწილეთა შენატანი ყოფილიყო აქციები ან ისეთი ქონება, რაზედაც საკუთრების უფლების გაფორმება რეგისტრაციას საჭიროებდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (3.2 მუხლი). შესატანების შეუტანლობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო საურავის დარიცხვა ან შეტანაზე ვალდებული წევრის გარიცხვა ამხანაგობიდან.

სრული სამეურნეო ამხანაგობის შიდა ურთიერთობების მოწესრიგება, ძირითადად, დამოკიდებული იყო პარტნიორების შეთანხმებაზე. გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველ პარტნიორს ჰქონდა ერთი ხმა მისი წილის ოდენობის მიუხედავად.

ღებულება ითვალისწინებდა კონკურენციის აკრძალვის წესებსაც, რომლის შესაბამისად ამხანაგს ეკრძალებოდა, დანარჩენი ამხანაგების თანხმობის გარეშე ჰქონოდა ინდივიდუალური საწარმო, რომელიც განახორციელებდა ამხანაგობის ანალოგიურ საქმიანობას ან ყოფილიყო მსგავსი საქმიანობის განმხორციელებელი სხვა ამხანაგობის ნამდვილი წევრი. კონკურენციის აკრძალვის წესების დამრღვევი პარტნიორი ვალდებული იყო, ამხანაგობისათვის აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი, ხოლო მის მიერ სხვა ამხანაგობაში დადებული გარიგებები მიიჩნეოდა ამხანაგობის კუთვნილებად და ამ გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი ჩაირიცხებოდა სრული სამეურნეო ამხანაგობის ანგარიშზე (4.8 მუხლი).

მოუხედავად იმისა, რომ სრული სამეურნეო ამხანაგობა არ ატარებდა იურიდიული პირის სტატუსს, პარტნიორთა პასუხისმგებლობას საზოგადოების ვალდებულებებისათვის ჰქონდა არა პირდაპირი და უშუალო, არამედ – სუბსიდორი ხასიათი. ამხანაგობის მიერ ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო პირველ რიგში ამხანაგობის ქონების ხარჯზე

და მხოლოდ ამ ქონების უკმარისობის შემთხვევაში დაიშვებოდა კრედიტორების დაკმაყოფილება ამხანაგობის მონაწილეთა პირადი ქონებიდან (დებულების 1.9 მუხლი).

სრული სამეურნეო ამხანაგობის ლიკვიდაცია, ისევე როგორც რეორგანიზაცია, გათვალისწინებული იყო ამხანაგობის გადაწყვეტილებით, სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საწარმოს გაკოტრების გამო, კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ლიკვიდაციას ახორციელებდა სალიკვიდაციო კომისია ან პარტნიორების გადაწყვეტილებით – საწარმოს მართვის ორგანო. ლიკვიდაციის განმხორციელებელი ორგანოს დანიშვნის მომენტიდან საწარმო იღებდა სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსს: საწარმოს მართვის ორგანოების ფუნქციები გადაეცემოდა ლიკვიდაციის განმხორციელებელ ორგანოს, რომელსაც ენიჭებოდა უფლებამოსილება, დაელო გარიგებები ლიკვიდაციის მიზნებიდან გამომდინარე. საწარმოს ლიკვიდაციის განმხორციელებელი ორგანოს კომპეტენციაში შედიოდა: საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ოფიციალურ ბუკდვით ორგანოში განცხადების გამოქვეყნება ლიკვიდაციის და კრედიტორთა პრეტენზიების წარმოდგენის ვადებისა და წესის შესახებ, კრედიტორთა პრეტენზიების გამოვლენა და მათთან ანგარიშსწორება, საწარმოს არსებული ქონების დებიტორული დავალიანებების ამოღება და საწარმოს ქონების შეფასება, სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა და პარტნიორებისათვის წარდგენა.

კანონი ადგენდა სალიკვიდაციო ვადას, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ორ თვეზე ნაკლები ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გამოქვეყნების მომენტიდან (მუხ. 40).

კანონი ითვალისწინებდა კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ წესს: უწინარეს ყოვლისა, უნდა დაფარულიყო ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე. პრეტენზიების წარმოსადგენად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ გამოვლენილი და წარმოდგენილი

პრეტენზიები კმაყოფილდებოდა პირველი რიგის პრეტენზიების, გამოვლენილი პრეტენზიების, აგრეთვე დადგენილ ვადაში განცხადებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონებიდან. დაფარულად ითვლებოდა ქონების უკმარისობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები, აგრეთვე ის პრეტენზიები, რომლებიც არ ცნო ლიკვიდაციის განმხორციელებელმა ორგანომ და კრედიტორებმა ამის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში არ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში. კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენებოდა პარტნიორთა შეხედულებისამებრ (მუხ. 41).

თავად იმ ფაქტს, რომ კანონმა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ მოაწესრიგა და ქართულ სინამდვილეში კვლავ დაამკვიდრა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმა, საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის თვალსაზრისით, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამ საზოგადოების კანონისმიერი რეგულირება არ იყო სრულყოფილი. კანონი საზოგადოების ცნების არსებით ნიშნად არ განიხილავდა საზოგადოების ვალდებულებებისათვის პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობას, არ აღიარებდა მას იურიდიულ პირად, საზოგადოების რეგისტრაციას ითვალისწინებდა მმართველობის ორგანოს მიერ და ამით საზოგადოების შექმნას უფრო საჯარო ინტერესს უქვემდებარებდა. სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული არც შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მესამე პირებთან საზოგადოების ურთიერთობის საკითხები. მაშინ, როდესაც საზოგადოების სალიკვიდაციო პროცესი შეიძლება გაუთვალისწინებლად გახანგრძლივდეს და, ამდენად, წინასწარ დადგენილ დროში განხორციელებას ნაკლებად ექვემდებარება, კანონი ლიკვიდაციის მიმართ ადგენდა ორთვიან ზღვრულ ვადას. კანონის არასრულყოფილება, თავის მხრივ, სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობას იწვევდა. „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონის დაბალი

საკანონმდებლო ტექნიკის დონე, რეგულირების არასრულყოფილება სათანადო სამართლებრივი ბაზის უქონლობას მიწმობდა და განაპირობებდა უფრო სრულყოფილი კოდიფიკაციის საჭიროებას.<sup>56</sup>

1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, გააგრძელა და განავითარა ის საუკეთესო ტრადიციები, რაც დასავლეთ ევროპის სევაჭრო კოდექსებმა შესძინეს სამართლის მეცნიერებას.

თუ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებული დღევანდელი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივ ფორმას შევადარებთ ზემოთ განხილულ საზოგადოებებს, უფრო მეტ მსგავსებას დავინახავთ 1923 წლის კოდექსში განმტკიცებულ სრულ ამხანაგობასთან. ამასთან, საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში ქართულ სამართალზე გავლენა გერმანულმა სამართალმა იქონია. ამიტომ 1923 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული სრული ამხანაგობა დღევანდელი სპს-ის ისტორიულ წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ.

## §5. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – პერსონალური საზოგადოება

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება პერსონალური საზოგადოებაა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის სამართლებრივ ბუნებას. იურიდიულ მეცნიერებაში მიღებულია, რომ პერსონალურ და კაპიტალურ საზოგადოებებზე სამეწარმეო საზოგადოებების კლასიფი-

---

<sup>56</sup> ლ. ჭანტურია, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. სერგო ჯორბენაძე, 70, საიუბილეო კრებული, 1996. გვ.33.

კაციას<sup>57</sup> საფუძვლად უდევს შემდეგი კრიტერიუმი: პერსონალურ საზოგადოებებში პარტნიორად ყოფნა, როგორც წესი, გულისხმობს უშუალო მონაწილეობას საზოგადოების საქმიანობაში, საზოგადოების საწარმოო საქმეების გაძღოლას, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების ქონას. ამიტომ ასეთი საზოგადოების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული პარტნიორთა პირად თვისებებზე, საზოგადოების ხანგრძლივობა – პარტნიორთა პიროვნებაზე, „აქ ნაკლებად მყარი კრიტერიუმებია, უფრო სწორად – ცვალებადი, აქ მეტი დამოკიდებულებაა სუბიექტურ შეხედულებასა და პირად ნებაზე“.<sup>58</sup> პერსონალური საზოგადოებებისაგან განსხვავებით, კაპიტალურ საზოგადოებებში პარტნიორად ყოფნა არ გულისხმობს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების ქონას და პარტნიორთა პირადი თვისებებიც ნაკლებ გავლენას ახდენს საზოგადოების საქმიანობაზე. ამასთან, პერსონალური საზოგადოებისათვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობა მთელი პირადი ქონებით, ხოლო კაპიტალური საზოგადოებისათვის – სავალდებულო საწესდებო კაპიტალის არსებობა, საზოგადოების მართვა განსაკუთრებული ორგანოების მეშვეობით, პარტნიორთა შეზღუდული პასუხისმგებლობა საზოგადოების ქონებაში მხოლოდ მათი შენატანის

---

<sup>57</sup> განსხვავებენ სამეწარმეო საზოგადოებების კლასიფიკაციას სხვა კრიტერიუმების მიხედვითაც: შექმნის საფუძვლის მიხედვით (მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის მქონე საზოგადოებები), შექმნის წესის მიხედვით (ნებაყოფლობით, განკარგულების და თვითდაფუძნების საფუძველზე შექმნილი საზოგადოებები), პასუხისმგებლობის ხასიათის მიხედვით (საზოგადოებები შეზღუდული და შეუზღუდავი პასუხისმგებლობით) და ა.შ. იხ. ეოლფი, დასახ. ნაშრ., გვ.23; ბოგატიხ, დასახ. ნაშრ., გვ.60-61.

<sup>58</sup> Н. Л. Дювернуа, Из курса лекции по гражданскому праву, С-ПТ., 1895, стр.422.

ფარგლებში.<sup>59</sup> იურიდიულ მეცნიერებაში პერსონალურ საზოგადოებებს სხვაგვარად ამხანაგობის ტიპის გაერთიანებებსაც უწოდებენ.

როგორც ვხედავთ, პერსონალური და კაპიტალური საზოგადოებების განსხვავებას განაპირობებს პირადი და ქონებრივი მომენტების მნიშვნელობა თითოეულ საზოგადოებაში. მაგრამ ის გარემოება, რომ პერსონალური საზოგადოება რამდენიმე პირის მიერ შექმნილია *intuitu personae*, ანუ მონაწილეთა პირადი თვისებების გათვალისწინებით,<sup>60</sup> არ ნიშნავს იმას, თითქოს პერსონალურ საზოგადოებაში კაპიტალი არ თამაშობდეს რაიმე როლს ან პირიქით. როგორც პირადი, ისე ქონებრივი მომენტი ანგარიშგასაწევია ორივე ტიპის საზოგადოებაში. ამიტომ პერსონალური და კაპიტალური საზოგადოებების ნიშნები მეტ-ნაკლებად ყველა სამეწარმეო საზოგადოებას ახასიათებს. თავად სპს-ის პერსონალური ხასიათი უფრო მკაცრადაა გამოხატული, ვიდრე კომანდიტური საზოგადოებისა, რომელიც აგრეთვე პერსონალური საზოგადოებაა. სააქციო საზოგადოებაც კი, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებებში პარტნიორთა პირადი ქონებისაგან საზოგადოების ქონების განკერძოების ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება, საზოგადოების მიერ პარტნიორთა პიროვნების შთანთქმის თვალსაზრისით, არ არის მიჩნეული იდეალურ იურიდიულ პირად.<sup>61</sup> კაპიტალური საზოგადოების ბუნების გასაგებად არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის გარემოება, რომ იგი წარმოადგენს არა მკვლარ კაპიტალს, არამედ – გაერთიანებას პირებისა, რომლებიც საზოგადოების პარტნიორები არიან. პირადი ენერჯის, პირადი ძალისხმევის გარეშე ეს

---

<sup>59</sup> Германское право, ч.II. М., 1996, стр.9

<sup>60</sup> Жюллино де ла Морандьер, Гражданское право Франции, М., 1958, стр.233.

<sup>61</sup> დასრულებულ. ყველაზე მეტად განვითარებულ იურიდიულ პირად. ე.წ. „პასუხისმგებლობის „ჭერად“ ითვლება დაწესებულება (ფონდი), იხ. С. Н. Братушь, Юридические лица в советском гражданском праве, М., 1974, стр.150.

საზოგადოება არათუ წარმოიშობა, ვერც იარსებებს, ისევე, როგორც პერსონალური საზოგადოებაც ვერ იარსებებს მხოლოდ პირადი ძალებით, კაპიტალის გარეშე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პერსონალურ ბუნებას განაპირობებს საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა, რამდენადაც პასუხისმგებლობის ასეთი ხასიათის გამო პარტნიორები თვითონვე არიან დაინტერესებულნი, პირადად გაუძღვნენ საზოგადოების საწარმოო საქმეებს.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პერსონალური ბუნება ძველიდან მოკიდებული, ერთხმად არის აღიარებული ცივილურ სამართალში, თუმცა არსებობდა თვალსაზრისიც, რომელიც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიაკუთვნებდა პერსონალური და კაპიტალური საზოგადოებების შუალედურ ფორმას, იმ მოსაზრებით, რომ იგი ერთგვარად გართულებულია კაპიტალური საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი ერთიანობის საწყისებით.<sup>62</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პერსონალური და კაპიტალური საზოგადოებების ნიშნები მეტ-ნაკლებად ყველა სამეწარმეო საზოგადოებას ახასიათებს. ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება იმას, აქვს თუ არა პირადი ძალებით პარტნიორთა მონაწილეობის ხარისხს საზოგადოების სამართლებრივი ფორმისათვის დამაფუძნებელი მნიშვნელობა. ამიტომ ზემოხსენებული შუალედური ფორმაც სხვა არაფერია, თუ არა პერსონალური საზოგადოება მის საქმიანობაში პარტნიორთა პირადად მონაწილეობის გარკვეული ხარისხით. ზემოაღნიშნული თვალსაზრისი გამომდინარეობს არასრულ იურიდიულ პირად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების აღიარებასთან დაკავშირებული შეხედულებიდან, რომელსაც ამ საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის საკითხზე მსჯელობისას შევეხებით

---

<sup>62</sup> დიუვერნუა, დასახ. ნაშრ., გვ.492.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პერსონალური ბუნება ნათლად არის გამოხატული კანონში „მეწარმეთა შესახებ“. ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კავშირი პარტნიორთა პიროვნებასთან ქმნის მის რიგ თავისებურებებს, რაც აისახება როგორც შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების, ისე მესამე პირებთან საზოგადოების ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების ხასიათში. პირველ ყოვლისა, ეს თავისებურება ახასიათებს საზოგადოების ხელმძღვანელობის ფორმას. „თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია, გაუძღვეს საწარმოო საქმეებს, რომლებსაც ისინი საჭიროებისამებრ ცალ-ცალკე განახორციელებენ, თუკი ცალკეულ შემთხვევაში რომელიმე პარტნიორი ამის წინააღმდეგი არ იქნება“ (23 მუხლი). მაშასადამე, საზოგადოების ყოველ პარტნიორს შეუძლია, მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგინოს საზოგადოება, განსხვავებით კაპიტალური საზოგადოებების პარტნიორებისაგან. ამიტომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების კონტრაქტები ვალდებულნი არ არიან, იცოდნენ ამა თუ იმ პარტნიორის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. გარიგებების დადებისას მათთვის საკმარისია, დარწმუნდნენ, რომ საქმე აქვთ ერთ-ერთ პარტნიორთან. ამის გამო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე პარტნიორის მიერ საზოგადოების სახელით დადებული გარიგება იქნება ნამდვილი, თუკი საზოგადოება ვერ დაამტკიცებს, რომ გარიგების კონტრაქტმა ხელშეკრულების დადებისას იცოდა კონკრეტული პარტნიორის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე ან შეეძლო ეს სცოდნოდა, მაგალითად, კონტრაქტი იცნობდა საზოგადოების წესდებას, რომელიც ითვალისწინებდა ამგვარ შეზღუდვას და ყურადღება უნდა გაემახვილებინა ამ საკითხზე.

გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახელით გარიგებას დადებს



ერთი პარტნიორი, ზოლო მას-უხისმგებლობა დაეკისრება სხვა პარტნიორს (პარტნიორებს) მთელი პირადი ქონებით. ამიტომ საზოგადოების პარტნიორები, როგორც წესი, კარგად უნდა იცნობდნენ და ენდობოდნენ ერთმანეთს.

პარტნიორთა მიერ საზოგადოების საწარმოო საქმეების გაძლოლისა და წარმომადგენლობის თანაბარი უფლებამოსილება ბევრად აიოლებს საზოგადოებაში წარმოების მართვისას წარმოშობილი სირთულეების მოგვარებას, ამცირებს უთანხმოებისა და დაპირისპირების შესაძლებლობას პარტნიორთა შორის, უზრუნველყოფს საზოგადოებაში საწარმოო პროცესისათვის საჭირო მოქნილობას. პარტნიორთა დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა ხელს უწყობს მათ სამეურნეო ინიციატივას.

სპს-ის პერსონალური ბუნება გამოიხატება საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე საკითხების გადაწყვეტის წესშიც. ყოველ პარტნიორს საზოგადოების კრებაზე აქვს თითო ხმა (22.3 მუხლი). ამდენად, ყოველი პარტნიორს აქვს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის თანაბარი უფლებამოსილება, მიუხედავად მისი წილისა საზოგადოების კაპიტალში. სპს-ის პერსონალური ბუნება გამოიხატება პარტნიორთა შემადგენლობის ცვლილებასთან, აგრეთვე საზოგადოების ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ თავისებურებებშიც. სწორედ იმის გამო, რომ სპს პერსონალური საზოგადოებაა, მასში სულერთი არ არის, თუ ვინ იქნება საზოგადოების პარტნიორი. უფრო მეტიც, კონკრეტული პარტნიორის ყოფნას საზოგადოებაში შესაძლებელია, თვით საზოგადოების არსებობაც კი უკავშირდებოდეს. ამიტომ სპს-ის პარტნიორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, გაასხვისოს თავისი წილი კაპიტალი, თუ ყველა დანარჩენი პარტნიორი წინასწარ განაცხადებს თანხმობას ან თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასხვისება (30-ე მუხლის პირველი წინადადება). ზოგჯერ კონკრეტული პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან ან გარდაცვალება სპს-ის ლიკვიდაციის საფუძველიც შეიძლება გახდეს

(14.1.1 მუხლის მეორე წინადადება). ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან ნათლად ჩანს, რომ სპს წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული იურიდიული პირია.<sup>63</sup>

საზოგადოების პერსონალური ხასიათი ვლინდება საზოგადოების კრედიტორებისადმი პარტნიორის შეგებებული მოთხოვნის წაყენების წესშიც. პარტნიორს შეუძლია, წარდგენილი პრეტენზიის წინააღმდეგ წარმოადგინოს მხოლოდ ის შეგებებული მოთხოვნა, რომლის უფლებაც, გარდა საზოგადოებისა, პირადად მასაც აქვს ამ პრეტენზიის საწინააღმდეგოდ (21.1 მუხლი). ამასთან, სპს-ის ყოველ პარტნიორს შეუძლია, გადაწყვიტოს საზოგადოების ბედი. კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ლიკვიდაციას ერთ-ერთი პარტნიორის მოთხოვნით, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში (29.1 მუხლი), ამასთან, ბათილია ამგვარი მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა (29.3 მუხლი). კაპიტალური საზოგადოებების რეგულირების შემთხვევაში ანალოგიურ ნორმას კანონი არ ითვალისწინებს.

კაპიტალური საზოგადოებისაგან განსხვავების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპს-ის პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის წესი, რომელიც საზოგადოების წინაშე პარტნიორისათვის დაკისრებული არსებითი მოვალეობის დარღვევის შემთხვევაშია გათვალისწინებული (31.2 მუხლი). ამ შემთხვევაში გარიცხვას განაპირობებს პარტნიორის პიროვნული თვისებები და მისი პიროვნული კავშირი საზოგადოებასთან. საყურადღებოა, რომ ამ საფუძვლით პარტნიორის გარიცხვა არ არის გათვალისწინებული კაპიტალურ საზოგადოებებში, სადაც პარტნიორის გარიცხვას განაპირობებს სხვა კრიტერიუმი – პარტნიორის კაპიტალის კავშირი საზოგადოებასთან (3.5 მუხლი).

---

<sup>63</sup> ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, გვ.246.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პერსონალური ხასიათი გამოიხატება იმაშიც, რომ საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები (20.2 მუხლი).

ამდენად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პერსონალური ბუნება თვალსაჩინოა. იგი ორიენტირებულია საზოგადოებაში პარტნიორთა პირადად მონაწილეობაზე, თუმცა ასეთი მონაწილეობის ხარისხს ბევრად განსაზღვრავს თვით პარტნიორთა ურთიერთშეთანხმება.

## §6. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – იურიდიული პირი

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება იურიდიული პირია (2.6 მუხლი). უცხოურ კანონმდებლობათა უმეტესობა ამ საზოგადოებას ასევე იურიდიულ პირად აღიარებს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად, გერმანიისა და შვეიცარიის, აღნიშნულ საკითხს განსხვავებულად წყვეტს. მაგრამ, მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობათა გაბატონებული პოზიციის არსებობისა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, სამართლებრივი ბუნება ყოველთვის სადავო იყო კერძო სამართლის დოქტრინაში და დღემდე ამ საკითხზე ცივილისტებს ერთსულოვნებისთვის ვერ მიულწევიათ. ეს გარემოება, მნიშვნელოვანწილად, განპირობებულია იმით, რომ თავად იურიდიული პირის საკითხი წარმოადგენს მეტად სადავოს და, ბუნებრივია, ძირითად საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის არსებობა ხელს უშლის ერთიანი აზრის მიღწევას კონკრეტული საკითხის – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართალსუბიექტობის თაობაზეც. ჩვენი მიზანი არ არის იურიდიული პირის შესახებ მოძღვრებისა და არსებულ თეორიულ შეხედულებათა გაანალიზება, მათ შევეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების იურიდიული ბუნების გარკვევა.

ნაწილი ცივილისტებისა საერთოდ არ მიიჩნევს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას იურიდიულ პირად საზოგადოების ნათლად გამოხატული პერსონალური ხასიათის, განსაკუთრებით კი – კაპიტალური საზოგადოებებისაგან განსხვავებული პასუხისმგებლობის არსებობის გამო. შევეხებით როგორც ძველ, ისე – ახალ ავტორთა მოსაზრებებს.

ერთ დროს კ. პობელონოსცევი ავითარებდა აზრს, რომ სრულ ამხანაგობაში შეუძლებელია საზოგადოების ქონებისაგან პარტნიორების ქონების გამიჯვნა.<sup>64</sup> ს. ბრატუსი იზიარებდა ამ თვალსაზრისს და მას ხსნიდა პარტნიორთა შენატანებით შექმნილი ქონების პარტნიორთა ინდივიდუალური ქონებისაგან განკერძოების იმდენად დაბალი ხარისხით, რომ საზოგადოების ვალაუვალობის შემთხვევაში მის ქონებასა და პარტნიორების პირად ქონებას შორის ზღვარი სრულიად იშლება.<sup>65</sup> ა. კამინკა საზოგადოების ვალდებულებებისათვის პარტნიორთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის არსებობას მიიჩნევდა სრულ ამხანაგობაში იურიდიული პირის ბუნების უარყოფის ძირითად საფუძვლად, რის გამოც სენატის განმარტებას იურიდიულ პირად ამ ამხანაგობის აღიარების თაობაზე „საკმაოდ გაბედულ განმარტებას“ უწოდებდა.<sup>66</sup>

ზოგიერთი ცივილისტი იურიდიულ პირად სპს-ის აღიარებას კონკრეტული ფაქტის საკითხად განიხილავდა.<sup>67</sup>

ცივილისტების ნაწილი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიიჩნევდა არასრულ, ბოლომდე ჩამოუყალიბებელ იურიდიულ პირად, რომელიც განიხილებოდა როგორც ერთგვარად

---

<sup>64</sup> პობელონოსცევი, დასახ. ნაშრ., გვ.505.

<sup>65</sup> ბრატუსი, დასახ. ნაშრ., გვ.149.

<sup>66</sup> კამინკა, დასახ. ნაშრ., გვ.215-218.

<sup>67</sup> ნიკონოვი, დასახ. ნაშრ., გვ.71-72, 77.

განკერძობული, თვითმყოფადი გაერთიანება, იმაზე მეტი, ვიდრე უბრალოდ სახელშეკრულებო ურთიერთობაა, მაგრამ იმავედროულად, ლათინურ universitas-თან შედარებით – როგორც შეფარდებითი პირადი უფლებათუნარიანობა.<sup>65</sup>

ეს უკანასკნელი თვალსაზრისი, ძირითადად, გერმანული სამართლიდან მომდინარეობდა და დაკავშირებული იყო ორგანული თეორიის იმ დებულებასთან, რომელიც შესაძლებლად თვლიდა ისეთი უფლებათუნარიანი კავშირების არსებობას, ოურიდოულ პირებს რომ არ წარმოადგენენ. ორგანული თეორიის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი გირკე ამ მოვლენას ხსნიდა Genossenschaftstheorie-ის შესახებ თავისი ცნობილი მოძღვრებით.<sup>66</sup> ამ მოძღვრების მეშვეობით გირკე შეეცადა, შეეცვალა ადამიანთა ორგანიზებული კოლექტიური წარმონაქმნების საკითხზე რომანისტული მოძღვრების მიმდევართა მიერ აღიარებული რომის სამართლის კლასიკური კონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც იყო აგებული კოლექტიური პირების სამართალსუბიექტობა. ამ კონსტრუქციის მიხედვით არსებობდა კავშირების ორი სახე – ერთი მხრივ, გაერთიანება (communio), რომელიც ამხანაგობის (societas) ხელშეკრულებიდან აღმოცენდებოდა, სადაც სამართალურთიერთობის სუბიექტები იყვნენ ცალკე აღებული ადამიანები და არა ამხანაგობა, როგორც უფლებათუნარო კავშირი და, მეორე მხრივ, კორპორაცია (universitas ანუ collegium), რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდიოდა როგორც იურიდიული პირი, ანუ როგორც მთლიანობა (corpus) და „ერთიანობა სიმრავლეში“ და შეესაბამებოდა იურიდიული პირის უფლებათუნარიანობის არსს.

---

<sup>65</sup> დიუვერნუა, დასახ. ნაშრ., გვ.478-479.

<sup>66</sup> ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. Л. Герваген, Теория общественных союзов. Юридический вестник, т.VIII, М., 1891, стр.362-396.

გირკემ კავშირების ახალ კონსტრუქციას საფუძვლად დაუდო ერთობლივი საკუთრების გერმანული ინსტიტუტი, ე. წ. „საერთო ხელის“ (zur gesammte Hand) საკუთრება, როგორც გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენა. ამის შესაბამისად ის განასხვავებდა კიდევ ერთი ტიპის კავშირს, რომელიც იურიდიული პირებისა და პირთა მექანიკური გაერთიანების ორგანულ შერწყმას წარმოადგენდა. ამგვარი შერწყმის შედეგად კავშირის წევრთა ინდივიდუალური ყოფა ნაწილობრივ იცვლებოდა კოლექტიური ყოფით, რის გამოც ასეთი კავშირი განიხილებოდა როგორც ნაწილობრივად უფლებაუნარიანი, არასრული იურიდიული პირი. გირკეს კონსტრუქცია გერმანულ სამართალში საფუძვლად დაედო ღია სავაჭრო საზოგადოების სამართლებრივი ბუნების გაგებას. ეს საზოგადოება, როგორც სამართლის სუბიექტი, განიხილებოდა მხოლოდ ზოგიერთ ურთიერთობაში მესამე პირებთან. სხვაგვარად, ამ შემთხვევაში საუბრობდნენ ერთგვარ შუალედურ უფლებაუნარიანობაზე იურიდიული პირისა და ინდივიდის უფლებაუნარიანობას შორის. თუმცა რიგი მეცნიერი თვლიდა, რომ უფრო მართებული იქნებოდა მსჯელობა ერთობლივ საკუთრებაზე, რომელიც შესაძლებელი იყო, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში განხილულიყო როგორც იურიდიული პირი.<sup>70</sup> გირკეს კონსტრუქცია დღემდე გაბატონებულს წარმოადგენს გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ბუნების გასაგებად. ეს საზოგადოება დღესაც გერმანული სამართლის დოქტრინაში განიხილება, როგორც ნაწილობრივ უფლებაუნარიანი პირი.<sup>71</sup>

---

<sup>70</sup> Л. Эннекверус, Курс германского гражданского права, т. I, полутом I, М., 1949, стр.356.

<sup>71</sup> კუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.88.

სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ის, რასაც გერმანისტები და მათი მიმდევრები გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი ტიპური მოვლენის შესატყვის: ფორმად თვლიან, სხვა არაფერია, თუ არა ნაირსახეობა საზოგადოებრივი წარმონაქმნისა, რომელიც წარმოადგენს სამართლის სუბიექტს, ანუ იურიდიულ პირს.<sup>72</sup>

ვიდრე გავარკვევდეთ, წარმოადგენს თუ არა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავისი სამართლებრივი ბუნებით იურიდიულ პირს, განვსაზღვროთ, რაზეა დამოკიდებული თავად იურიდიულ პირად ყოფნა, – რაიმე სამართლებრივი კრიტერიუმით არის განპირობებული, თუ აღნიშნავს გარკვეულ ფაქტობრივ მოვლენას.

თუკი დავუშვებთ, რომ იურიდიული პირი აღნიშნავს გარკვეულ ფაქტობრივ ან სოციალურ მოვლენას, როგორც ამას არაპირდაპირად აღიარებდა გირკე,<sup>73</sup> მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე გაერთიანებები, მიუხედავად იმისა, ერთნაირად რეალურნი თუ არარეალურნი არიან და ერთნაირი ხარისხით ფლობენ თუ არა დამოუკიდებელ ნებას, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულნი არიან იურიდიულ პირებად, ხოლო რიგ ქვეყნებში – არა? მაგალითად, რატომაა, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოს კანონმდებლობით წარმოადგენს იურიდიულ პირს, ხოლო გერმანიაში გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით ასეთად არ არის მიჩნეული? მით უფრო, რომ გერმანიის სავაჭრო კოდექსი სამოქალაქო ბრუნვის დამოუკიდებელ მონაწილედ აღიარებს ღია სავაჭრო საზოგადოებას (§124), რომელსაც შეუძლია, თავისი საფირმო სახელწოდებით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, აქვს პროცესუალური უფლებაუნარიანობა, საზოგადოების გაკოტრებულად

---

<sup>72</sup> ბრატუსი. დასახ. ნაშრ., გვ.41.

<sup>73</sup> ვოლფი, დასახ. ნაშრ., გვ.16.

გამოცხადება ავტომატურად არ იწვევს პარტნიორების გაკოტრებულად გამოცხადებას, მაშინ, როდესაც ასეთ შემთხვევაში, ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით გადახდევინებაზე სააღსრულებლოდ მიიქცევა პარტნიორთა ქონებაც.

მაშასადამე, ამა თუ იმ გაერთიანების რეალურობა ჯერ კიდევ არ წყვეტს იურიდიულ პირად მისი ყოფნის საკითხს, სამართალსუბიექტობა თანდაყოლილი, აპრიორული თვისება კი არა, საზოგადოებრივი თვისებაა<sup>74</sup> და წარმოადგენს კანონმდებლის პრეროგატივას. თავად ფიზიკური პირის სამართალსუბიექტობაც სამართლის ნორმაზეა დაფუძნებული და ამ გაგებით ისეთივე ფიქციას წარმოადგენს, როგორც იურიდიული პირის სამართალსუბიექტობა. ამიტომ, მიეცემა თუ არა რეალურად არსებულ გაერთიანებას იურიდიული პირის უფლებები, ეს პოზიტიურ სამართალზეა დამოკიდებული და განპირობებულია იმით, სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიაჩნია თუ არა კანონმდებელს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები (თვისებები) იურიდიულ პირად აღიარებისათვის საკმარისად. საზოგადოებებში, რომლებიც იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, ჩვენ ვერ მოვნახავთ იმ ერთადერთ აბსოლუტურ კრიტერიუმს, რომელიც ერთნაირად გაამართლებდა მათ იურიდიულ პირებად ყოფნას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების შედარების მაგალითზე. სააქციო საზოგადოების ქონებრივი განკერძოებულობისა და ორგანიზაციული ერთიანობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ მისი კავშირი პარტნიორების პირად და ქონებრივ სფეროსთან უაღრესად სუსტდება. დაწყებული საფირმო სახელწოდებიდან, აქ საზოგადოების ინდივიდუალობით შთაინთქმება პარტნიორთა ინდივიდუალობა; საზოგადოების ვალდებულებები არ

---

<sup>74</sup> ბრატუსი, დასახ. ნაშრ., გვ.41.



წარმოადგენს პარტნიორთა ვალდებულებებს, თითოეული პარტნიორი არ წარმოადგენს საზოგადოებას. ეს ნიშნები არ არის ასე მკვეთრად გამოხატული სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, თუმცა ისინი არც სააქციო საზოგადოებას შეიძლება მივაკუთვნოთ, როგორც სავსებით დამოუკიდებელ ერთეულს.

ამდენად, ყოველი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იურიდიული პირისათვის დამახასიათებელ ნიშნებს მეტ-ნაკლები სიძლიერით შეიცავს, იგივე ქონებრივი განკერძოებულობაც სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული ხარისხობრივი გამოხატულებით ხასიათდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც გვექნებოდა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა არსებული სიმრავლე. სამოქალაქო ბრუნვის, საზოგადოებრივი ურთიერთობების საჭიროებათა გათვალისწინებით, ეს ფორმები ქონებრივი განკერძოებულობის მეტ-ნაკლებობით, შეფარდებითობით ხასიათდება. იგივე სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორთა წინაშე შესაძლებელია, არსებობდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაშიც და სააქციო საზოგადოებაშიც (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 3.4-3.5 მუხლები). მაგრამ, რაში მდგომარეობს განკერძოების ხარისხის ის ყველაზე უკიდურესი ნიშანი, ყველაზე ქვედა ზღვარი, რომელიც საზოგადოებრივი წარმონაქმნის, ამ შემთხვევაში – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების იურიდიულ პირად ყოფნას უდევს საფუძვლად? ამის თაობაზე მართებულად აღნიშნავდა ს. ბრატუსი, რომ სახელმწიფო ყოველთვის თვითონ წყვეტდა საკითხს, თუ როდის წარმოადგენს განკერძოების ხარისხი ამა თუ იმ საზოგადოებრივი წარმონაქმნის იურიდიულ პირად აღიარების საფუძველს.<sup>75</sup>

ამდენად, აღიარებს თუ არა კანონმდებელი გაერთიანებას იურიდიულ პირად, ეს საკანონმდებლო პოლიტიკის საკითხია, ამიტომაც სოლიდარული

---

<sup>75</sup> იქვე. გვ.45.

პასუხისმგებლობის საზოგადოება, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, განვიხილოთ, როგორც იურიდიული პირი, რომლის ქონებრივი განკერძოებულობისა და ორგანიზაციული ერთიანობის არსებული ხარისხი, მისი დამახასიათებელი ნიშნები კანონმდებელმა საკმარისად მიიჩნია, რათა ელიარებინა ასეთად.

## §7. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პრაქტიკული მნიშვნელობა

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პრაქტიკულ მნიშვნელობას მისი სამართლებრივი ფორმის თავისებურებები განსაზღვრავს.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პერსონალური ბუნებიდან გამომდინარე, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია, გაუძღვეს საზოგადოების საწარმოო საქმეებს და წარმოადგინოს საზოგადოება. სპს-ში ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ასეთი წესის არსებობა ამცირებს უთანხმოებასა და დაპირისპირების შესაძლებლობას პარტნიორთა შორის, უზრუნველყოფს საზოგადოების საწარმოო პროცესისათვის საჭირო მოქნილობას.<sup>76</sup>

საზოგადოების პერსონალურ ბუნებაში სპს-ის კონტრაქტებისა და კრედიტორებისათვის მდგომარეობს საზოგადოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საიმედო გარანტიები. საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა სპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას ზღის ეკონომიკურად ყველაზე საიმედოს სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებისათვის, რამდენადაც პასუხისმგებლობის ასეთი წესი

---

<sup>76</sup> ჰუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.85-87; კუბლერი, დასახ. ნაშრ., გვ.90.

კრედიტორებისათვის ქმნის ხელსაყრელ საკრედიტო საფუძველს და იმავდროულად, მის კრედიტუნარიანობასაც უზრუნველყოფს,<sup>77</sup> მაგრამ, ამასთან ერთად, იგი ხელს უშლის მსხვილი კაპიტალის მოზიდვას საზოგადოებაში, ვინაიდან შეუზღუდავი პერსონალური პასუხისმგებლობა აშინებს კაპიტალის მქონეს.<sup>78</sup> ამიტომ სპს უფრო შესაფერისი ფორმაა წერილი და საშუალო მეწარმეობისათვის.<sup>79</sup> პასუხისმგებლობის მაღალი რისკის საშიშროების არსებობის გამო მსხვილი კაპიტალის მოზიდვა, ფართომასშტაბური ფინანსური ოპერაციების განხორციელება სცილდება სპს-ის ეკონომიკურ ბუნებას და მის დაბალ ბრუნვაუნარიანობას განაპირობებს. ასეთი შემთხვევებისათვის უფრო ხელსაყრელი ფორმებია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება, სადაც პარტნიორთა პასუხისმგებლობა შეზღუდულია და სავალდებულოა საწესდებო კაპიტალის არსებობა, რაც საზოგადოებას უფრო ფართო საქმიანობის შესაძლებლობას აძლევს.

ერთი მხრივ, სპს-ის ყოველი პარტნიორის მიერ საზოგადოების საწარმოო საქმეების გაძღოლის, საზოგადოების წარმომადგენლობის შესაძლებლობის არსებობისა და, მეორე მხრივ, პარტნიორების შეუზღუდავი პასუხისმგებლობის სახიფათოობის დროს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი პარტნიორთა ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა, როდესაც საზოგადოების პარტნიორები კარგად იცნობენ და ენდობიან ერთმანეთს. ამიტომ სპს-ში სახეზე უნდა იყოს პარტნიორთა სრული ურთიერთნდობა. აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი დასკვნა: ვინაიდან სრული ურთიერთნდობა მხოლოდ პირთა მცირერიცხოვან წრეში შეიძლება არსებობდეს, ამიტომ სპს-ს, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, არ შეუძლია მოიცვას პირთა ფართო წრე.<sup>80</sup> ამით აიხსნება, რომ

---

<sup>77</sup> Schmidt, Karsten. Gesellschaftsrecht, Köln, Berlin ... 1991, S.1164.

<sup>78</sup> ს. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ.40.

<sup>79</sup> А. Жалинский, А. Рерихт, Введение в немецкое право, М., 2001, стр.503.

<sup>80</sup> დიუვერნუა, დასახ. ნაშრ., გვ.436.

პრაქტიკაში სპს, როგორც წესი, შედგება ორი, იშვიათად – სამი ან ოთხი, უფრო იშვიათად – მეტი პარტნიორისაგან და ხშირად მასში ერთიანდებიან ნათესავეები, ახლობელი ადამიანები. სპს-ში პარტნიორთა მცირერიცხოვნებას განაპირობებს სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობასთან დაკავშირებული საფრთხეც, რომელიც პარტნიორთა პირად ქონებას ემუქრება. ყოველივე ამის გამო თითოეული პარტნიორის ხვედრი ზარალი მეტია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნაკლებია რისკის გადანაწილების ხარისხი და, შესაბამისად, მაღალია პასუხისმგებლობაც. ამ თვალსაზრისით, სპს-თან შედარებით, უფრო უსაფრთხოა არამარტო კაპიტალური საზოგადოებები, არამედ – კომანდიტური საზოგადოებაც, რომლის ეკონომიკური ბუნება შესაძლებლობას იძლევა, კომანდიტის შეზღუდული პასუხისმგებლობის გამო, მეტი პარტნიორი გაერთიანდეს საზოგადოებაში და, შესაბამისად, მეტ კაპიტალს მოეყაროს თავი.

პარტნიორთა რიცხვის სიმცირე სპს-ში საზოგადოების სტრუქტურის სიმარტივეს განაპირობებს და გამორიცხავს ისეთი განსაკუთრებული ორგანოს საჭიროებას, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭო, რაც დამახასიათებელი ორგანოა კაპიტალური საზოგადოებებისათვის.

ის გარემოება, რომ სპს-ში საწარმოო საქმიანობის განხორციელება აგრეთვე მჭიდროდაა დაკავშირებული პარტნიორის პიროვნებასთან, ამ საზოგადოებას ხანგრძლივი საქმიანობისათვის გამოუსადეგარს ხდის, ვინაიდან პარტნიორის გარდაცვალება, ავადმყოფობა თუ საზოგადოებიდან გასვლა გავლენას ახდენს საზოგადოების საქმიანობის სტაბილურობაზე. ამიტომ საზოგადოება სასურველი ფორმაა შედარებით ხანმოკლე კომერციული წამოწყებებისათვის.<sup>81</sup>

სპს დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, როგორც საშუალება კაპიტალის გაყოფის თავიდან ასაცილებლად.<sup>82</sup> გარდა ამისა, იგი

<sup>81</sup> Г. Ласк, Гражданское право США, 1961, стр.333.

<sup>82</sup> გერმანიაში დღესაც გავრცელებულია ე.წ. ოჯახური სპს-ები, რომლებიც კომერსანტის გარდაცვალების შემდეგ იქმნება მის მემკვიდრეთა მიერ. იხ. ჰუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.92.

წარმოადგენს საწყის ფორმას კომანდიტური საზოგადოებისათვის. სპს-ის პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში ყოველ მემკვიდრეს შეუძლია, დარჩეს საზოგადოებაში კომანდიტის სტატუსით (მუხ. 33.2), რაც გამოიწვევს სპს-ის გარდაქმნას კომანდიტურ საზოგადოებად.

დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთის პრაქტიკაში სპს ყველაზე მეტად გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იყო სხვა სამეწარმეო საზოგადოებებთან შედარებით. დღეს იგი პირველობას უთმობს შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებს, როგორც კაპიტალის მოზიდვის უფრო კმედიტ ფორმებს.<sup>31</sup> სპს-მ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეშიც სხვა საზოგადოებებთან ერთად.<sup>32</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სპს თავისი კონსტრუქციით არის სამეწარმეო საზოგადოებების ნაკლებად რთული ფორმა, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოს ეკონომიკურ ბუნებას შეესაბამება და ხელსაყრელია შედარებით ხანმოკლე სამეწარმეო საქმიანობისათვის. მისი ორგანიზაციის საფუძველში პირადი ელემენტი დევს და არის ჯანსაღი და ეფექტური ფორმა, როდესაც კაპიტალის მფლობელი ერიდება დიდ ხარჯებს, ფართომასშტაბიან, ხანგრძლივ ფინანსურ ოპერაციებს და უშუალოდ მონაწილეობს საზოგადოების საქმიანობაში.

<sup>31</sup> ჭუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.91.

<sup>32</sup> 1999 წელს საქართველოში სასამართლოთა მიერ რეგისტრირებული იყო 15132 საწარმო, მათ შორის: 9553 ინდივიდუალური საწარმო, 3614 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 192 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 182 სააქციო საზოგადოება, 87 კოოპერატივი, 9 კომანდიტური საზოგადოება; 2000 წელს სასამართლოთა მიერ რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 17188-ს. მათ შორის: 9490 ინდივიდუალური საწარმო, 3810 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 133 სააქციო საზოგადოება, 133 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 101 კოოპერატივი, 12 კომანდიტური საზოგადოება. იხ. მართლმსაჯულება საქართველოში, 2000 წლის სტატისტიკა, თბილისი, 2001, გვ.22.

## თავი მეორე

# სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნა

იურიდიულ მეცნიერებაში განასხვავებენ ორ ძირითად ეტაპს, რომელსაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის პროცესი მოიცავს. ესენია: პარტნიორთა შეთანხმება საზოგადოების დაფუძნების თაობაზე, რაც სადამფუძნებლო დოკუმენტების – საზოგადოების შექმნის დოკუმენტების მომზადებასთან არის დაკავშირებული და საზოგადოების რეგისტრაცია.

### §1. სადამფუძნებლო დოკუმენტები

სპს-ის შექმნა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროებს იმ პირთა შესაბამისი ნების არსებობას, რომლებსაც სურთ, გააერთიანონ თავიანთი პირადი და ქონებრივი ძალები ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად მოგების მიღების მიზნით. პირებს, რომელთა შეთანხმებითაც ხდება საზოგადოების დაარსება, ეწოდებათ სადამფუძნებელი პარტნიორები, განსხვავებით საზოგადოებაში მოგვიანებით შემოსული პარტნიორებისაგან. სადამფუძნებელი პარტნიორების შეთანხმება საზოგადოების შექმნის თაობაზე საჭიროა, გარკვეული ფორმით გამოიხატოს. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ გამოხატულებად მიიჩნევს სადამფუძნებლო ხელშეკრულების დადებას. ამასთან, რიგ შემთხვევაში აღნიშნული ხელშეკრულების დადება გათვალისწინებულია ნებისმიერი ფორმით, სხვა შემთხვევაში – მხოლოდ წერილობით ან ზეპირად.<sup>1</sup> ზოგიერთი მეცნიერი სპს-ის შექმნის საკმარის

<sup>1</sup> გერმანიის სავაჭრო კოდექსის შესაბამისად ღია სავაჭრო საზოგადოების სადამფუძნებლო ხელშეკრულება ნებისმიერი ფორმით შეიძლება დაიდოს. საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი ითხოვს წერილობით ფორმას (მუხ. 39). ინგლისური partnership ფუნდება რაიმე ფორმალური მოთხოვნების გარეშე. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სრული ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების დადებას წერილობით (მუხ. 70), თურქეთის სავაჭრო კოდექსი კი მის ნოტარიულ დადასტურებასაც მოითხოვს (მუხ. 154).

დოკუმენტად სადამფუძნებლო ხელშეკრულებას მიიჩნევს იმ მოსაზრებით, რომ ვინაიდან ამ საზოგადოებაში ყოველ პარტნიორს შეუძლია, იმოქმედოს მისი სახელით, ამიტომ საჭირო არ არის სპეციალური ორგანოების შექმნა მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარმოდგენისათვის, რის გამოც, აგრეთვე, იხსნება წესდების საჭიროება.<sup>2</sup>

სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და წესდების თაობაზე საყურადღებოა მოსაზრებაც, რომლის თანახმად ეს დოკუმენტები განსხვავებული სამართლებრივი ბუნების მქონეა. კერძოდ, აღნიშნული მოსაზრების თანახმად, სადამფუძნებლო ხელშეკრულება მომავალ პარტნიორთა შეთანხმებაა, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთშემხვედრ ნებას საზოგადოების დაარსების თაობაზე, განსაზღვრავს მათ უფლებამოვალეობებს ურთიერთშორის და საზოგადოებასთან მიმართებაში. იგი სავალდებულო ძალის მქონეა პარტნიორთათვის. წესდება კი, ძირითადად, განსაზღვრავს საზოგადოების ორგანიზაციულ მოწყობას, აწესრიგებს საზოგადოების მართვის ორგანიზაციას, ადგენს საზოგადოების ორგანოების შექმნის წესს და მათ კომპეტენციას. განსხვავებით ხელშეკრულებისაგან, რომელსაც დებენ პარტნიორები, წესდებას ამტკიცებენ დამფუძნებლები და იგი სავალდებულოა არამარტო პარტნიორთათვის, არამედ – საზოგადოების კონტრაქტენტი მესამე პირებისთვისაც. ამიტომ, აღნიშნული მოსაზრების თანახმად, სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და წესდების დებულებათა წინააღმდეგობის შემთხვევაში ეს უკანასკნელი უფრო მეტი იურიდიული ძალის მქონეა.<sup>3</sup>

---

<sup>2</sup> Комментарий части первой гражданского кодекса Российской Федерации для предпринимателей, М. Брагинский, В. Витрянский, В. Звеков, Е. Суханов, К. Ярошенко, М., 1995, стр.116.

<sup>3</sup> Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, отв. ред. О.Садиков, М., 1995, стр.87.

არის მოსაზრებაც, რომ ვინაიდან სპს-ის ყოველი მონაწილე იმავდროულად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას საზოგადოების სახელით, ამიტომ ამ საზოგადოების შექმნისა და საქმიანობისათვის არ არის აუცილებელი წესდების არსებობა და ერთადერთ აუცილებელ სადამფუძნებლო დოკუმენტს სადამფუძნებლო ხელშეკრულება განეკუთვნება.<sup>4</sup>

კანონმა „მეწარმეთა შესახებ“ უარი თქვა სპს-ის დაფუძნებისას სადამფუძნებლო ხელშეკრულების აუცილებლობაზე და – მართებულადაც, ვინაიდან წესდებისა და სადამფუძნებლო ხელშეკრულების რეგულირების საკითხები, როგორც წესი, ერთმანეთის ანალოგიურია. პარტნიორთა მიერ წესდების მიღება და მასზე ხელის მოწერა, იმავდროულად, საზოგადოების შექმნის თაობაზე პარტნიორთა შეთანხმების გამოვლინებაცაა, ვინაიდან წესდების მიღება შეუძლებელია საზოგადოების დაფუძნების თაობაზე პარტნიორთა ურთიერთშემხვედრი ნების არსებობის გარეშე. ამასთან, კანონი შესაძლებლობას იძლევა, რომ პარტნიორებმა თავიანთი შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები წესდების საშუალებით დაწვრილებით მოაწესრიგონ, რაც სადამფუძნებლო ხელშეკრულების საგანია. ამიტომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, წესდება იმავდროულად სადამფუძნებლო ხელშეკრულებასაც ცვლის.

წესდების შემუშავება სავალდებულო წინაპირობაა სპს-ის შესაქმნელად. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ითვალისწინებს იმ აუცილებელ მონაცემებს, რომლებსაც წესდების შინაარსი უნდა შეიცავდეს. ასეთი მონაცემებია კანონის 5.5 მუხლში მოცემული სარეგისტრაციო პირობები, კერძოდ, წესდებით სავალდებულოა, განისაზღვროს საზოგადოების საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ადგილ-

---

<sup>4</sup> Коммерческое право, ч. I, под ред. В. Попондопуло, И. Яковлевой, М., 1996, стр.141.



სამყოფელი, საქმიანობის საგანი, მონაცემები სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ, დამფუძნებელი პარტნიორების სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი, წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

საყურადღებოა, რომ კანონით არ არის განსაზღვრული სპს-თვის საწესდებო კაპიტალის საჭიროება. ეს ამ საზოგადოების თავისებურებაა. თუ პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება საკუთარი ქონების ხარჯზე საზოგადოების ქონების შექმნის შესახებ, ეს მათი უფლებაა, მაგრამ ასეთი ქონება არ იქნება საწესდებო კაპიტალი. აღნიშნული შესაძლებელია, აიხსნას იმ დანიშნულებითა და ფუნქციებით, რასაც იურიდიულ მეცნიერებაში საწესდებო კაპიტალის არსებობას უკავშირებენ. საწესდებო კაპიტალი არის ის მინიმალური ქონება, რომელსაც მოითხოვს კანონი ამა თუ იმ საზოგადოების დასაფუძნებლად. ერთი მხრივ, იგი ასრულებს საგარანტიო ფუნქციას – განიხილება როგორც ქონება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ვალდებულებების შესრულებას. მეორე მხრივ, მას აქვს ის მნიშვნელობა, რომ წარმოადგენს საზოგადოების ქონებრივ საფუძველს. გარდა ამისა, საწესდებო კაპიტალის მეშვეობით დგინდება ყოველი პარტნიორის წილობრივი მონაწილეობა საზოგადოებაში.<sup>5</sup>

სპს-ში საწესდებო კაპიტალის არსებობა მოკლებულია ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორც არის მისი საგარანტიო ფუნქცია, რამდენადაც აქ პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს და საწესდებო კაპიტალის არსებობა პარტნიორთა პასუხისმგებლობაზე გავლენას ვერ მოახდენს. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ვალდებულებების შესრულების გარანტიად გვევლინება არამარტო საზოგადოების ქონება, არამედ პარტნიორთა მთელი

---

<sup>5</sup> Гражданское и торговое право капиталистических государств, т.1, М., 1983, стр.165-166.

პირადი ქონებაც, რის გამოც არ არის აუცილებელი სპს-ის კაპიტალის, როგორც კაპიტალის სავალდებულო მინიმუმის, შენარჩუნება და გახარჯვის შემთხვევაში მისი შევსების უზრუნველყოფა. ამიტომ არის, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სპს-ის სარეგისტრაციო პირობად არ ითვალისწინებს მითითებას წესდებაში საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებელი პარტნიორების შესატანების ოდენობისა და წილის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისათვის. მაგრამ თუკი პარტნიორები საზოგადოების დაფუძნებისას საზოგადოების ქონებაში გარკვეულ შენატანებს ახორციელებენ, სასურველია, წესდებაში მიეთითოს ამის თაობაზე. ასეთი მითითება მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების მოგებისა და ზარალის განაწილებისათვის (25-26 მუხლები), საზოგადოებაში კომანდიტის სტატუსით შემსვლელი გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრის საკომანდიტო შესატანის განსაზღვრისათვის (33.2 მუხლი), შესატანის შეუტანლობის საფუძველით საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვისათვის (3.5 მუხლი) და ა.შ. საჭიროა, აგრეთვე, არაფულადი შესატანით სპს-ის დაფუძნებისას განცხადებას თან ერთოდეს შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი (5.5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

მოუხედავად იმისა, რომ სპს-ს არ სჭირდება საწესდებო კაპიტალი, როგორც მისი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ქონება, რათა განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა. საზოგადოების ეს ქონება, პირველ რიგში, პარტნიორების შენატანებისაგან იქმნება, რომელთა მიმართ მოქმედებს იგივე წესები, რაც ზოგადად გათვალისწინებულია ფულადი და არაფულადი შესატანის შეფასების და ა.შ. მიმართ. საზოგადოების დაფუძნებისას ან მისი კაპიტალის გაზრდისას შესატანი შეიძლება, დათქმულ იქნეს და შესრულდეს ნებისმიერი ვალუტით. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებში თანხა უნდა აღინიშნოს ეროვნულ ვალუტაში. შესატანი შეიძლება, იყოს

ფულადი ან წარმოდგენილ იქნეს სხვა ქონებრივი ან არაქონებრივი ობიექტების სახით. ამასთან, შესატანის ნახევარი შეტანილ უნდა იქნეს წესდების ხელმოწერისთანავე, თუ წესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს (3.3 მუხლი).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის ნორმები, რომლებიც სპს-ის შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს, საზოგადოების პერსონალური ბუნებიდან გამომდინარე, ძირითადად, დისპოზიციური ხასიათისაა და წესდებაში დამატებითი წესების გათვალისწინების ფართო შესაძლებლობას იძლევა. ასე, მაგალითად, პარტნიორებს შეუძლიათ, წესდებით თავისუფლად განსაზღვრონ პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილებების მიღების წესი (22.4 მუხლი), შეარჩიონ საზოგადოების ხელმძღვანელობის განხორციელების ფორმა – ერთპიროვნული, კოლექტიური და ა.შ. (23 მუხლი), გაითვალისწინონ პარტნიორთა მიერ საზოგადოების სალაროდან ფულის გახარჯვა მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით ან მის გარეშე (27 მუხლი), დაუშვან პარტნიორის მიერ თავისი წილი კაპიტალის თავისუფლად გასხვისება (30 მუხლი), განსაზღვრონ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის განსაკუთრებული შემთხვევები და ა.შ.

წესდება შეიძლება, შეიცავდეს დამატებით წესებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან არ ხელყოფს სამართლებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებს და არ ცვლის სამეწარმეო ფორმების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (2.7 მუხლის მეორე აბზაცი). მაგალითად, არ შეიძლება წესდებით პარტნიორს ჩამოერთვას საზოგადოების ლიკვიდაციის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან კანონი ითვალისწინებს ასეთი შეთანხმების ბათილობას (29.3 მუხლი), ასევე დაუშვებელია, სპს-ის წესდებით რომელიმე პარტნიორს შეეზღუდოს საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ან საერთოდ გათავისუფლდეს მისგან და, ამდენად, შეიცვალოს სპს-ის ორგანიზაციულ-

სამართლებრივი ფორმის არსებითი თავისებურება – საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა შეუზღუდავად, მთელი ქონებით. ამიტომ ზემოაღნიშნული მოთხოვნების საწინააღმდეგო წესები ჩაითვლება ბათილად.

წესდების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით გათვალისწინებული გარკვეული ფორმის დაცვა. კერძოდ, წესდება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და დამოწმდეს სანოტარო წესით. პარტნიორთა თანხმობა წესდების შინაარსის მიმართ უნდა გამოიხატოს წესდებაზე ყველა პარტნიორის ხელმოწერით. ხელმოწერა რწმუნებულის მეშვეობით დაიშვება მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე (2.7 მუხლი).

წესდებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სპს-ის შიდასაზოგადოებრივი, ანუ პარტნიორთაშორისი ურთიერთობების განსაზღვრისათვის. ამიტომ წესდების მიღების მომენტიდან საზოგადოება შეიძლება ჩავთვალოთ შექმნილად შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების თვალსაზრისით, რაც ნიშნავს იმას, რომ დაეუშვათ ე.წ. წინარესაზოგადოების არსებობა.<sup>6</sup>

## §2. რეგისტრაცია

სპს-ის შესაქმნელად მარტოოდენ სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადება საკმარისი არ არის. დამფუძნებელ პარტნიორთა მიერ წესდების შემუშავება და მიღება, თუნდაც სანოტარო წესით მისი დადასტურება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს საზოგადოების, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის, წარმოშობას, რომელსაც სამართლებრივ ურთიერთობებში თავისი სახელით გამოსვლა შეუძლია. ასეთ შემთხვევაში სპს-ს მხოლოდ შიდასაზოგადოებრივი არსებობა გააჩნია და პარტნიორების საქმიანობა

---

<sup>6</sup> Франк Плессе. Право торговых товариществ. Основы немецкого торгового и хозяйственного права, М., 1995, стр.27.

საზოგადოების სახელით და მის ინტერესებში ჩაითვლება საკუთრივ მათ საქმიანობად, საზოგადოების კრედიტორები – მათ პირად კრედიტორებად, ხოლო ერთობლივი საქმიანობის სამართლებრივი შედეგი დადგება უშუალოდ მათთვის და მათვე დაეკისრებათ წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაც.<sup>7</sup> იმისათვის, რომ საზოგადოებას წარმოეშვას უფლება-უნარიანობა, სავალდებულოა მისი რეგისტრაცია. ამდენად, სპს-ის შესაქმნელად მხოლოდ საზოგადოების პარტნიორთა ნება არ არის საკმარისი, თუ ამას თან არ ახლავს სპს-ის სახელმწიფო რეგისტრაცია სასამართლოში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მჭიდრო კავშირს კერძო და საჯარო სამართალს შორის.

რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების ასახვა სახელმწიფო რეესტრში. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად საზოგადოების რეგისტრაციას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა – საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (2.5 მუხლი). ამდენად, სპს, როგორც იურიდიული პირი, მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა. მაშასადამე, მართალია, საზოგადოება იქმნება დამფუძნებელი პარტნიორების ნებით, მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის ახორციელებს კონტროლს ამ პროცედურაზე, რაც საზოგადოების სახელმწიფო რეგისტრაციაში გამოიხატება.

რეგისტრაციის მიზანია სახელმწიფოს მიერ კერძო პირთა საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, რეგისტრაცია ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს თავად საზოგადოების მონაწილეთათვის – იცავს მათ წესდებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების დარღვევისაგან,

---

<sup>7</sup> Kübler Friedrich, Gesellschaftsrecht, Heidelberg, 1990, S.68.

უმრავლესობის მიერ ნების ბოროტად გამოყენებისაგან.

სპს-ის რეგისტრაციის წესი დაწერილობით განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით.

საზოგადოების რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით. საზოგადოების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება განცხადების საფუძველზე აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, რისთვისაც მას არ სჭირდება დანარჩენი დამფუძნებლებისაგან მინდობილობით ან სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვა.

განცხადება რეგისტრაციის თაობაზე შესრულებული უნდა იყოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, იგი უნდა შეიცავდეს: სპს-ის საფირმო სახელწოდებას, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს), საქმიანობის საგანს, მონაცემებს სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ, ყოველი პარტნიორის სახელს, გვარს, დაბადების ადგილსა და თარიღს, პროფესიასა და საცხოვრებელ ადგილს, წარმომადგენლობის უფლებამოსილებას (5.4.1 მუხლი). განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ საზოგადოების დამფუძნებლები.

პარტნიორები, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან, სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ (5.2 მუხლი). ამდენად, სპს-ის საქმიან ურთიერთობებში გადამწყვეტია საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ხელის მოწერა, ხოლო საზოგადოების დოკუმენტების ნამდვილობისათვის მათი ბეჭდით დამოწმება სავალდებულო არ არის. განცხადებას თან უნდა დაერთოს სპს-ის წესდება, არაფულადი შესატანით დაფუძნებისას – შესატანის შეფასების დამადასტურებელი საბუთი. ამასთან, განცხადება, წესდება, ზუსტი ხელმოწერის ნიმუში ან მათი ასლები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, წარმომადგენ-

ლის ხელმოწერა უნდა შესრულდეს ნოტარიუსთან.<sup>6</sup>

ვინაიდან სპს-ში ყველა პარტნიორს შეუძლია, უხელმძღვანელოს საზოგადოებას და წარმოადგინოს იგი, კანონი სპს-ის რეგისტრაციისათვის არ ითვალისწინებს დირექტორების დანიშვნის შესახებ დოკუმენტის წარმოდგენას, მაშინ, როდესაც ამას ითხოვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის რეგისტრაციის შემთხვევებში. საჭირო არ არის არც კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა, ვინაიდან საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის გარანტი, გარდა საზოგადოების ქონებისა, არის პარტნიორთა მთელი პირადი ქონებაც.

საზოგადოების რეგისტრაციისას გადახდილი უნდა იქნეს სარეგისტრაციო მოსაკრებელი ორმოცი ლარის ოდენობით. სარეგისტრაციო მოსაკრებლის საკითხს აწესრიგებს 2002 წლის 10 აპრილის საქართველოს კანონი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ (მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი).<sup>7</sup>

სასამართლო ვალდებულია, საზოგადოების რეგისტრაცია განახორციელოს სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, კანონი ითვალისწინებს რეგისტრაციის გარანტიას: თუ ამ ვადაში არ მოხდება საზოგადოების რეგისტრაცია ან განმცხადებელს წერილობით არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, საზოგადოება ჩაითვლება რეგისტრირებულად და სასამართლო ვალდებულია, განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა (5.9 მუხლი).

<sup>6</sup> მ. ცისკაძე, სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი. სერგო ჯორბენაძე, 70. საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ.384-385.

<sup>7</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 26.04.2002წ., №9, ნაწ.1, მუხ.43.

სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენს სპს-ის შექმნის პროცესის დასასრულს. რეგისტრაციის მომენტიდან საზოგადოება იძენს უფლებაუნარიანობასა და ქმელუნარიანობას, ითვლება იურიდიულ პირად, შეუძლია თავისი სახელით შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში და ა.შ.<sup>10</sup>

რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველგვარი ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას და ძალაში შედის მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ (5.6 მუხლი). ამ შემთხვევაში სარეგისტრაციო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს საწარმოს რეგისტრაციისათვის დაწესებული მოსაკრებლის 25%-ის ოდენობით, ე.ი. ათი ლარი („სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

ცალკე უნდა გამოყოფილი იქნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს სპს შექმნილია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სადამფუძნებლო დოკუმენტები შეესაბამება სარეგისტრაციო პირობებს, მაგრამ, ყაქტობრივად, სახეზეა შეცდომით რეგისტრირებული (ხარვეზიანი) საზოგადოება. ამ თვალსაზრისით „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ორ შემთხვევას განასხვავებს: როდესაც საზოგადოება რეგისტრირებულია, მაგრამ არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს და როდესაც საზოგადოება რეგისტრაციის პირობებს აკმაყოფილებდა რეგისტრაციის მომენტში, მაგრამ ეს პირობები მოგვიანებით მოისპო (5.8 მუხლი). ამ შემთხვევებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს რეგისტრაციის გაუქმება, თუკი ეს ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული სამი თვის ვადაში. რეგისტრაცია

---

<sup>10</sup> ეს საკითხი სხვაგვარად არის გადაწყვეტილი გერმანიის სავაჭრო კოდექსით. რომლის თანახმად ღია სავაჭრო საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისით წარმოიშობა არამარტო რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ – რეგისტრაციამდე, თუკი ამ შემთხვევაში ადგილი ექნება საზოგადოების საქმიანობის ფაქტობრივ განხორციელებას (§123).



შესაძლებელია, გაუქმდეს როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე საზოგადოების პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე.

როდესაც სპს რეგისტრირებულია, მაგრამ არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფიქციურ საზოგადოებას. ასეთი ვითარება, შესაძლოა, შეიქმნას როდესაც პარტნიორებს არ გააჩნდათ საზოგადოების დაფუძნების ნამდვილი განზრახვა, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მართალია, საზოგადოება პარტნიორთა განზრახვით შეიქმნა, მაგრამ ადგილი ჰქონდა კანონის მოთხოვნათა დარღვევას, რაც, კანონის თანახმად, იწვევს საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებას ან სადავოდ გახდას. მაგალითად, თუკი რეგისტრაციასავალდებულო ფაქტები არ არის რეგისტრირებული სასამართლოში, კერძოდ, არ არის მითითებული პარტნიორები, რეგისტრირებული არ არის ამ ფაქტების ცვლილება, არ არის სასამართლოში დატოვებული საზოგადოების წარმომადგენლის (წარმომადგენლების) ფაქსიმილე და ა.შ. შესაძლოა, ასეთ შემთხვევაში საზოგადოება შეტანილია სამეწარმეო რეესტრში, პარტნიორები საზოგადოების სახელით დებენ გარიგებებს, კისრულობენ ვალდებულებებს, წარმოიქმნება მოგება და ზარალი და ა.შ. სინამდვილეში სპს არ არის სახეზე, მაგრამ კეთილსინდისიერმა მესამე პირებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ მათ წინაშეა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით შექმნილი და მოქმედი საზოგადოება. სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, სავაჭრო სამართალში საყოველთაოდ მიღებული წესების თანახმად, ამ შემთხვევაში საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭება დაუშვებელია, ზარვეზის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ სამომავლოდ.<sup>11</sup> წინააღმდეგ

---

<sup>11</sup> Hueck, Gesellschaftsrecht, München, 1991, S.96; ზარვეზიანი საზოგადოების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. Wiesner, Die Lehre von der fehlerhaften Gesellschaft, 1980, S.138ff.

შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა უდიდეს სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, ამასთან, ეს გამოიწვევდა მესამე პირთა მიმართ არასწორ დამოკიდებულებას. ამიტომაც კანონი ითვალისწინებს რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფციას: რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული საწარმო განიხილება როგორც უშეცდომოდ რეგისტრირებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება ცალკეული პირების ან საზოგადოების არსებით ინტერესებს და 5.8 მუხლში აღნიშნულ პირებს არ განუცხადებიათ ამის შესახებ (5.8 მუხლის მე-2 აბზაცი).

კონკრეტული ფაქტის საკითხია, თუ რა ჩაითვლება არსებით ინტერესად. მაგალითად, შპს რეგისტრაციაში შეცდომით გატარდა როგორც სპს. მან გარიგება დადო მესამე პირებთან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი კონტრაქტები არის სპს და ვალდებულებების გამო პასუხს აგებს არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ – თითოეული პარტნიორი მთელი ქონებით. თუ დადგება შეცდომით რეგისტრირებული საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხი და ის ფაქტი, რომ საზოგადოება რეგისტრირებული იყო როგორც სპს, აღმოჩნდება მესამე პირებთან ხელშეკრულების დადების საფუძველი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შეცდომით რეგისტრაცია ეწინააღმდეგება სხვა საზოგადოების არსებით ინტერესებს.<sup>12</sup>

შესაძლებელია, პარტნიორებმა არ გაატარონ სპს რეგისტრაციაში. არარეგისტრირებულ საწარმოთა საქმიანობის აკრძალვა არ შეესაბამება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს, მაგრამ საჯარო სამართალი მას მთელ რიგ იძულებით ღონისძიებებს უკავშირებს.<sup>13</sup> კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე

---

<sup>12</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002. გვ.90.

<sup>13</sup> იქვე, გვ.32-33.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164-ე მუხლის შესაბამისად იწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ხუთას ლარამდე. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის გარეშე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, როგორც უკანონო სამეწარმეო საქმიანობა, ისევეა სისხლის სამართლის წესით, ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლი).

რეგისტრაციის განხორციელება, სამეწარმეო რეესტრის მონაცემების თავისუფლად გაცნობის შესაძლებლობა უზრუნველყოფს საზოგადოების საქმიანობის გამჭვირვალობას, ხელს უწყობს მესამე პირებისა და საზოგადოების კრედიტორების დაცვას საჯაროობის გზით.

## თავი მესამე

### შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები

#### §1. ზოგადი მიმოხილვა

სპს-ის შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობები მისი საშინაო ურთიერთობებია, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების მართვასთან, წარმოების ორგანიზაციასთან, საზოგადოებაში პარტნიორების მდგომარეობის, მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრასთან. ამ ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება არსებითად განსხვავდება მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში საზოგადოების მონაწილეობის რეგულირებისაგან.

შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მას საფუძვლად უდევს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. ამ პრინციპის შესაბამისად პარტნიორებს შეუძლიათ, კანონის-მიერი შებოჭვის ფარგლებში, საკუთარი შეხედულებისამებრ საზოგადოების წესდებაში თავისუფლად განსაზღვრონ ურთიერთობები როგორც ურთიერთშორის, ისე – საზოგადოებასთან მიმართებაში. ამიტომ კანონის ნორმები, რომლებიც შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს, ძირითადად, დისპოზიციურ ხასიათს ატარებს და პარტნიორებს ამ ურთიერთობების თავისუფლად განსაზღვრისა და დაწერილობით მოწესრიგების ფართო შესაძლებლობით აღჭურავს. საზოგადოების წესდება შეიძლება შეიცავდეს დამატებით წესებს, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული, ან არ ხელყოფს სამართლებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებს და არ ცვლის სამეწარმეო საზოგადოებათა ფორმების შესახებ კანონით გათვალისწინებულ დებულებებს („მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 2.7 მუხლის მეორე აბზაცი). თუ წესდება კანონის დისპოზიციური ნორმებისაგან განსხვავებულ წესებს ადგენს, საზოგადოების სამართლებრივ ურთიერთობებში წესდების დებულებებს ექნება უპირატესი ძალა კანონის

შესაბამის ნორმებთან შედარებით, ხოლო წესდების დუმილის შემთხვევაში იმოქმედებს კანონის ნორმები. ამიტომ შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების გამოსარკვევად აუცილებელია, განვასხვაოთ როგორც მათი კანონისმიერი რეგულირების, ისე – წესდებით შესაძლო რეგულირების შემთხვევები, რისთვისაც იმპერატიული და დისპოზიციური ნორმების ურთიერთგამიჯვნა მეტად მნიშვნელოვანია.

შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებს მიეკუთვნება ისეთი საკითხები, როგორიცაა საზოგადოების ხელმძღვანელობა და გადაწყვეტილებათა მიღება, პარტნიორთა მიერ საზოგადოების კონტროლისა და შემოწმების განხორციელება, კონკურენციის აკრძალვა, მოგებისა და ზარალის განაწილება. ეს ურთიერთობები როგორც არაქონებრივი, ისე ქონებრივი ხასიათისაა. არაქონებრივ ურთიერთობებს შესაძლებელია, მივაკუთვნოთ ხელმძღვანელობის, გადაწყვეტილებების გამოტანის, საზოგადოების კონტროლისა და შემოწმების, კონკურენციის აკრძალვის საკითხები, ხოლო ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებს – მოგებისა და ზარალის განაწილების საკითხები.

## §2. ხელმძღვანელობა

### *I. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირები*

ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 9.2 მუხლი). სპს-ში ხელმძღვანელობის საკითხის გასარკვევად, უწინარეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ, თუ ვინ შეიძლება უხელმძღვანელოს საზოგადოებას. ამასთან, ხელმძღვანელობითი საქმიანობის უფლებამოსილება მკაფიოდ უნდა განვასხვაოთ მესამე პირებთან ურთიერთობებში საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილებისაგან, რომელსაც მომდევნო თავში შევეხებით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად სპს-ში ხელმძღვანელობის

უფლება აქვს ყველა პარტნიორს (9.1 მუხლი). ეს სპს-ის ხელმძღვანელობის ზოგადი წესია და გამოდინარეობს სპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თავისებურებიდან. საზოგადოების პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა, თითოეულის უზარმაზარი ქონებრივი რისკის არსებობა განაპირობებს მათსავე დაინტერესებას, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, ამასთანავე, მცირერიცხოვან პარტნიორთა შემთხვევაში ასეთი მონაწილეობა სავსებით შესაძლებელია. საზოგადოების მართვა პარტნიორების მიერ სპს-ში ხელმძღვანელობის ტრადიციული ფორმაა, რომელსაც ყველა ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს. სწორედ აქედან გამოდინარეობს სპს-ის პარტნიორის მიმართ ხელმძღვანელი-პარტნიორის პრეზუმფციის არსებობა – იგულისხმება, რომ ყოველ პარტნიორს აქვს ხელმძღვანელობითი საქმიანობის უფლებამოსილება, ვიდრე არ დადგინდება, რომ საზოგადოების წესდებით განსხვავებული წესია გათვალისწინებული.

ამასთან, საზოგადოების პარტნიორად ყოფნა, თავისთავად, არ ნიშნავს, რომ პარტნიორს უეჭველად აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. კანონი ადგენს შემდეგ წესს: „თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია, გაუძღვეს საწარმოო საქმეებს, რომლებსაც ისინი საჭიროებისამებრ ცალ-ცალკე განახორციელებენ, თუკი ცალკეულ შემთხვევაში რომელიმე პარტნიორი ამის წინააღმდეგი არ იქნება“ (23 მუხლი). მაშასადამე, საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების კანონით მინიჭებულ შესაძლებლობას პარტნიორი ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ყველა პარტნიორი შეთანხმდება ამის თაობაზე.

იურიდიულ მეცნიერებაში სადავოა საკითხი, შესაძლებელია თუ არა, რომ სპს-ს ხელმძღვანელობდეს არაპარტნიორი, გარეშე პირი. გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი უარყოფს ამის შესაძლებლობას. ეს თვალსაზრისი ღია სავაჭრო საზოგადოებას განიხილავს

როგორც პარტნიორთა თვითმმართველობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას, სადაც საზოგადოების მართვის უფლებამოსილება მხოლოდ პარტნიორს შეიძლება ჰქონდეს და, აქედან გამომდინარე, დაუშვებლად მიიჩნეეს მართვის ფუნქციის გადაცემას არაპარტნიორისათვის. ამასთან, თუკი ასეთი გადაცემა მაინც მოხდება, იგი არ განიხილება როგორც საზოგადოების სადამფუძნებლო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მესამე პირების მიერ ღია სავაჭრო საზოგადოების ხელმძღვანელობის დაუშვებელი რეგულირება ყოველი პარტნიორის ერთობლივი ხელმძღვანელობით იცვლება, ე.ი. ყველა პარტნიორი ერთობლივად ახორციელებს ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას.<sup>1</sup> თეორეტიკოსთა აღნიშნული პოზიციის ანალოგიურად წყვეტს საკითხს გერმანული კანონმდებლობაც, რომელიც საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას იმავდროულად პარტნიორის მოვალეობას უწოდებს (სავაჭრო კოდექსი, §114).

გერმანული სავაჭრო კოდექსისაგან განსხვავებით, ფრანგული კანონმდებლობა სპს-ის პარტნიორებს შესაძლებლობას აძლევს, საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნონ არაპარტნიორი, მესამე პირი (კანონი სავაჭრო საზოგადოებების შესახებ, მე-12 მუხლი).

სპს-ის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად, რომლებიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონშია მოცემული, საზოგადოების ხელმძღვანელობა განიხილება როგორც მხოლოდ პარტნიორის უფლებამოსილება. თუ საზოგადოება ხელმძღვანელობისათვის მესამე პირებს მოიწვევს, ეს პირები აუცილებლად პროკურისტები უნდა იყვნენ.

პირებს, რომლებსაც აკისრიათ ხელმძღვანელობის ფუნქცია, კანონი სხვაგვარად დირექტორებსაც უწოდებს (9.3 მუხლი).

---

<sup>1</sup> Франк Плессе, Право торговых товариществ. Основы немецкого торгового и хозяйственного права, М., 1995, стр.28.

## II. ხელმძღვანელობის ფორმები

სპს-ის პარტნიორებს შეუძლიათ, მიმართონ ხელმძღვანელობის სხვადასხვა ფორმას. სპს-ში ხელმძღვანელობის ზოგადი წესის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, ყველა პარტნიორი უფლებამოსილია, გაუძღვეს საზოგადოების საწარმოო საქმიანობას. გარდა ამისა, საზოგადოების წესდება შესაძლებელია, ითვალისწინებდეს ერთი პარტნიორის (დირექტორის) მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვას, მაგრამ აგრეთვე აწესებდეს, რომ ორი დირექტორი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გაუძღვეს საზოგადოებას, ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს, ერთად გასწიოს ხელმძღვანელობა (9.3 მუხლი).

ამდენად, შესაძლებელია, განვასხვაოთ სპს-ის ხელმძღვანელობის შემდეგი ფორმები:

ა. ერთობლივი ხელმძღვანელობა. ეს ხელმძღვანელობის კოლექციური ფორმაა, რომლის დროსაც საზოგადოების მართვა ხორციელდება ყველა პარტნიორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. საზოგადოების წესდება ერთობლივი ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას შესაძლებელია, აკისრებდეს როგორც ყველა პარტნიორს, ისე – მხოლოდ ზოგიერთ პარტნიორს (არანაკლებ ორი პარტნიორისა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელმძღვანელობის ფუნქცია, როგორც წესი, უნდა დაეკისროს გამოცდილ პარტნიორებს, რომლებიც ერთობლივად, შეთანხმებულად იმოქმედებენ. პარტნიორი, რომელიც თავისი უფლებამოსილების გადამეტებით მიიღებს გადაწყვეტილებას, ვალდებულია, ანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი.

ბ. დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა. ამ შემთხვევაში მოქმედებს საწარმოო საქმეების ცალ-ცალკე გაძღოლის პრინციპი. ყოველ ხელმძღვანელ-პარტნიორს შეუძლია, დანარჩენი ხელმძღვანელებისაგან დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული



საკითხები.<sup>2</sup> იმისათვის, რომ ხელმძღვანელობის ეს ფორმა იყოს ეფექტური და არ მოხდეს ერთსა და იმავე საკითხზე განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება, ხელმძღვანელებმა წესდებით უნდა განსაზღვრონ თავიანთი მოქმედების ფარგლები და დაინაწილონ ფუნქციები. კერძოდ, ერთს დაევალოს წარმოების მართვა, სხვას – ორგანიზაციული ხელმძღვანელობა და ა.შ. მაგალითად, ერთი დირექტორი უძღვებოდეს კლიენტებთან ურთიერთობას, მეორე – საზოგადოების პერსონალთან ურთიერთობას, მესამე – საბუღალტრო საქმიანობას და ა.შ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დირექტორებმა ერთმანეთის მიმართ თავიანთი საქმიანობის ანგარიშის წარდგენის აუცილებლობაც გაითვალისწინონ.

წარმოების ცალკე მართვა, მართალია, სახიფათოა, მაგრამ იგი საზოგადოებას ანიჭებს დიდ მოქნილობას, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა სწრაფად მიღებასა და დაუყოვნებლივ რეაგირებას. ვინაიდან აქ ერთი პარტნიორის მოქმედებით საზოგადოებისათვის წარმოშობილ ვალდებულებებზე დანარჩენი პარტნიორები მთელი პირადი ქონებით შეუზღუდავად აგებენ პასუხს, ამიტომ, როგორც წესი, სპს-ის პარტნიორები კარგად უნდა იცნობდნენ და ენდობოდნენ ერთმანეთს. ამიტომ იყო, რომ ისტორიულად სპს განვითარდა როგორც ახლობელი ადამიანების ოჯახური მეწარმეობის ფორმა.

დამოუკიდებელ ხელმძღვანელობას შესაძლებელია, ახორციელებდეს ყოველი პარტნიორი, ან მხოლოდ რამდენიმე გამოცდილი პარტნიორი.

გ. ერთპიროვნული ხელმძღვანელობა. ეს ხელმძღვანელობის ისეთი ფორმაა, როდესაც საზოგადოებას უძღვება მხოლოდ ერთი პარტნიორი.

დ. შერეული ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის ასეთ ფორმას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ინტერესები საჭიროებს

---

<sup>2</sup> Hueck, Gesellschaftsrecht, München, 1991, S.106.

პარტნიორთა მიერ როგორც დამოუკიდებელი, ისე – ერთობლივი ხელმძღვანელობითი მოქმედებების შესრულებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რამდენიმე ხელმძღვანელი-პარტნიორი მოქმედებდეს ერთობლივად, ხოლო დანარჩენები – დამოუკიდებლად.

ხელმძღვანელობის ზემოაღნიშნული ფორმებიდან ჩვენი პრაქტიკა უპირატესობას ანიჭებს სპს-ის ერთპიროვნული მართვის ფორმას.

### *III. ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვა*

სპს-ის ხელმძღვანელს შესაძლებელია, შეეზღუდოს გარკვეული მოქმედებების განხორციელების თავისუფლება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად ასეთი შეზღუდვა გამოიხატება პარტნიორთა კრების აუცილებელი თანხმობის დაწესებაში (9.3 მუხლის მეორე აბზაცი). ასეთ თანხმობას კანონი მოითხოვს იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების ხელმძღვანელის მიერ მისაღები გადაწყვეტილება სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას: „იმ გადაწყვეტილებებს, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, იღებს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრება“ (22.1 მუხლი). მაშასადამე, კანონი განასხვავებს საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და ისეთ საქმიანობას, რომელიც საზოგადოების ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებს სცილდება. მაგრამ რა ჩათვლება ან არ ჩათვლება ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობად, ამას კანონი არ განსაზღვრავს. გერმანული სავაჭრო კოდექსი ასეთ საქმიანობად მიიჩნევს ხელმძღვანელობის ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის ჩვეულებრივ განხორციელებას (§116).

სპს-ის ჩვეულებრივ საქმიანობად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების მიმდინარე საქმიანობა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ხოლო ის მოქმედებები და გარიგებები, რომლებიც თავიანთი შინაარსის,

მოცულობის, მიზნის გათვალისწინებით, აგრეთვე, პასუხისმგებლობის მოსალოდნელი რისკის მაღალი ხარისხის გამო, ყოველდღიურ მიმდინარე საქმიანობას არ განეკუთვნება, შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც ისეთი, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას. მაგალითად, საზოგადოების ფილიალების დაარსება, დიდი ოდენობით კრედიტის აღება, გრძელვადიანი ხელშეკრულების დადება, პროკურისტის დანიშვნა, სავაჭრო წარმომადგენლისა და კომისიონერი-სათვის კონკურენტ საწარმოში მონაწილეობაზე თანხმობის მიცემა და ა.შ.

საზოგადოების ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად პარტნიორთა კრების აუცილებელი თანხმობის დაწესების შემთხვევები პარტნიორებს ასევე შეუძლიათ, განსაზღვრონ საზოგადოების წესდებით ან შინაგანაწესით (9.3 მუხლის მეორე აბზაცი). შინაგანაწესი საზოგადოების შიდა დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების მართვის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესს, მათ კომპეტენციას, მიჯნავს საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას და ა.შ.

ხელმძღვანელი-პარტნიორის პრეზუმუციიდან გამომდინარე, სპს-ის კონტრაქტებს არ მოეთხოვებათ, იცოდნენ ცალკეული პარტნიორის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ. საზოგადოებასთან საქმიან ურთიერთობებში მათთვის საკმარისია, დარწმუნდნენ, რომ საქმე აქვთ ამ საზოგადოების პარტნიორთან. ამიტომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილების არმქონე პარტნიორის მიერ საზოგადოების სახელით განხორციელებული მოქმედება ოურიდიულ შედეგებს გამოიწვევს, თუკი საზოგადოება ვერ დაამტკიცებს, რომ მესამე პირმა (საზოგადოების კონტრაქტმა) იცოდა მოცემული პარტნიორის სათანადო უფლებამოსილების არარსებობის შესახებ ან უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე, მაგალითად, იცნობდა საზოგადოების წესდებას, რომელიც ითვალისწინებდა ასეთ შეზღუდვას. ამ შემთხვევაში პარტნიორის მოქმედება განიხილება

როგორც შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების დარღვევა და მას შესაძლოა, დაეკისროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა.

თუ გარიგების კონტრაქტისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ ან ხელმძღვანელი და კონტრაქტი ერთობლივად მოქმედებენ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების განზრახვით, მოცემულ საზოგადოებას შეუძლია, განაცხადოს გარიგების ბათილობა ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში (9.5 მუხლი).

#### *IV. ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა*

კანონი ადგენს ხელმძღვანელთა ვალდებულების ზოგად წესს: ხელმძღვანელები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის (9.7 მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება). თუ რა ჩაითვლება კეთილსინდისიერ და საზოგადოებისათვის ხელსაყრელ საქმიანობად. ეს კონკრეტული ფაქტის საკითხია და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.

რამდენადაც სპს, სხვა სამეწარმეო საზოგადოებებთან შედარებით, პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება, ამიტომ ხელმძღვანელობითი საქმიანობის სწორად წარმართვაზე აქ უფრო მეტადაა დამოკიდებული საზოგადოების და თავად პარტნიორთა ქონების ბედიც, ვიდრე სხვა საზოგადოებაში. აქედან გამომდინარეობს სპს-ის ხელმძღვანელის ვალდებულებების განსაკუთრებული ხასიათი. ის, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიმართ განიხილება

ნამდვილი კომერსანტის კეთილსინდისიერებად და გულისხმიერებად, შესაძლოა, ანალოგურ შემთხვევაში სას-ის ხელმძღვანელთან მიმართებაში ასეთად ვერ იქნეს მიჩნეული.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი ხელმძღვანელობის პრობლემას იხილავს თანამედროვე დასავლური ეკონომიკის მოთხოვნათა დონეზე, რაც, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს პასუხისმგებელი ხელმძღვანელობის შექმნას.<sup>3</sup> კანონი განამტკიცებს კონცეფციას, რომ ღირექტორი საწარმოსათვის მიყენებული ზიანისათვის იმავდროულად პასუხს აგებს კრედიტორების წინაშე. კერძოდ, ხელმძღვანელები წარმოშობილი ზიანისათვის კრედიტორების წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს (9.7 მუხლის პირველი აბზაცის მეორე წინადადება). მაშასადამე, ეს არის პასუხისმგებლობა უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი ქონებით. ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის კიდევ ერთი თავისებურებაა ის, რომ ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მათვე აკისრიათ, ე.ი. უნდა დაამტკიცონ, რომ არ დაურღვევიათ თავიანთი მოვალეობა და არ მიუძღვით ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც საზოგადოებამ განიცადა (9.7 მუხლის პირველი აბზაცის მესამე წინადადება).

საზოგადოებას შეუძლია, უარი თქვას რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე, თუკი იქნება პარტნიორთა გადაწყვეტილება ამის თაობაზე. ამასთან, კანონი ითვალისწინებს ამგვარი უარის თქმის ბათილობას იმ შემთხვევაში, როდესაც ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ანაზღაურებისათვის ვალდებული პირი გადახდისუნარიანა ანდა გაკოტრების თავიდან აცილების ან საგაკოტრებო წარმოების შეწყვეტის მიზნით

---

<sup>3</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002, გვ.115.

მოურიგდება თავის კრედიტორებს. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს ის გარემოება, რომ იგი პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად მოქმედებდა (9.7 მუხლის მეორე აბზაცის ბოლო წინადადება). მაშასადამე, ხელმძღვანელი არ უნდა იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილებების ბრმა შემსრულებელი, მან თავადაც უნდა აწონ-დაწონოს ამ გადაწყვეტილებათა შესრულების მიზანშეწონილობა.

### §3. პარტნიორთა კრება

სპს-ის სამართლებრივი ბუნება მისი ორგანიზაციის შედარებით სიმარტივეს განაპირობებს. საზოგადოების პარტნიორთა მცირერიცხოვნების, მათი განსაკუთრებული ნდობითი ურთიერთდამოკიდებულების, პარტნიორთა მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობის, წარმომადგენლობის, კონტროლისა და შემოწმების ფართო შესაძლებლობის არსებობა გამოირიცხავს საზოგადოების მართვის ისეთი სპეციალური ორგანოების საჭიროებას, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. ორგანო, რომელიც აუცილებელია საზოგადოების საქმიანობისათვის, არის პარტნიორთა კრება.

პარტნიორთა კრება სპს-ის მართვის უმაღლესი ორგანოა. იგი იღებს ყველა გადაწყვეტილებას, რომელიც საწარმოს ძირითად ინტერესებს შეეხება. ასეთ საკითხთა წრე, სასურველია, საზოგადოების წესდებით დაწვრილებით განისაზღვროს. პარტნიორთა კრების მოწვევის სიხშირეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ზღუდავს. კრება მოწვეულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს. კანონი არც კრების მოწვევის სავალდებულო პერიოდულობას ითვალისწინებს, როგორც ამას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების მიმართ აქვს ადგილი. კანონის თანახმად ამ საზოგადოებებში აუცილებელია, მორიგი საერთო კრება ჩატარდეს, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც (47.1, 54.1 მუხლები). აღნიშნული

ნორმების მიზანია იმ პარტნიორთა ინტერესების დაცვა, რომლებიც არ ფლობენ კრების მოსაწვევად საკმარისი კაპიტალის კვოტას. სპს-ში კი კრების მოწვევის საკვალდებულო პერიოდულობის განსაზღვრის აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან ყოველ პარტნიორს აქვს კრების მოწვევის უფლებამოსილება და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლია საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

კანონი ითვალისწინებს პარტნიორთა კრების მოწვევის სპეციალურ წესს, რომლის დაცვას შესაძლებელია, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს როგორც შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში, ისე – საზოგადოების ურთიერთობებში მესამე პირებთან. ეს წესი მოცემულია კანონის 22.2 მუხლში, რომლის თანახმად კრების მოწვევა შეუძლია ყოველ პარტნიორს. ამდენად, თვალსაჩინოა განსხვავება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოებისაგან, სადაც პარტნიორთა საერთო კრებას, ჩვეულებრივ, იწვევს საზოგადოების დირექტორი, აუცილებლობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო პარტნიორებს საერთო კრების მოწვევა შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ფლობენ საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს (46.8 და 53.3.3 მუხლები).

საყურადღებოა, რომ კაპიტალურ საზოგადოებებში შესაძლებელია, დადგეს იმის საჭიროება, რომ საერთო კრება მოიწვიოს სასამართლომ, თუკი საზოგადოების დირექტორი თავს არიდებს კრების მოწვევას. ასეთი მაგალითები სასამართლოთა პრაქტიკაში უკვე არსებობს. სპს-ში კი ასეთი შემთხვევა, ფაქტობრივად, გამორიცხულია, რამდენადაც ყოველი პარტნიორი უშუალოდ ფლობს იმის მექანიზმს, რომ საზოგადოებამ მოუსმინოს მას.

კანონის თანახმად კრების მოწვევა უნდა მოხდეს წერილობით, ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგს. მოწვევის მიღებიდან სამი დღის ვადაში

პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში. კანონი განსაზღვრავს კრების მოწვევის ინიციატორი პარტნიორისათვის საგულისხმო გარანტიებს. კრება უნდა დაინიშნოს ინიციატორი პარტნიორის მიერ წერილის გაგზავნიდან არაუადრეს ერთი კვირისა. ამ წესით მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას დაესწრება პარტნიორთა უმრავლესობა. თუ მოწვეული კრება არ იქნება გადაწყვეტილებაუნარიანი, კრების მოწვევის ინიციატორ პარტნიორს უფლება აქვს, იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით კრება მოიწვიოს ხელახლა. ამ შემთხვევაში მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუკი რომელიმე პარტნიორი მაინც გამოცხადდება. მაშასადამე, შესაძლებელია, პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ერთი პარტნიორის მიერაც. ასეთი წესი პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების ბლოკირების თავიდან აცილების ეფექტური მექანიზმია. ამ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს არა როგორც პარტნიორის, არამედ – როგორც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, გამომდინარე იურიდიული პირის ბუნებიდან და მისი ორგანიზაციული ერთიანობის პრინციპიდან.

კანონი აწესრიგებს კრების ჩატარების პროცედურას, კერძოდ, კრების თავმჯდომარის არჩევის, გადაწყვეტილების მიღებისა და გაფორმების საკითხებს (22.3 მუხლი). კრებას უძღვება თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევენ კრების მონაწილენი ხმების უბრალო უმრავლესობით. საგულისხმოა გადაწყვეტილებისათვის ხმის მიცემის წესი, რაშიც კარგად ვლინდება სპს-ის განსხვავება კაპიტალური საზოგადოებებისაგან. კერძოდ, კრებაზე ყოველ პარტნიორს აქვს მხოლოდ ერთი ხმა, მიუხედავად მისი წილისა საზოგადოების ქონებაში ან საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხისა (22.3 მუხლის მეორე წინადადება). მაგალითად, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სადაც სამი პარტნიორია, ერთ-ერთი პარტნიორის წილი საზოგადოების კაპიტალში შეადგენს მთელი კაპიტალის 70%-ს, ხოლო



დანარჩენი პარტნიორების წილი – შესაბამისად 20%-სა და 10%-ს. თუკი პარტნიორთა კრებაზე ღლის წესრიგის საკითხს მხარს დაუჭერენ 20%-ისა და 10%-ის მფლობელი პარტნიორები, ხოლო 70%-ის მფლობელი პარტნიორი წინააღმდეგი იქნება, ამ შემთხვევაში აღნიშნული საკითხი ხმების უმრავლესობით მიღებულად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ მას მხარი არ დაუჭირა საზოგადოების კაპიტალში წილთა უმრავლესობის მფლობელმა პარტნიორმა.

იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება შეეხება დავას საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის, ეს პარტნიორი მოკლებული იქნება ხმის უფლებას და კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ბუნებრივია, ხმის უფლებას მოკლებულნი იქნებიან ის პარტნიორებიც, რომელთა მიმართ კრებას გამოაქვს გადაწყვეტილება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეზღუდვის ან ჩამორთმევის, ხელმძღვანელის ანგარიშის დამტკიცების, პარტნიორთან გარიგების დადების შესახებ და ა.შ., რათა არ დაბრკოლდეს საზოგადოების ინტერესებში სწორი გადაწყვეტილების მიღება.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება ფორმდება პარტნიორთა კრების ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

როგორც წესი, პარტნიორთა მიერ საზოგადოების კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად (22.4 მუხლი). ეს სპს-ის მართვის ზოგადი წესია. აქედან გამომდინარეობს სპს-ის მართვის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – საზოგადოების მართვას პარტნიორები ახორციელებენ ერთობლივად. ამ ზოგადი წესიდან შესაძლებელია, არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც პარტნიორთა კრება უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს ხმების უმრავლესობით. ეს შემთხვევები წესდებით უნდა იქნეს გათვალისწინებული. გარდა ამისა, ხმების უმრავლესობით პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე, რიგ შემთხვევებში, თავად კანონიც მიუთითებს, კერძოდ: საზოგადოების

გარდაქმნის (14.4 მუხლი) და წლიური ანგარიშის შესამოწმებლად აუდიტორის არჩევის შემთხვევებში („მეწარმეთა შესახებ“ კანონის I დანართის 11.4 მუხლი). გადაწყვეტილებათა მიღება უმრავლესობის მიერ არ ღაიშვება, თუ ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთ პარტნიორს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში ან ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს (22.4 მუხლი).

საზოგადოების კრებაზე პარტნიორებს აქვთ ხმის მიცემის თავისუფლება. ამასთან, გადაწყვეტილებათა გამოტანისას პარტნიორებმა უნდა იხელმძღვანელონ სპს-ის საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპით, ე.წ. ერთგულების პრინციპით, რომელიც მათ ავალდებულებს, გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გამოტანასთან დაკავშირებით იურიდიულ მეცნიერებაში საუბრობენ არა მარტო ხმის მიცემის უფლებაზე, არამედ – ხმის მიცემის მოვალეობაზე და ამ მოვალეობის დარღვევაზეც, თუკი პარტნიორი ხმის მიცემის თავისუფლებას საზოგადოების ინტერესებში არ განახორციელებს.<sup>4</sup>

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება დაშვებულია კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის განმავლობაში (15.2 მუხლი).

#### **§4. ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოების კონტროლის უფლება**

სპს-ის პარტნიორებს, მათ შორის იმ პარტნიორს, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში, აქვთ ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოების საქმიანობის კონტროლის ფართო უფლება. ეს პარტნიორთა მეტად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც, პარტნიორთა სოლიდარული და შეუზღუდავი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, აგრე-

---

<sup>4</sup> კუეი, დასახ. ნაშრ., გვ.109.

თვე, შეუზღუდავი ხასიათისაა. ყოველ პარტნიორს შეუძლია, პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები, მას უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ მოვალეობათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 24-ე მუხლი). გარდა ამისა, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. მას, აგრეთვე, უფლება აქვს, შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საზოგადოების ხელმძღვანელებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიში არასწორადაა შედგენილი, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები დაეკისრება საზოგადოებას. კონტროლისა და შემოწმების ეს უფლებები შესაძლებელია, წესდებით გაფართოვდეს, ხოლო მათი შეზღუდვა ან უგულებელყოფა კი დაუშვებელია (3.9 მუხლი). სპს-ის პარტნიორის უფლება კონტროლსა და შემოწმებაზე არის პირადი ხასიათის უფლება და ამიტომ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუნდაც მინდობილობის საფუძველზე.<sup>5</sup>

## §5. კონკურენციის აკრძალვა

საზოგადოებაში მონაწილეობა პარტნიორებს არამარტო ფართო უფლებებით აღჭურავს, არამედ, იმავდროულად, განსაზღვრულ მოვალეობებსაც აკისრებს. პარტნიორთა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობაა, თავიანთი საქმიანობით, მოქმედებებით ხელი შეუწყონ იმ ერთობლივი მიზნის მიღწევას, რამაც ისინი ერთიანი საფირმო სახელწოდების ქვეშ გააერთიანა. ამ თვალსაზრისით, სპს-ის საქმიანობის

---

<sup>5</sup> Г. Ф. Шершеневич, Курс торгового права, т.1, С-ПТ., 1908, стр.340.

ფუნდამენტური პრინციპის – ერთგულების პრინციპიდან გამომდინარე, პარტნიორები ემორჩილებიან ე.წ. ერთგულებას საერთო მოვალეობას, რაც მათ საზოგადოების საწინააღმდეგო მოქმედებებს, მათ შორის საზოგადოებასთან კონკურენციას უკრძალავს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სპს-ის პარტნიორს, რომელსაც არა აქვს ხელმძღვანელობის უფლება, არ ზღუდავს, იმავდროულად იყოს რამდენიმე საზოგადოების, მაგალითად, სხვა სპს-ის ან თუნდაც კომანდიტური საზოგადოების პარტნიორი, მათ შორის – კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი (კომპლემენტარი), აგრეთვე, ხელმძღვანელობდეს სხვა საზოგადოებას. განსხვავებულად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც სპს-ის პარტნიორი აღჭურვილია ხელმძღვანელობითი საქმიანობის უფლებამოსილებით.

ერთგულების პრინციპის საწინააღმდეგოა სპს-ის ხელმძღვანელი-პარტნიორის მიერ, დანარჩენი პარტნიორების თანხმობის გარეშე, იმავე საქმიანობის განხორციელება, რასაც მისდევს საზოგადოება ან მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით (9.6 მუხლი).<sup>6</sup> მაშასადამე, ხელმძღვანელ-პარტნიორს უფლება არა აქვს:

ა. მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება;

ბ. მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით.

კონკურენციის აკრძალვის მოცემულ შემთხვევებს საფუძვლად განსაზღვრული მოტივები უდევს. პირველ შემთხვევაში კანონმდებელს

---

<sup>6</sup> გერმანიის სავაჭრო კოდექსის თანახმად ღია სავაჭრო საზოგადოებაში კონკურენციის აკრძალვა ვრცელდება არა მარტო ხელმძღვანელების, არამედ – ნებისმიერი პარტნიორის მიმართ (§112, §113). ასევე წყვეტს საკითხს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი (მუხ. 13), თურქეთის სავაჭრო კოდექსი (მუხ. 177).

მხედველობაში უნდა ჰქონდეს კონკურენციის სახიფათოობა ერთგვაროვანი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს. მეორე შემთხვევაში აკრძალვის ამოსავალ მოტივს უნდა წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ სპს-ის ხელმძღვანელი, სხვა პერსონალურ საზოგადოებაში სოლიდარულად პასუხისმგებელი პარტნიორის სახით მონაწილეობის შემთხვევაში, სათანადო ყურადღებას ვერ დაუთმობს ორივე საზოგადოების მართვის საკითხებს და ვერ გამოიჩინებს იმ გულისხმიერებას, რასაც საზოგადოება საჭიროებს ხელმძღვანელისაგან.<sup>7</sup> იურიდიულ მეცნიერებაში არის მოსაზრებაც, რომ სხვა სპს-ის პარტნიორად ან კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორად სპს-ის ხელმძღვანელის მონაწილეობა გამოიწვევს სოლიდარული პასუხისმგებლობის გაყოფას და, შესაბამისად, სპს-ის კრედიტუნარიანობის შესუსტებას, რის გამოც გამართლებულია, სპს-ის ხელმძღვანელს ეკრძალებოდეს ერთზე მეტ სპს-ში მონაწილეობა.<sup>8</sup>

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ აზუსტებს, თუ რა ჩაითვლება იმავე საქმიანობის განხორციელებად, რასაც საზოგადოება მისდევს. გერმანიის სავაჭრო კოდექსი ამას უკავშირებს გარიგებების დადებას სავაჭრო საქმიანობის სფეროში (§112). უნდა მივიჩნიოთ თუ არა ასეთ საქმიანობად ზოგადად სამეწარმეო საქმიანობა, თუ უშუალოდ საზოგადოების საქმიანობის საგნის ერთგვაროვანი საქმიანობა? კანონის პირდაპირი აზრით, ამ შემთხვევაში საერთოდ სამეწარმეო საქმიანობა უნდა ვიგულისხმოთ, რამდენადაც საზოგადოების საქმიანობა, პირველ ყოვლისა, სწორედ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია, კონკურენციის საშიშროება უფრო

---

<sup>7</sup> შერშენეიჩი, დასახ. ნაშრ., გვ.332.

<sup>8</sup> Комментарий части первой гражданского кодекса Российской Федерации для предпринимателей, М., т.1, С-ПТ., стр.111-112.

მეტად არსებობდეს საზოგადოების საქმიანობის საგნის ერთგვაროვანი გარიგებების დადების შემთხვევაში, იქნება ეს თავად ხელმძღვანელთა, თუ მესამე პირთა ინტერესებში, ერთგვაროვანი საქმიანობის საგნის მქონე საზოგადოების მმართველობის ორგანოში, სამეთვალყურეო საბჭოში მონაწილეობის შემთხვევაში და ა.შ. ამ შემთხვევებში არსებობს არასასურველი კონკურენციის რეალური საფრთხე, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია, ხელმძღვანელმა-პარტნიორმა უპირატესობა მინიჭოს თავის პირად ინტერესებს საზოგადოების ინტერესების საზიანოდ, სპს-ის საწინააღმდეგოდ გამოიყენოს ინფორმაცია ამ საზოგადოების რეალური მდგომარეობის შესახებ, გამოცდილება წარმოების მართვის მისთვის ნაცნობი მეთოდების, წარმოების საიდუმლოებების შესახებ და ა.შ. ამიტომ ამ შემთხვევაში, მართებულია, საზოგადოების საქმიანობის ერთგვაროვანი საქმიანობაც მხედველობაში იქნეს მიღებული.

კანონი არ აზუსტებს, თუ რომელი მიეკუთვნება მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებას, რომელშიც ხელმძღვანელ-პარტნიორს არა აქვს პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან ღირექტორის სახით მონაწილეობის უფლება. მართებული იქნება, ასეთს მივაკუთვნოთ არა სხვა პერსონალური საზოგადოება, არამედ – ნებისმიერი სამეწარმეო საზოგადოება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სპს-ის ხელმძღვანელს ვერ აუუკრძალავთ სხვა პარტნიორთა თანხმობის გარეშე შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ღირექტორად ყოფნას, რაც შეიძლება უფრო მეტადაც უწყვედეს კონკურენციას მოცემულ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა თუ კომანდიტურ საზოგადოებას. მაშასადამე, კანონი სპს-ის ხელმძღვანელებს არ უკრძალავს იყვნენ კომანდიტები, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებების პარტნიორები.

ვინაიდან კონკურენციის აკრძალვის წესები დადგენილია საზოგადოების ინტერესების დასაცავად, ბუნებრივია, საზოგადოებას თვითონვე

შეუძლია განსაზღვროს, თუ სახელდობრ რა შემთხვევებში ემუქრება საფრთხე მის ინტერესებს და, მაშასადამე, როდის უნდა გამოიყენოს ეს წესები. ამიტომ კონკურენციის აკრძალვის წესების დარღვევად ჩათვლება მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც კონკურენტული საქმიანობა პარტნიორების თანხმობის გარეშე ხორციელდება. ასეთი თანხმობა გამოხატული უნდა იყოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ფორმით (9.6 მუხლის მეორე წინადადება). თანხმობა მიცემულად ითვლება, როდესაც საზოგადოების ხელმძღვანელის დანიშნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ ეს პირი ეწევა ასეთ საქმიანობას და მისი შეწყვეტა აშკარად არ მოუთხოვიათ (9.6 მუხლის მეორე აბზაცი). ამ თვალსაზრისით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პოზიცია იურიდიული აზრის ევოლუციის ერთგვარი გამოხატულებაც არის. ადრინდელი სამართლებრივი შეხედულებები კონკურენციის აკრძალვის მიზნად ითვალისწინებდა არა იმდენად საზოგადოების ინტერესების დაცვას, რამდენადაც – მისი კრედიტორებისა. ამიტომ საზოგადოების ყოველ კრედიტორს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა კონკურენციის აკრძალვა, თუნდაც პარტნიორებს მიცემული ჰქონოდათ თანხმობა კონკურენტულ საქმიანობაზე.”

კანონი ითვალისწინებს კონკურენციის აკრძალვის წესების დამრღვევის პასუხისმგებლობას, კერძოდ, დამრღვევი პირი ვალდებულია:

- ა. უკან დააბრუნოს ამ საქმიანობით მიღებული სიკეთე;
- ბ. დათმოს გასამრჯელოს მიღების მოთხოვნები;
- გ. აანაზღაუროს მიყენებული ზიანი;

აღნიშნული პასუხისმგებლობის მოთხოვნის თაობაზე გადაწყვეტილება შესაძლებელია, მიიღოს პარტნიორთა კრებამ.

---

9 А. Э. Вормс, Е. Н. Данилова, Источники торгового права, М., 1919, стр.210.

## §6. მოგება და ზარალი

სპს სამეწარმეო საზოგადოებაა, რომლის შექმნისა და საქმიანობის ძირითად მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს. ამასთან, კომერციული საქმიანობის განხორციელება მარტო მოგების მიღებას არ ნიშნავს. ასეთი საქმიანობის შედეგად საზოგადოებამ შესაძლებელია, ნახოს ზარალიც, რომლის რისკი აწვევს არამარტო საზოგადოების ქონებას, არამედ — პარტნიორთა პირად ქონებასაც. ამიტომ საზოგადოების მოგებისა და ზარალის სწორად განსაზღვრას, მათში თითოეული პარტნიორის ხვედრი წილის დადგენას და განაწილებას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ურთიერთობებთან, პარტნიორთა შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

საზოგადოების წლიური მოგება და ზარალი დგინდება ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე, რომელიც გამოხატავს საზოგადოების ქონებისა და ვალდებულებების თანაფარდობას. ბალანსის შედგენის მოვალეობა აკისრიათ საზოგადოების ხელმძღვანელებს, რომლებიც მას ხელს აწერენ თარიღის მითითებით. ამასთან, თუკი სპს განეკუთვნება ისეთ საწარმოს, რომელსაც სრულ შტატში ჰყავს არაუმეტეს ათი თანამშრომლისა და მისი სამეურნეო წლის ამონაგები არ აღემატება ორმოცი ათას ლარს (მცირე საწარმო), ასეთ შემთხვევაში მისთვის დასაშვებია შემოკლებული ანგარიშგება, კერძოდ, შესაძლებელია, ბალანსის ნაცვლად შედგეს ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და საზოგადოების წლიური მოგება ან ზარალი განისაზღვროს ამის საფუძველზე (13.4 მუხლი).

ბალანსის მეშვეობით დგინდება საზოგადოების ქონების მდგომარეობა გასულ სამეურნეო წელთან შედარებით და განისაზღვრება საზოგადოების მოგება ან ზარალი. მოგებაში იგულისხმება წმინდა მოგება, რომელიც



რჩება კრედიტორებთან ანგარიშსწორების შედეგად ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ითვალისწინებს ბალანსის შედგენის ზღვრულ ვადას, კერძოდ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში (13.4 მუხლი). ამავე პერიოდში უნდა შედგეს წლიური ანგარიშგებისათვის მოგება-ზარალის ანგარიში და საქმიანობის ანგარიში. მცირე საწარმოთა ხელმძღვანელებს შეუძლიათ, შეადგინონ ქონებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი და სამეურნეო წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

წლიური მოგების გამოყენების საკითხს წყვეტს პარტნიორთა კრება. კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს ამ კრების მოწვევის კონკრეტულ ვადას, მაგრამ კანონიდან გამომდინარეობს, რომ იგი მოწვეულ უნდა იქნეს არაუადრეს სამეურნეო წლის ბალანსის შედგენის დროისა, ვინაიდან მოგება ან ზარალი დგინდება ბალანსის საფუძველზე. ეს პერიოდი დაახლოებით შეადგენს სამეურნეო წლის დამთავრებიდან პირველ სამ თვეს, რამდენადაც ბალანსი ამ ვადაში უნდა შედგეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით წლიური მოგება შესაძლებელია, განაწილდეს პარტნიორთა შორის, ან ღარჩეს საწარმოში, რათა გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს, ასევე, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩაირიცხოს სარეზერვო ფონდებში, ან გამოყენებულ იქნეს რაიმე განსაზღვრული მიზნისათვის და ა.შ.

საზოგადოების წლიური მოგებიდან (ზარალიდან) გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი. წილის განსაზღვრა, ე.ი. მოგება-ზარალის განაწილება, წესრიგდება კანონის დისპოზიციური ნორმებით, რაც შესაძლებლობას იძლევა, ეს ნორმები გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების წესდებით განსხვავებული წესები არ იქნება დადგენილი. ამასთან, ბათილად უნდა მივიჩნიოთ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ცალკეული პარტნიორი არ მონაწილეობს მოგების

განაწილებაში ან მონაწილეობს მხოლოდ საზოგადოების ზარალში, ვინაიდან საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა შეუზღუდავად ვრცელდება ყველა პარტნიორის მიმართ. ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ შეთანხმება ერთ-ერთი პარტნიორის ზარალისაგან გათავისუფლების თაობაზე, ვინაიდან ასეთი შეთანხმება არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების არსს.<sup>10</sup> ასე, მაგალითად, სპს-ის პარტნიორებმა, რომელთაც ესაჭიროებათ დამატებითი კაპიტალი, შეიძლება, შეიამხანაგონ ახალი პარტნიორი მისი კრედიტუნარიანობის გამო იმ პირობით, რომ მას შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში გათავისუფლებენ საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობისაგან, თუმცა საზოგადოების ურთიერთობებში შესამე პირებთან ეს პარტნიორი ჩვეულებრივად აგებს პასუხს.

სპს-ის პარტნიორთა შორის მოგების განაწილების წესი საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს. იმ შემთხვევაში, თუკი წესდებაში ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული, გამოიყენება კანონით გათვალისწინებული განაწილების წესი.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტს სპს-ში მოგება-ზარალის განაწილების საკითხს. განასხვავებენ ამ საკითხის მოწესრიგების სამ ძირითად გზას: თანასწორ განაწილებას (რომის სამართლისეული მიდგომა), განაწილებას პარტნიორთა შენატანების თანაზომიერად, ანუ პროპორციულ განაწილებას (ფრანგული კანონმდებლობის მიდგომა), შერეულ განაწილებას, ანუ განაწილებას როგორც პროპორციულად, ისე – თანასწორად (გერმანული კანონმდებლობის მიდგომა).

„მეწარმეთა შესახებ“ კანონმა აირჩია მოგების განაწილების შუალედური გზა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. იგი გულისხმობს პარტნიორთა შორის მოგების განაწილებას როგორც მათ მიერ განზორ-

<sup>10</sup> შერშენეიჩი, დასახ. ნაშრ. გვ.336-337.

ციელებული შენატანების პროპორციულად, ისე – თანაბრად, გამომდინარე საზოგადოებაში პარტნიორთა ერთობლივი მონაწილეობიდან, რაშიც გამოხატულებას პოულობს საზოგადოების პერსონალური ბუნება. კერძოდ, კანონი ითვალისწინებს პარტნიორთა შორის მოგება-ზარალის განაწილების შემდეგ წესს:

ა. ყოველ პარტნიორს წლიური მოგებიდან, პირველ რიგში, ეკუთვნის თავისი წილი კაპიტალის 4%-ის ოდენობის წილი (26.1 მუხლის პირველი წინადადება).

ბ. თუკი წლიური მოგების საერთო ოდენობა აღემატება პარტნიორთათვის აღნიშნული 4%-ის ოდენობის წილის განაწილებისათვის საჭირო თანხის ოდენობას, ამ შემთხვევაში აღმატებული თანხა პარტნიორებს შორის განაწილდება თანაბრად (26.3 მუხლი).

გ. თუკი წლიური მოგების ოდენობა საკმარისი არ არის, რომ პარტნიორებმა თავიანთი წილი კაპიტალის 4% ოდენობის წილი მოგება მიიღონ, მაშინ ეს წილი შესაბამისად განისაზღვრება უფრო დაბალი პროცენტით (26.1 მუხლის მეორე წინადადება).

დ. სამეურნეო წლის ზარალი ნაწილდება თანაბრად (26.3 მუხლი).

ე. წლიური მოგებიდან პარტნიორის კუთვნილი წილი მოგების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ამ პარტნიორის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც მან სამეურნეო წლის განმავლობაში შესატანის სახით შეასრულა, სამუშაოს შესრულებიდან გასული დროის გათვალისწინებით (26.2 მუხლი).

ვ. ერთ-ერთი პარტნიორის წილი მოგება მიემატება მისსავე წილ კაპიტალს, პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში წილი-კაპიტალიდან გახარჯული ფული კი – მოგებიდან ჩამოიწერება (25.2 მუხლი).

სპს-ში მოგება-ზარალის განაწილების თვალსაჩინოებისათვის მოვიხმობთ მაგალითს.

### *მაგალითი:*

ასანიძემ, ღვაჩლიანმა და თედორაძემ დააფუძნეს სპს, სადაც საზოგადოების კაპიტალში ასანიძემ შეიტანა აუდიტორის მიერ 2500 ლარად შეფასებული საოფისე აღჭურვილობა, ღვაჩლიანმა – ნაღდი ფული 2000 ლარის ოდენობით, ხოლო პარტნიორთა შეთანხმების თანახმად თედორაძეს შენატანი არ განუხორციელებია, ვინაიდან საზოგადოებაში მისი დატვირთვა პროფესიული საქმიანობითა და გამოცდილებით განისაზღვრა. საზოგადოების წესდების თანახმად პარტნიორთა შორის მოგება და ზარალი განაწილდებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პარტნიორთა მიერ განხორციელებული შენატანების შესაბამისად საზოგადოების თითოეული პარტნიორის წილი კაპიტალი პირველი სამეურნეო წლის დასაწყისში შეადგენდა: ასანიძე – 2500 ლარი, ღვაჩლიანი – 2000 ლარი, თედორაძე – 0 ლარი.

ახალი სამეურნეო წლის დასაწყისში ბლანსის საფუძველზე განისაზღვრა პარტნიორთა შორის გასანაწილებელი საზოგადოების პირველი სამეურნეო წლის მოგება 6000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოგება პარტნიორთა შორის შემდეგნაირად უნდა განაწილდეს: ასანიძე უფლებამოსილია, მიიღოს 2500 ლარის 4%-ის შესაბამის თანხა, ე.ი. 100 ლარი, ხოლო ღვაჩლიანი – 2000 ლარის 4%-ის ოდენობის თანხა, ე.ი. 80 ლარი. მოგების დარჩენილი თანხა – 5820 ლარი თანაბრად განაწილდება პარტნიორებს შორის, ე.ი. თითოეული პარტნიორი მიიღებს 1940 ლარს. ამდენად, ახალი სამეურნეო წლის დასაწყისში პარტნიორთა წილი კაპიტალის მდგომარეობა ასეთი იქნება: ასანიძე – 4540 ლარი, ღვაჩლიანი – 4020 ლარი, თედორაძე – 1940 ლარი.

იმ შემთხვევაში, თუ ასანიძე და თედორაძე თავიანთ კუთვნილ მოგების თანხას გაიტანენ საზოგადოებიდან, ხოლო ღვაჩლიანი დატოვებს საზოგადოებაში, ამის შედეგად პარტნიორთა წილი კაპიტალის

მდგომარეობა ასეთი გახდება: ასანიძე – 2500 ლარი, ლვანლიანი – 4020 ლარი, თელორაძე – 0 ლარი.

დავუშვათ, რომ მეორე სამეურნეო წელი საზოგადოებისათვის ზარალიანი გამოდგა, კერძოდ. ზარალმა შეადგინა 2400 ლარი. ამ შემთხვევაში საზოგადოების ზარალი თანაბრად განაწილდება პარტნიორთა შორის, ე.ი. თითოეულ პარტნიორზე შეადგენს 800 ლარს. ე.ი. მესამე სამეურნეო წლის დასაწყისში პარტნიორთა წილი კაპიტალის მდგომარეობა ასეთი იქნება: ასანიძე – 1700 ლარი, ლვანლიანი – 3220 ლარი, თელორაძე – -800 ლარი. ამდენად, თელორაძის წილი კაპიტალი გახდა უარყოფითი. ამიტომ, თუკი მესამე სამეურნეო წელი საზოგადოებისათვის მომგებიანი იქნება, თელორაძე ვერ მიიღებს წილს მოგებიდან, ვიდრე არ დაიფარება მისი უარყოფითი წილი კაპიტალი. ასანიძისა და ლვანლიანის წილი მოგების დასადგენად კი პირველ რიგში გამოსათვლელი 4% გამოითვლება შესაბამისად – 2500 ლარიდან და 4020 ლარიდან.

მოგება-ზარალი ასეთივე წესით განაწილდებოდა იმ შემთხვევაშიც, თუკი საზოგადოების წესდება საერთოდ არ გაითვალისწინებდა რაიმე დათქმას პარტნიორებს შორის მოგება-ზარალის განაწილების თაობაზე.

საზოგადოების წესებით შესაძლებელია, დადგინდეს განსხვავებული წესები, კერძოდ, პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ მოგება განაწილდეს თანასწორად ან შენატანების პროპორციულად და ა.შ.

### *მაგალითი:*

ამჯერად განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულმა პარტნიორებმა საზოგადოების კაპიტალში განახორციელეს თანაბარი შენატანები, თითოეულმა – 400 ლარი. საზოგადოების წესდებაში განისაზღვრა, რომ საზოგადოების მოგება-ზარალი თანაბრად განაწილდებოდა პარტნიორებს შორის. იმ შემთხვევაში, თუკი პირველ სამეურნეო

წელს პარტნიორებზე გასანაწილებელი მოგება იქნება 6000 ლარი, თითოეული პარტნიორი მიიღებს კუთვნილ წილ მოგებას 2000 ლარის ოდენობით.

პარტნიორებზე განაწილებული მოგება არ ექვემდებარება დაბრუნებას, თუნდაც მომავალი სამეურნეო წელი ზარალიანი გამოდგეს.

პარტნიორის წილი საზოგადოების მოგებაში პარტნიორის საკუთრებაა, ამიტომ წილის მიღების უფლება პარტნიორის უმნიშვნელოვანესი უფლებაა. ამ უფლების დარღვევა დაუსვეებელია. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით წლიური მოგება არ ნაწილდება პარტნიორთა შორის და რჩება საზოგადოებაში, თუკი, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ეს აუცილებელია. სხვა შემთხვევაში მოგებიდან კუთვნილი წილის გაუცემლობა შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც პარტნიორის საკუთრების უფლების ხელყოფა და ამ შემთხვევაში პარტნიორს შეუძლია, დაიცვას თავისი უფლება სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. პარტნიორის პრეტენზიის ხანდაზმულობის ვადა იქნება ხუთი წელი აღნიშნული პრეტენზიის წარმოშობიდან (15.1 მუხლი). პრეტენზიის წარმოშობის მომენტად, ჩვეულებრივ, უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების წლიური შედეგების შემაჯამებელი კრების ჩატარების დღე, რამდენადაც პარტნიორმა, როგორც წესი, ამ კრებაზე უნდა შეიტყოს სამეურნეო წლის შედეგების შესახებ.

საზოგადოების მოგებიდან კუთვნილი წილის მიღების უფლებისგან უნდა განვასხვაოთ პარტნიორის უფლება საკუთარი ხარჯებისათვის საზოგადოების სალაროდან ფულის გახარჯვაზე. კანონი შესაძლებლობას იძლევა, პარტნიორმა საზოგადოების სალაროდან საკუთარი ხარჯებისათვის გამოიტანოს ბოლო სამეურნეო წელს მისთვის დადგენილი წილი კაპიტალის 4%-მდე ოდენობის თანხა და, თუ ეს საზოგადოებას აშკარად

ზიანს არ აყენებს, მოითხოვოს ბოლო წლის მოგებიდან თავისი წილი მოგების გამოტანა, რაიმელიც შეიძლება აღემატებოდეს ზემოხსენებულ თანხას (27.1 მუხლი). ამ ნორმის არსებობა კვლავ საზოგადოების პერსონალური ბუნებით უნდა აიხსნას. ვინაიდან სპს-ის პარტნიორი პირადად მონაწილეობს საზოგადოების საქმიანობაში, პარტნიორს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებისათვის საზოგადოების სალაროდან გამოიტანოს გარკვეული თანხა, მიუხედავად საზოგადოებაში წლიური მოგების არსებობისა. ე.ი. საჭიროების შემთხვევაში საზოგადოება ეხმარება პარტნიორს იმის სანაცვლოდ, რომ პარტნიორი თავის გამოცდილებასა და უნარს ამ საზოგადოებას ახმარს. ამასთან, საზოგადოების სალაროდან თანხის გამოტანა შესაძლებელი არ უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზიანს მიაყენებს საზოგადოებას. მაგალითად, სპს-ს ეს თანხა დასჭირდება წარმოების საშუალებების გასაახლებლად ან ვადამოსული სესხის დასაფარად და ა.შ.

სამეურნეო წლის განმავლობაში საზოგადოების სალაროდან თანხის გამოტანის შემთხვევაში ეს თანხა ჩამოიწერება მოგებიდან და მხედველობაში მიიღება წლიური მოგების განაწილების დროს (25.2 მუხლი).

პარტნიორი ვალდებულია, დროულად დააბრუნოს საზოგადოების სალაროდან გატანილი თანხა.

პარტნიორის მიერ საზოგადოების სალაროდან ფულის გახარჯვის საკითხი შესაძლებელია, საზოგადოების წესდებით განსხვავებულად მოწესრიგდეს, კერძოდ, წესდებამ გაითვალისწინოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საჭიროება ფულის გახარჯვის თაობაზე, განსაზღვროს საზოგადოების სალაროდან გამოსატანი თანხის ზღვრული ოდენობა, დაადგინოს სანქციები გამოტანილი თანხის დაბრუნების დაგვიანებისათვის და ა.შ.

კანონი არ ითვალისწინებს საზოგადოების სალაროდან ფულის

გაზარჯვის მსგავს უფლებას კაპიტალური საზოგადოების პარტნიორებისათვის. კაპიტალურ საზოგადოებებში, კრედიტორთა ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შენარჩუნება რეგისტრირებული ოდენობით, რომელიც შემცირების შემდეგ კვლავ უნდა შეივსოს კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობამდე (3.6 მუხლის პირველი წინადადება). სპს-ში კი ასეთი საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან იგულისხმება, რომ პარტნიორთა შეუზღუდავი პერსონალური პასუხისმგებლობა საიმედოდ უზრუნველყოფს საზოგადოების კრედიტორთა ინტერესების დაცვას.

სპს-ის წლიური ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და საქმიანობის შესახებ ანგარიში უნდა შემოწმდეს საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი ერთი ან რამდენიმე აუდიტორის მიერ, რათა დადგინდეს, დაცულია თუ არა წლიური ანგარიშგებისადმი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეესაბამება თუ არა ანგარიშში მოტანილი მონაცემები საზოგადოებაში რეალურად არსებულ საქმის ვითარებას. აუდიტორების არჩევა უნდა მოხდეს პარტნიორთა მიერ საზოგადოების კრებაზე. მათი შემოწმების გარეშე დაუშვებელია წლიური ანგარიშგების მიღება („მეწარმეთა შესახებ“ კანონის დანართი I, მუხ. 11).

საზოგადოების წლიური ანგარიშგების შედეგები განეკუთვნება საზოგადოების კონფიდენციალურ ინფორმაციას, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. პარტნიორთა კრებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება კონფიდენციალობის გაუქმებისა და ამ შედეგების გამოქვეყნების შესახებ როგორც საერთოდ, ისე – მხოლოდ ცალკეული შემთხვევების მიმართ.



## თავი მეოთხე

### სამართლებრივი ურთიერთობები მესამე პირებთან

#### §1. ზოგადი მიმოხილვა

სპს-ში შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან უნდა განვასხვაოთ ურთიერთობები მესამე პირებთან, რაც საზოგადოების საგარეო ურთიერთობებია. ამ ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება სპს-ს, როგორც იურიდიულ პირს, წარმოეშობა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და შეუწყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტისთვის.

სპს-ის საგარეო ურთიერთობებს კანონი უფრო მკაცრად არეგულირებს, ვიდრე შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებს, რამდენადაც ისინი არაა მხოლოდ პარტნიორთა საშინაო საქმე. ამ ურთიერთობებში მონაწილეობს მესამე პირთა გარეშე ინტერესები და კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს მათი დაცვა. ამიტომ მესამე პირებთან საზოგადოების სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ძირითადად იმპერატიული ხასიათისაა და დაუშვებელია საზოგადოების წესდებით კანონით დაწესებულისაგან განსხვავებული წესების გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში წესდების დებულებებს არ ექნება სამოქმედო ძალა.

სპს-ის საგარეო ურთიერთობებში განხილული იქნება საზოგადოების წარმომადგენლობისა და საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის საკითხები.

#### §2. წარმომადგენლობა

მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში სპს წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს. წარმომადგენლობის, ისევე როგორც ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით, სპს-ში აღჭურვილია ყოველი

პარტნიორი (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 9.4 მუხლის პირველი აბზაცი). მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება პირდაპირ გამოძღინარეობდეს საზოგადოების ხელმძღვანელობის შიდასაზოგადოებრივი უფლებიდან.<sup>1</sup> პარტნიორისათვის ხელმძღვანელობითი საქმიანობის უფლებამოსილების მინიჭება ავტომატურად არ იწვევს მისთვის მესამე პირებთან ურთიერთობაში საზოგადოების წარმომადგენლობის უფლების მინიჭებასაც, თუკი საზოგადოების წესდებაში საპეციალურად არ იქნება ამაზე მითითება და ამისთანავე, არ მოხდება წარმომადგენლის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. სასამართლოში უნდა ინახებოდეს წარმომადგენლის ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც იგი საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებს.

ისევე, როგორც ხელმძღვანელობის დროს მოქმედებს სპს-ის პარტნიორის მიმართ ხელმძღვანელი-პარტნიორის პრეზუმფცია, წარმომადგენლობის შემთხვევაშიც პარტნიორის მიმართ მოქმედებს წარმომადგენელი-პარტნიორის პრეზუმფცია – იგულისხმება, რომ ყოველი პარტნიორი წარმომადგენს საზოგადოებას, ვიდრე არ დადგინდება, რომ საზოგადოების წესდებით განსხვავებული წესებია გათვალისწინებული. ამ პრეზუმფციიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე პარტნიორის მიერ საზოგადოების სახელით დადებული გარიგება, მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ჩაითვლება საზოგადოების მიერ დადებულ გარიგებად, თუმცა შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში განიხილება როგორც პარტნიორის მიერ თავისი სახელით დადებული გარიგება და ამ პარტნიორს მთლიანად დაეკისრება როგორც გარიგებაზე პასუხისმგებლობის რისკი, ისე – საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობაც.

---

<sup>1</sup> Франк Плессе, Право торговых товариществ. Основы немецкого торгового и хозяйственного права. М., 1995, стр.29.

## I. წარმომადგენლობის ფორმები

კანონის თანახმად წარმომადგენლობის განხორციელების შესაძლებლობები რეგულირებულია უფრო მკაცრად, ვიდრე ხელმძღვანელობის შემთხვევაში. კერძოდ: „საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. იგი შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს წარმომადგენლობისათვის უფლებამოსილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ, სხვებთან თუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის სახე და წესი აღინიშნება სამეწარმეო რეესტრში“ (9.4 მუხლის მეორე აბზაცი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ სპს-ში წარმომადგენლობის განხორციელების შემდეგი ფორმები:

ა. ერთობლივი წარმომადგენლობა. ერთობლივი წარმომადგენლობა შესაძლებელია, გამოიხატებოდეს აქტიურ ან პასიურ წარმომადგენლობაში. აქტიური წარმომადგენლობის დროს წარმომადგენლები შეიძლება, მოქმედებდნენ მხოლოდ ერთად; პასიური წარმომადგენლობის შემთხვევაში კი საკმარისია მხოლოდ რამდენიმე პარტნიორის ერთობლივი მოქმედება.<sup>2</sup> ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთობლივი და ერთპიროვნული წარმომადგენლობის შერწყმას. კერძოდ, ცალკეულ პარტნიორებს აქვთ ერთპიროვნული წარმომადგენლობის, სხვებს კი – მხოლოდ ერთობლივი წარმომადგენლობის უფლებამოსილება. მაგალითად, ოჯახურ სპს-ში შესაძლებელია, საზოგადოება დამოუკიდებლად წარმოადგინოს მამამ, ხოლო შვილები მოქმედებდნენ ერთობლივი წარმომადგენლობის უფლებამოსილებით. ამ შემთხვევაში საზოგადოების მიმართ ნების გამოყენებისათვის საკმარისია მისი გამოხატვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი ერთ-ერთი პარტნიორის მიმართ.

---

<sup>2</sup> Kübler, Friedrich, Gesellschaftsrecht, Heidelberg, 1990, S.79.

თანამედროვე დასავლეთის, განსაკუთრებით კი გერმანიის, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთობლივი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პარტნიორები რომელიმე წარმომადგენელ-პარტნიორს მიანდობენ გარკვეული გარიგებების დადებას. ასეთი ფორმა შესაძლებლობას იძლევა, გაადვილდეს სავაჭრო ბრუნვა, სწრაფად განხორციელდეს საწარმოო ოპერაციები. ასეთი წარმომადგენლობა განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც წარმოების მართვა განაწილებულია ცალკეული დარგების მიხედვით და საჭიროებს ცალკეულ პარტნიორთა მიერ დამოუკიდებლად გარიგებების დადებას.

ბ. ერთპიროვნული წარმომადგენლობა. ამ შემთხვევაში წარმომადგენელია მხოლოდ ერთი პარტნიორი. მის მიერ ნებისმიერი გარიგების დადება იწვევს იურიდიულ შედეგებს როგორც საზოგადოების საგარეო ურთიერთობების, ისე – შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების თვალსაზრისით.

გერმანულ ლიტერატურაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ისევე, როგორც ხელმძღვანელობის შემთხვევაში, წარმომადგენლობის უფლებამოსილებაც არ შეიძლება გადაეცეს არაპარტნიორ, გარეშე პირს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც მოქმედებს სპს-ის თვითმმართველობის პრინციპი.<sup>3</sup> „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად თუკი საზოგადოების წარმომადგენლობა არაპარტნიორს დაეკისრება, იგი შესაძლებელია, იყოს პროკურისტი ან საზოგადოების მიერ იურიდიული მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურვილი სხვა წარმომადგენელი.

## *II. წარმომადგენლობა – შეუზღუდავი უფლებამოსილება*

საყურადღებოა, რომ წარმომადგენლობის შემთხვევაში მოქმედებს შეუზღუდავი წარმომადგენლობის პრინციპი – წარმომადგენელი მესამე

---

<sup>3</sup> Hueck, Gesellschaftsrecht, München, 1991, S.120.

პირებთან ურთიერთობაში გამოდის როგორც შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე. ამიტომ, თუკი რომელიმე პარტნიორს წესდების საფუძველზე მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლებამოსილება, მისი შეზღუდვა მესამე პირებთან ურთიერთობაში დაუშვებელია. გამონაკლისია პროკურისტის, სავაჭრო წარმომადგენლისა და მინდობილობის საფუძველზე მოქმედი, საზოგადოების წარმომადგენლობის ცალკეულ უფლებამოსილებათა მქონე პირთა მიერ საზოგადოების წარმოდგენის შემთხვევები.

პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოსა და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან (10.3 მუხლის მეორე აბზაცი). მაგრამ მიწის ნაკვეთების გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის უფლება პროკურისტს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სპეციალურად მიეცემა (10.3 მუხლის მეორე აბზაცი). ამასთან, პროკურა შესაძლებელია, შემოიფარგლოს ერთი ან რამდენიმე ფილიალით, თუ ფილიალებს მართავენ სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით.

პარტნიორის წარმომადგენლობა მთლიანად ვრცელდება საზოგადოების ნებისმიერ საქმიანობაზე, თუნდაც იგი სცილდებოდეს საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას. რომელიმე პარტნიორს შეიძლება, არ მიეცეს საზოგადოების წარმოდგენის უფლება, მაგრამ თუკი ეს უფლებამოსილება მიენიჭება, დაუშვებელია მისი შეზღუდვა მესამე პირებთან ურთიერთობაში. მაგალითად, სპს-ში, სადაც სამი პარტნიორია, თუ ერთ-ერთ პარტნიორს მიენიჭება წარმომადგენლობის უფლებამოსილება, იგულისხმება, რომ მესამე პირებთან ურთიერთობაში მას არ ეზღუდება ამ უფლებამოსილების განხორციელება, მათ შორის, არც უძრავ ქონებაზე გარიგებების დადება.

სპს-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეუზღუდავი

ხასიათი მიზნად ისახავს კომერციული ურთიერთობების მოქნილობასა და გამარტივებას. ყოველი კონკრეტული გარიგების დასაღებად საზოგადოების კონტრაქტს არ მოეთხოვება, სპეციალურად იკვლიოს, ხომ არა აქვს წარმომადგენელს შეზღუდული ამ გარიგების დადების უფლებამოსილება. იგულისხმება, რომ კონტრაქტებთან ურთიერთობაში ასეთი შეზღუდვები დაუშვებელია.

როგორც აღვნიშნეთ, წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეუზღუდავია მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობაში. შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობაში იგი შეიძლება შეიზღუდოს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ერთობლივი წარმომადგენლობა. თუკი წარმომადგენელ-პარტნიორებს ერთობლივად მოქმედების ვალდებულება აქვთ, ამ შემთხვევაში ერთ-ერთი პარტნიორის მიერ დანარჩენ წარმომადგენლებთან შეთანხმების გარეშე დადებული გარიგება, მესამე პირებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ჩათვლება ნამდვილად, ხოლო შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში გარიგებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება გარიგების დამდებ პარტნიორს დაეკისრება.

### *III. წარმომადგენლის პასუხისმგებლობა*

წარმომადგენლობის უფლებამოსილება არამარტო საზოგადოების წარმოდგენის უფლებას, არამედ ამ უფლების კეთილსინდისიერად განხორციელების მოვალეობასაც გულისხმობს. წარმომადგენელი ვალდებულია, იმოქმედოს წარმოდგენილი საზოგადოების ინტერესებში და მის სასარგებლოდ. ამიტომ წარმომადგენლობის, როგორც შეუზღუდავი უფლებამოსილების, პრინციპი ვრცელდება მხოლოდ კეთილსინდისიერებაზე დამყარებულ ურთიერთობებზე. იგი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენელი-პარტნიორი და კონტრაქტის განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს წარმოდგენილ საზოგადოებას. ამ შემთხვევაში საზოგადოებას შეუძლია, ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის

განმავლობაში მოითხოვოს გარიგების ბათილობა (9.5 მუხლის მეორე აზნაცი).

პარტნიორებს შეუძლიათ, წარმომადგენლობის უფლებამოსილება ჩამოართვან იმ პარტნიორს, რომელმაც წარმომადგენლობის მოვალეობა დაარღვია და მათი ნდობა დაკარგა. რამდენადაც წარმომადგენლობის უფლებამოსილების ჩამორთმევა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, იგი უნდა განხორციელდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, თუკი ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს. პარტნიორს, რომელსაც ეს უფლებამოსილება ერთმევა, შეუძლია, თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტა უნდა აისახოს სამეწარმეო რეესტრში.

გერმანიის სვაჭრო კოდექსი ითვალისწინებს წარმომადგენლობის უფლებამოსილების ჩამორთმევას სასამართლოს მიერ, დანარჩენი პარტნიორების შუამდგომლობით, სერიოზული საფუძველის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ კი წარმომადგენლის მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულების უუნარობის დროს (§127). ამასთან, ერთპიროვნულად მოქმედი წარმომადგენლისათვის ამ უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში მიღებულია, რომ წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონედ იგულისხმებიან დანარჩენი პარტნიორები.<sup>4</sup> წარმომადგენლობის უფლებამოსილების ჩამორთმევას ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსიც (მუხ. 72).

### §3. პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებზე

სპს სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი და თვითონვე შეუძლია, იყოს როგორც კრედიტორი, ისე – მოვალე, ე.ი. ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, პქონდეს მოთხოვნის უფლება ან თავად იყოს ვალდებული, შეასრულოს

---

<sup>4</sup> იქვე, გვ.120.

რაიმე მოქმედება უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად. ბუნებრივია, სპს, როგორც იურიდიული პირი, თვითონ არის პასუხისმგებელი თავის ვალდებულებებზე, მაგრამ კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა მარტოოდენ ამით არ ამოიწურება. გარდა საზოგადოებისა, კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტნიორებსაც სოლიდარულად. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.2 მუხლის შესაბამისად სპს-ის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით. ამასთან, პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის. პასუხისმგებლობის ასეთი ხასიათი არის სპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ძირითადი თავისებურება, მისი „სასიცოცხლო ნერვი“.<sup>5</sup> ამიტომ საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორთა პასუხისმგებლობის საკითხის გამოკვლევას, საზოგადოების სამართლებრივი მდგომარეობის კვლევის თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს.<sup>6</sup>

<sup>5</sup> А.И. Каминка, Очерки торгового права. С-ПТ.. 1911, стр.211.

<sup>6</sup> საგულისხმოა, რომ ისევე, როგორც თავად სპს-ის სამართლებრივი ფორმა, სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიც საოჯახო-მემკვიდრეობითი ურთიერთობებიდან განვითარდა. ჯერ კიდევ პირველი იტალიელი კომერციალისტები მიიჩნევდნენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას სავაჭრო სამართლის სპეციალურ პრინციპად და მას ოჯახურ ურთიერთობებს უკავშირებდნენ. იხ. В. А. Удинцев, История обособления торгового права, Киев, 1900, стр.37. შუა საუკუნეების სტატუტების მიხედვით ერთიანი, განუყოფელი ოჯახის არსებობა იმთავითვე გულისხმობდა სავაჭრო საქმიანობით დაკავებული ვაჟის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე მშობლების სოლიდარულ პასუხისმგებლობას. ასეთი პასუხისმგებლობის მოვალეობა მშობლებს ეკისრებოდათ მანამდე, ვიდრე გრძელდებოდა მამის ძალაუფლება (patria potestas) ან ვიდრე პირდაპირ არ განაცხადებდნენ უარს ამგვარ პასუხისმგებლობაზე. ზოგიერთი სტატუტის მიხედვით ასეთი პასუხისმგებლობა ოჯახის სხვა წევრებზეც ვრცელდებოდა, კერძოდ, ფლორენციაში აღიარებდნენ ძმების სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც. თუკი ისინი ერთობლივი ვაჭრობით ან ხელოსნობით იყვნენ დასაქმებულნი. იხ. იქვე, გვ.37.



## I. პასუხისმგებლობის საფუძვლები

საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა სპს-ის, როგორც კონტრაქტის საიძლეობის, მესამე პირთა ინტერესების დაცვის გარანტიაა. ამით შესაძლებელია, აიხსნას ის გარემოება, რომ საზოგადოების დასაფუძნებლად კანონი საწესდებო კაპიტალს არ ითვალისწინებს და ამის გამო არც პარტნიორებს აკისრებს საწესდებო კაპიტალში სავალდებულო შესატანების შეტანის, აგრეთვე, ამ კაპიტალის სავალდებულო მინიმუმის შენარჩუნების ვალდებულებას, როგორც ეს კაპიტალური საზოგადოებების პარტნიორთა მიმართ არის გათვალისწინებული. იმავედროულად, პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა არის სპს-ის, როგორც პერსონალური საზოგადოების, კრედიტუნარიანობის უზრუნველყოფის საშუალება.<sup>7</sup>

კანონის 3.2 მუხლის მიხედვით შესაძლებელია, გამოვეყნოთ ის საფუძვლები, რომელთა არსებობაზეც, პასუხისმგებლობის ზოგად საფუძვლებთან ერთად, დამოკიდებულია საზოგადოების ვალდებულებებზე სპს-ის პარტნიორთა პასუხისმგებლობა:

ა. უწინარეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს თავად საზოგადოება. ამისათვის საზოგადოება რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში.

ბ. უნდა არსებობდეს ვალდებულება, რომლის შესრულებაც საზოგადოებას აკისრია. ვალდებულების წარმოშობის საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს.

გ. ვალდებულება საზოგადოების სახელით უნდა იყოს ნაკისრი. პარტნიორის მოქმედებამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოშვას საზოგადოების ვალდებულება, როდესაც ეს პარტნიორი მოქმედებდა

---

<sup>7</sup> Schmidt, Karsten, Gesellschaftsrecht, Köln, Berlin ... 1991, S.1164.

საზოგადოების სახელით. მაგალითად, თუკი სპს-ის პარტნიორი შეუთანხმდა შპს-ის წარმომადგენელს, რომ ერთი კვირის ვადაში მიაწოდებს საქონელს, ვალდებულება უკვე სახეზეა. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ხელშეკრულება პარტნიორმა თავისი სახელით დადო, თუ საზოგადოების სახელით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, თავის მხრივ, გასარკვევია, ხომ არ არის სახეზე გარიგების ბათილობის საფუძველები, კერძოდ, პარტნიორი და შპს-ის წარმომადგენელი განზრახ ხომ არ მოქმედებდნენ ერთად, რომ ზიანი მიეყენებინათ სპს-თვის.

პასუხისმგებლობა დადგება მაშინაც, როდესაც, მართალია, პარტნიორი პირდაპირ არ მოქმედებდა საზოგადოების სახელით, მაგრამ აშკარაა, რომ ამ მოქმედების შედეგები საზოგადოებისათვის იყო გათვალისწინებული, ან ისინი მოხმარდა საზოგადოებას.<sup>5</sup> იმ შემთხვევაში, თუკი სადავოა, დადო თუ არა პარტნიორმა ესა თუ ის გარიგება საზოგადოებისათვის ან მისი სახელით, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, მოუტანა თუ არა ამ მოქმედებამ საზოგადოებას რაიმე სარგებელი. თუ ეს მართლაც ასეა, უნდა ჩავთვალოთ, რომ გარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე პარტნიორები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

## *II. პასუხისმგებლობის შინაარსი*

სპს-ის აღიარება იურიდიულ პირად და საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა განაპირობებს, რომ საზოგადოების კრედიტორის მოთხოვნის უფლებას ჰყავს ორი ადრესატი: სპს მთელი თავისი ქონებით და საზოგადოების პარტნიორი მისი პირადი ქონებით. მაგრამ ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: როგორ და რა წესით უნდა აგონ პასუხი პარტნიორებმა და საზოგადოებამ?

---

<sup>5</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002, გვ.119-120.

კერძოდ, თავისი მოთხოვნის თაობაზე საზოგადოების კრედიტორმა უნდა მიმართოს საზოგადოებას, ცალკეულ პარტნიორს თუ ყველას ერთად?

თანამედროვე კანონმდებლობები ამ საკითხს ხშირ შემთხვევაში წყვეტენ იმისდა მიხედვით, არის თუ არა სპს იურიდიული პირი. გერმანიის სავაჭრო კოდექსი, რომლის მიხედვითაც ღია სავაჭრო საზოგადოება არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, კრედიტორის მიერ პრეტენზიათა წაყენების შემდეგ წესს ითვალისწინებს: კრედიტორი თავისი შეხედულებით ირჩევს, მიმართოს ჯერ საზოგადოებას, თუ პირდაპირ ცალკეულ, რამდენიმე ან ყველა პარტნიორს; საზოგადოების ქონებიდან დაკმაყოფილების მოთხოვნისას კრედიტორმა სარჩელი საზოგადოებას უნდა წაუყენოს (§129, მე-4 აბზ.). ამიტომ პრაქტიკაში, როგორც წესი, სარჩელი ერთდროულად წარედგინება როგორც საზოგადოებას, ისე – პარტნიორებს.”

სავაჭრო ამხანაგობათა შესახებ საფრანგეთის კანონი სპს-ს აღიარებს იურიდიულ პირად და საზოგადოების კრედიტორების მიერ პარტნიორთათვის სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე საზოგადოებისადმი მიმართვა უშედეგო აღმოჩნდება (მუხ. 10).

რუსეთის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც სრულ ამხანაგობას ასევე აღიარებს იურიდიულ პირად, იზიარებს შვეიცარიულ სისტემას და ითვალისწინებს პარტნიორთა სუბსიდიურ სოლიდარულ პასუხისმგებლობას სრული ამხანაგობის ვალდებულებებზე (მუხ. 75). ე.ი. ამ შემთხვევაში საზოგადოების ვალდებულებებზე, უწინარეს ყოვლისა, პასუხს აგებს თავად საზოგადოება, ხოლო პარტნიორთა პასუხისმგებლობა დაძატებითი ხასიათისაა და დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების ქონება არასაკმარისია კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

---

\* ჰუეკი. დასახ. ნაშრ.. გვ.129; А. Жалинский, А. Рерихт. Введение в немецкое право. М., 2001, стр.504.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით პარტნიორთა პასუხისმგებლობის არსის გამოსარკვევად ამოსავალია ის გარემოება, რომ ეს პასუხისმგებლობა არის სოლიდარული, ე.ი. უშუალო, პირდაპირი, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი ქონებით (20.1 მუხლი). სოლიდარული ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, ყველა პარტნიორს ევალება, საზოგადოების ვალდებულება შეასრულოს ისე, რომ თითოეული მონაწილეობდეს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი).

მაშასადამე, საზოგადოების ვალდებულებებზე სპს-ის პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის შინაარსი გულისხმობს, რომ ყოველი პარტნიორის პასუხისმგებლობა არის:

ა. უშუალო. საზოგადოების კრედიტორს შეუძლია, საზოგადოების ვალდებულებების შესრულება უშუალოდ მოსთხოვოს ნებისმიერ პარტნიორს. სხვაგვარად, ყოველი პარტნიორი კრედიტორისათვის არის ხელმისაწვდომი თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, თითოეულ კრედიტორს შეუძლია, თვითონვე, საზოგადოების წინასწარი ჩარევის გარეშე, საზოგადოებისადმი პრეტენზიის წაყენებამდე მიმართოს თავად პარტნიორს.<sup>10</sup> ამიტომ კრედიტორი, როგორც წესი, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართავს იმ პარტნიორს, რომელსაც შესწევს გადახდის უნარი, თუნდაც გარიგება კრედიტორს სხვა პარტნიორთან ჰქონდეს დადებული. სწორედ ამის გამო სპს კრედიტორების დაცვის მნიშვნელოვანი ფორმაა.

---

<sup>10</sup> შმიდტი, დასახ. ნაშრ. გვ.1166-1167.

ბ. პირდაპირი. კრედიტორს შეუძლია, საზოგადოებისადმი წინასწარი პრეტენზიის წაყენებას გარეშე, პირდაპირ პარტნიორისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. ამდენად, სპს-ში პარტნიორთა პასუხისმგებლობა შესაძლებელია, იყოს არამართო სუბსიდიური, არამედ – პირდაპირიც, თუმცა კრედიტორის მიერ საზოგადოების გვერდის ავლით, თავისი მოთხოვნის პირდაპირ პარტნიორებისათვის წაყენება, ძირითადად, იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც საზოგადოება თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას ან გადახდისუუნაროა.<sup>11</sup>

გ. მთელ ვალდებულებებზე. თითოეულმა პარტნიორმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. პარტნიორის მოტივები, რომ მან ამ გარიგების შესახებ არაფერი იცოდა, მხედველობაში არ მიიღება.

დ. შეუზღუდავი. პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებზე კრედიტორთა წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი პირადი ქონებით. პარტნიორებს უფლება არა აქვთ, რომ საზოგადოების გარე ურთიერთობებში ურთიერთშეთანხმებით გაათავისუფლონ რომელიმე პარტნიორი კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. პარტნიორებს შორის ამგვარი შეთანხმება მესამე პირებისათვის ბათილია.

სპს-ის პარტნიორთა პასუხისმგებლობის ხასიათს კარგად ხსნის კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალდებულებისა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის მოვალეობის ურთიერთმიმართების გარკვევა. ადრინდელ ლიტერატურაში გაბატონებული აზრი იხრებოდა შეხედულებისაკენ, რომ სინამდვილეში აქ ადგილი აქვს ერთ ვალდებულებას პასუხისმგებლობის სხვადასხვა მოცულობით.<sup>12</sup> დღეს იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული აზრი დგას იმ პოზიციაზე, რომ საზოგადოების ვალდებულება და

---

<sup>11</sup> იქვე. გვ.1167.

<sup>12</sup> Hueck. Alfred. Das Recht der offenen Handelsgesellschaft, 4. Aufl. 1971, 21. v2.

პარტნიორთა პასუხისმგებლობის მოვალეობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც იდენტური, რამდენადაც საზოგადოება და პარტნიორები სხვადასხვა სუბიექტები არიან. ამ შემთხვევაში იდენტურობა ისევე ნაკლებადაა შესაძლებელი, როგორც თავად სპს-ის და პარტნიორების იგივეობა.<sup>13</sup>

იმისათვის, რომ სპს-ის პარტნიორს საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისროს, აუცილებელია, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს საზოგადოების ვალდებულება ამ კრედიტორის წინაშე. მაშასადამე, პარტნიორის პასუხისმგებლობის მოვალეობა დამოკიდებულია ძირითადი მოვალის – საზოგადოების ვალდებულების არსებობაზე. სწორედ ამით განისაზღვრება პარტნიორის შესაბამისი ვალდებულების შინაარსი და ფარგლები. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობა ისევე აქცესორულია, როგორც თავდებობა.<sup>14</sup> მართლაც, პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებებზე მსგავსია ძირითადი მოვალის ვალდებულებისათვის თავდების პასუხისმგებლობისა, რამდენადაც პარტნიორი წარმოადგენს საზოგადოების ვალდებულებების შესრულების გარანტს. ამიტომ არის, რომ საზოგადოების ვალდებულებათა გამო წარდგენილ პრეტენზიებზე პარტნიორის შეგებებული მოთხოვნის უფლება მსგავსია ძირითადი მოვალის ვალდებულებებისათვის წარდგენილ პრეტენზიებზე თავდების შესაგებლის უფლებისა. თუკი სპს-ის რომელიმე პარტნიორს საზოგადოების ვალდებულებათა გამო წარედგინება პრეტენზია, გარდა იმისა, რომ მას შეუძლია, წარდგენილი პრეტენზიის წინააღმდეგ წარადგინოს ის შეგებებული მოთხოვნა, რომლის უფლებაც პირადად

---

<sup>13</sup> შმიდტი, დასახ. ნაშრ., გვ.1168.

<sup>14</sup> შტრ.: W. Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Berlin, 1977. S.16 II 2a.

მას აქვს ამ პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, მას, აგრეთვე, შეუძლია, მოსარჩელეს შეედავოს იმ შეგებებული მოთხოვნის წარდგენით, რომლის უფლებაც ამ პრეტენზიის საწინააღმდეგოდ აქვს საზოგადოებას (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 21.1 მუხლი, შდრ. სამოქალაქო კოდექსის 899-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს იმ ხელშეკრულების ვადის გასვლა, შესრულება, ბათილობა, რომელიც საფუძვლად უდევს ვალდებულებას, მოთხოვნის ხანდაზმულობა და ა.შ.

პარტნიორს, ისევე როგორც თავლებს, შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე საზოგადოება უფლებამოსილია, იდავოს იმ გარიგებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების ვალდებულებას (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 21.2 მუხლი, შდრ. სამოქალაქო კოდექსის 900 მუხლი). გარდა ამისა, პარტნიორს შეუძლია თავი იმითაც დაიცვას, რომ უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია საზოგადოების დრომოსული საპირისპირო მოთხოვნის შესრულებით, ანუ შემხვედრი ფულადი მოთხოვნების ურთიერთჩათვლით (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 21.3 მუხლი).

პარტნიორის პირადი პრეტენზიები „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 21.1 მუხლის მიხედვით უნდა განვასხვაოთ საზოგადოების პრეტენზიებისაგან. პარტნიორის პირადი პრეტენზიები შეუძლიათ ერთმანეთში გაქვითონ მხოლოდ ამ პარტნიორსა და კრედიტორს. ამ შემთხვევაში მოთხოვნების ურთიერთჩათვლა შესრულების სუროგატის როლს ასრულებს. პარტნიორს, რომელიც თავისი შემხვედრი მოთხოვნის ურთიერთჩათვლას მოახდენს საზოგადოების კრედიტორის მოთხოვნასთან, საზოგადოების მიმართ გაუჩნდება რეგრესის უფლება.

თვალსაჩინო კავშირი საზოგადოების ვალდებულებასა და პარტნიორთა პასუხისმგებლობას შორის იმასაც გვაფიქრებინებს, ზომ არ არსებობს სოლიდარული დამოკიდებულება თავად სპს-სა და პარტნიორებს შორის,

თუ მას ადგილი აქვს მხოლოდ ამ უკანასკნელთა ურთიერთობაში? მაგრამ ვინაიდან საზოგადოების ვალდებულება და პარტნიორთა პასუხისმგებლობის მოვალეობა, მიუხედავად მათი მჭიდრო კავშირისა, მაინც არ არის იდენტური, სოლიდარული ვალდებულებითი ურთიერთობა უნდა ვალიაოთ მხოლოდ პარტნიორებთან მიმართებაში.<sup>15</sup>

სოლიდარული ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ პარტნიორს, როგორც მთლიანად, ასევე – ნაწილობრივ.<sup>16</sup> კრედიტორის თანხმობის გარეშე პარტნიორს არა აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების უფლება. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე კრედიტორის წინაშე დანარჩენი პარტნიორების ვალდებულება ძალაში რჩება. მაშასადამე, კრედიტორს უფლება აქვს, შესრულება მოითხოვოს ერთხელ და მოსთხოვოს იგი რომელიმე პარტნიორს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ერთ-ერთი პარტნიორის მიმართ მოთხოვნის წაყენება კრედიტორს ართმევდეს უფლებას, წაუყენოს მოთხოვნა დანარჩენ პარტნიორებსაც. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორის სრული უფლებაა და მისი განხორციელება სავსებით დამოკიდებულია კრედიტორის შეხედულებაზე. ამასთან, ერთ-ერთი პარტნიორის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს დანარჩენ პარტნიორებს კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

კანონი „მეწარმეთა შესახებ“ არ ზღუდავს სპს-ის კრედიტორს, რომ ვალდებულების შესრულება მოითხოვოს უშუალოდ პარტნიორისგან, საზოგადოებისადმი წინასწარი მიმართვის გარეშე. კანონი არ განიხილავს პარტნიორთა პასუხისმგებლობას როგორც მხოლოდ სუბსიდიურს. მაგრამ

---

<sup>15</sup> შმიდტი. დასახ. ნაშრ., გვ.1166-1167.

<sup>16</sup> С. К. Май, Очерк общей части буржуазного обязательственного права, М., 1953, стр.182-183.



ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, დაკმაყოფილება თავდაპირველად პარტნიორის ქონებიდან მიიღოს? ამ საკითხზე კანონის შემდეგი დებულება უნდა გავითვალისწინოთ: „იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს პარტნიორის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევა, კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ აღმასრულებელ დოკუმენტთან ერთად, ასეთივე დოკუმენტი პარტნიორების მიმართაც“ (21.4 მუხლი). ამ მუხლიდან გამომდინარე, პარტნიორის ქონებაზე იძულებით აღსრულებას კანონი მხოლოდ მას შემდეგ თვლის შესაძლებლად, როდესაც საზოგადოების მიმართ სააღსრულებლო დოკუმენტი იქნება მოპოვებული. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჯერ საზოგადოების ქონებაზე უნდა მოხდეს იძულებითი აღსრულება, ხოლო თუკი ეს ქონება საკმარისი არ აღმოჩნდება, – პარტნიორების ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევა. აქედან გამომდინარე, საზოგადოების კრედიტორის მიერ თავისი ვალდებულებების დაკმაყოფილების მოთხოვნით პირდაპირ პარტნიორებისადმი მიმართვა უშედეგო იქნება, თუკი კრედიტორი ჯერ საზოგადოებისაგან არ მოითხოვს დაკმაყოფილებას. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა არ იქნებოდა იურიდიული პირის ბუნების შესაბამისი, საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოების პარტნიორთა ქონებას და დაუცველ მდგომარეობაში ჩააყენებდა მათ.

სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ მონაწილედ გამოსვლა, რაც იურიდიული პირის ცნების ერთ-ერთი დამაფუძნებელი ნიშანია, სპს-ს შესაძლებლობას აძლევს, თავისი სახელით შეასრულოს მოქმედებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოვალე ან კრედიტორი, დაიცვას თავისი უფლებები და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორთა პასუხისმგებლობა ემყარება მოვალედ საზოგადოების ყოფნას და გამომდინარეობს მისგან. ამიტომაც მართებულია, რომ საზოგადოების კრედიტორთა მოთხოვნები პირველ

რიგში დაკმაყოფილდეს მათი ძირითადი მოვალის – საზოგადოების ქონებიდან, ხოლო პარტნიორთა პასუხისმგებლობა დადგეს ამ უკანასკნელის უკმარისობის ან არარსებობის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სპს-ის პარტნიორები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, განსაკუთრებით საზოგადოების ლიკვიდაციის ან გაკოტრების დროს.

ამასთან, კანონი არ უკრძალავს სპს-ის კრედიტორს, ნებისმიერი პარტნიორისაგან მოითხოვოს საზოგადოების ვალდებულების შესრულება მანამდე, სანამ საზოგადოებას არ მოსთხოვს დაკმაყოფილებას, ან მისგან მიიღებს ნაწილობრივ შესრულებას. მაგრამ ამ უფლების სრულად განხორციელების შესაძლებლობას პარტნიორის ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევინების გზით კანონი კრედიტორს არ ანიჭებს. მაშინ, რას ემსახურება პარტნიორისათვის საზოგადოების კრედიტორის მიერ პრეტენზიის წარდგენის კანონით გათვალისწინებული წესი, თავისთავად, მოთხოვნას ხომ აზრი დაეკარგებოდა, მისი შესრულება რომ არ იყოს შესაძლებელი? უნდა ვივარაუდოთ, რომ პარტნიორისადმი კრედიტორის წინასწარი მიმართვა კრედიტორის მოთხოვნის შესრულების საგარანტიო ღონისძიებაა, ჯინაიდან პარტნიორს შეუძლია. უზრუნველყოს საზოგადოების მიერ ვალდებულების შესრულება, რისთვისაც უნდა მიმართოს აუცილებელ შიდასაზოგადოებრივ ღონისძიებებს.

პარტნიორს, რომელიც ვალდებულებას შეასრულებს საზოგადოების კრედიტორის წინაშე, აქვს უკუმოთხოვნის უფლება საზოგადოების მიმართ. თუკი საზოგადოება გადახდისუნაროა, ამ პარტნიორს უკუმოთხოვნის უფლება ექნება დანარჩენ პარტნიორთა მიმართ, თავისი წილის გამოკლებით. როდესაც შეუძლებელია პარტნიორთა წილი პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხის აგებენ თანაბრად. ამასთან, თუკი ერთ-ერთი პარტნიორი ვალაუვალი აღმოჩნდება, მისი წილი თანაბრად განაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან პარტნიორს შორის (სამოქალაქო კოდექსის 473-474 მუხლები).

### III. პარტნიორის პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები

ცალკე უნდა გამოვყოთ შემთხვევა, როდესაც სპს-ის კრედიტორია საზოგადოების პარტნიორი. ასეთი კრედიტორი-პარტნიორის მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, მოთხოვნა შიდასაზოგადოებრივ ვალდებულებას ეფუძნება, თუ საზოგადოების საგარეო ურთიერთობებიდან გამომდინარეობს.

იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორის მოთხოვნა გამომდინარეობს შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებიდან, პარტნიორი უფლებამოსილია, ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს მხოლოდ საზოგადოებას და არა დანარჩენ პარტნიორებს, ანუ მას აქვს მხოლოდ ე.წ. სოციალური სარჩელის უფლება, როგორც ამას აღნიშნავენ იურიდიულ მეცნიერებაში.<sup>17</sup> ასეთი უფლება წარმოიშობა საზოგადოების წესდების დარღვევის შედეგად პარტნიორის ინტერესების ხელყოფის შემთხვევაში, გაუნაწილებელი მოგების მოთხოვნის შემთხვევაში და ა.შ.

თუკი პარტნიორი საზოგადოებასთან ვალდებულებით ურთიერთობაში მონაწილეობს, როგორც გარეშე პირი, ამ შემთხვევაში პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მიმართოს როგორც საზოგადოებას, ისე – დანარჩენ პარტნიორებს, ე.ი. მას აქვს ე.წ. მესამე პირის სარჩელის უფლებაც.<sup>18</sup> ამიტომ დანარჩენი პარტნიორები პარტნიორი-კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები. თავად პარტნიორი-კრედიტორის წილი ვალდებულების მიმართ უნდა დავუშვათ ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლა და ეს წილი გამოაკლდება მოთხოვნის საერთო მოცულობას. მაგალითად, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც სპს-ში მონაწილეობს

<sup>17</sup> კუბლერი, დასახ. ნაშრ., გვ.84.

<sup>18</sup> იქვე, გვ.84.

ხუთი პარტნიორი და ერთ-ერთი პარტნიორისაგან საზოგადოებამ სესხად აიღო 5000 ლარი ხელშეკრულების საფუძველზე. ამ პარტნიორს სპს-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დანარჩენი პარტნიორების მიმართ ექნება 4000 ლარის მოთხოვნის უფლება როგორც მთლიანად, ისე თითოეულისაგან კუთვნილი ნაწილისა, ე.ი. 1000 ლარისა.

სპს-ის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობისას, აგრეთვე, საყურადღებოა, გამოვარკვიოთ, ერთი მხრივ, ვალდებულა თუ არა საზოგადოებიდან გასული პარტნიორი პასუხი აგოს სპს-ის ვალდებულებებზე, რომლებიც საზოგადოებაში მისი ყოფნის დროს წარმოიშვა და, მეორე მხრივ, უნდა დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა სპს-ში შემოსულ ახალ პარტნიორს იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მანამდე ჰქონდა ნაკისრი საზოგადოებას. პირველ შემთხვევაში პასუხს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი გვაძლევს, კერძოდ, 15.1 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ვადა არის ხუთი წელი მათი წარმოშობიდან, საზოგადოების ლიკვიდაციიდან, ან პარტნიორის გასვლიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. ასეთი „სხვა რამე“ მოცემულია 32.2 მუხლის პირველ წინადადებაში, რომელიც სპს-ის პარტნიორებს ავალდებულებს, საზოგადოებიდან გამსვლელი ან გარიცხული პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალდებულებებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა. მაგრამ ამავე მუხლის მეორე წინადადება ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვითაც საზოგადოებიდან გამსვლელ ან გარიცხულ პარტნიორს არა აქვს გარანტიის მიღების უფლება. ეს კი საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მიუხედავად იმისა, გაათავისუფლეს თუ არა გამსვლელი პარტნიორი დანარჩენმა პარტნიორებმა საზოგადოების ვალდებულებებისაგან, ვინაიდან ამის თაობაზე გარანტიის მიღება არ შეუძლია, მასზე უნდა გავრცელდეს პრეტენზიების ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა.

რაც შეეხება საკითხს, უნდა აგოს თუ არა პასუხი საზოგადოების ახალმა პარტნიორმა საზოგადოების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ნაკისრია საზოგადოებაში მის შესვლამდე, ამაზე კანონი არ შეიცავს კონკრეტულ ნორმას. საზოგადოების ვალდებულებებზე პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის ზოგადი წესიდან გამომდინარე, უნდა დავუშვათ, რომ საზოგადოების საგარეო ურთიერთობებში ახალმა პარტნიორმა პასუხი უნდა აგოს საზოგადოების ყველა ვალდებულებაზე, მიუხედავად ამ ვალდებულების წარმოშობის დროისა, ხოლო შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში ამ პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი პარტნიორთა შეთანხმების მიხედვით უნდა გადაწყდეს.<sup>19</sup>

---

<sup>19</sup> საზოგადოებიდან გასული პარტნიორისა და საზოგადოებაში შესული ახალი პარტნიორის პასუხისმგებლობა ანალოგიურად წყდება გერმანიის საეკონომიკური კოდექსით (§159(1), §130). ასევე წყვეტს საკითხს რუსეთის სამოქალაქო კოდექსიც. მაგრამ აქ საზოგადოებიდან გასული პარტნიორის პასუხისმგებლობის ვადა შეადგენს მხოლოდ ორ წელიწადს საზოგადოებიდან მისი გასვლის სამეურნეო წლის ანგარიშგების დამტკიცებიდან (მუხ. 75). ეს საკითხი განსხვავებულად წყდება ინგლისურ სამართალში, რომელიც არ ითვალისწინებს ახალი ამხანაგის პასუხისმგებლობას ამხანაგობის იმ მოქმედებებზე, რომლებიც განხორციელებულია ამხანაგობაში მის შესვლამდე, იხ. *Свод английского гражданского права*, М., 1941, стр.184.

## თავი მეხუთე

### ცვლილებები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობაში

#### §1. ზოგადი მიმოხილვა

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობის ცვლილებებს შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს პარტნიორის გარდაცვალების, საზოგადოებიდან გასვლის, გარიცხვის, აგრეთვე, საზოგადოებაში ახალი პარტნიორის შემოსვლის შემთხვევებში. თანამედროვე სამართლებრივი შეხედულებები ამ საკითხზე ძირეულად განსხვავდება ადრინდელისაგან.

რომის სამართლის ტრადიციული თვალსაზრისი, რომელიც ამხანაგობას (societas) განიხილავდა როგორც მის მონაწილეთა შორის მკაცრად განსაზღვრულ პირად სახელშეკრულებო ურთიერთობას, დასაშვებად არ მიიჩნევდა არანაირ ცვლილებას ამხანაგობის პირად შემადგენლობაში. იგულისხმებოდა, რომ ხელშეკრულება მოქმედებდა მხოლოდ და მხოლოდ მის დაბდებ კონკრეტულ პირებს შორის, რის გამოც ხელშეკრულებაში მონაწილეთა პირადი შემადგენლობის ყოველგვარი ცვლილება განიხილებოდა არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა დარღვევად. არ დაიშვებოდა, მაგალითად, ხელშეკრულებაში გარდაცვლილი მონაწილის შენაცვლება მისი მემკვიდრეებით, ვინაიდან იგულისხმებოდა, რომ ამის შედეგად ადრინდელი პირადი ურთიერთობების ნაცვლად წარმოიშობოდა ახალი ურთიერთობები, ადრინდელი უფლების ნაცვლად – ახალი უფლება. ამხანაგობის მთლიანობის დარღვევას იწვევდა მისი რომელიმე მონაწილის გამოსვლაც. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებაში კიდევ რომ ყოფილიყო შესაბამისი დათქმა, დანარჩენი მონაწილენი

ვალდებულნი იყვნენ, ხელახლა დაემყარებინათ სახელშეკრულებო ურთიერთობა.<sup>1</sup>

ხელშეკრულების ძონაწილეთა შეცვლის დაუშვებლობის წესი ჯერ კიდევ რომაელებთან აღმოჩნდა შეუსაბამო ცხოვრების მოთხოვნილებებთან. ამიტომაც ვალდებულებით ურთიერთობებში ამ მკაცრი დანაწესის შეცვლა რომაელმა იურისტებმა პროცესუალური ფორმის მეშვეობით – უფლების განხორციელების, სარჩელის უფლების გადაცემით მოიფიქრეს.<sup>2</sup> რაც შეეხება ამხანაგობის პირადი შემადგენლობის ცვლილებას, ეს საკითხი, ისევე როგორც ზოგადად მოძღვრება იურიდიულ პირებზე, რომის სამართალში ნაკლებად დამუშავდა.

სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნილებამ, რომ საზოგადოების არსებობა დაცული ყოფილიყო პარტნიორთა პირადი შემადგენლობის ცვლილებების შედეგად მოსალოდნელი დაშლისაგან, თანდათანობით გამოიწვია არა მარტო რომაული, არამედ შემდგომი შეხედულებების შეცვლაც სავაჭრო საწარმოს თაობაზე, სადაც რელევანტურს წარმოადგენდა პარტნიორი-ვაჭრის პიროვნების წინ წამოწევა.

თანამედროვე საკორპორაციო სამართალში, ძირითადად, ყურადღება გადატანილია სამეწარმეო საზოგადოების ორგანიზაციულ ერთიანობასა და მის ეკონომიკურ მთლიანობაზე. თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული თვალსაზრისი უპირატესობას ანიჭებს არსებული საწარმოს შენარჩუნების საერთო-ეკონომიკურ ინტერესებს და დგას პოზიციაზე, რომ თუკი შესაძლებელია საწარმოს გადარჩენა, თავიდან იქნეს აცილებული მისი ლიკვიდაცია, რათა არ მოხდეს საერთო-ეკონომიკური თვალსაზრისით

---

<sup>1</sup> К. Победоносцев, Курс гражданского права, ч.3, С-ПТ., 1880, стр.504-505.

<sup>2</sup> იქვე. გვ.224.

ძალზე ღირებული ფასეულობების არასასურველი მოსპობა.<sup>3</sup> ამ თეორიული მოსაზრების შესატყვისია კანონმდებლობათა პოზიციაც.

თანამედროვე კანონმდებლობები, ძირითადად, აღიარებენ სპს-ის არსებობას იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადგილი აქვს საზოგადოების პირადი შემადგენლობის ცვლილებას პარტნიორის გამოსვლის, გარიცხვის, გარდაცვალების შემთხვევებში.<sup>4</sup> ამასთან, იმის გამო, რომ შეუძლებელია, არ იქნეს გათვალისწინებული სპს-ის, როგორც პერსონალური საზოგადოების, სამართლებრივი ბუნება, საზოგადოების წესდებისა თუ სადამფუძნებლო ხელშეკრულების შესაბამისი დანაწესის არსებობისას დასაშვებია საზოგადოების ლიკვიდაცია პარტნიორის გარდაცვალებისა თუ საზოგადოებიდან მისი გასვლის შემთხვევებში.<sup>5</sup> ზემოაღნიშნული ტენდენციის გამოხატულებაა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პოზიციაც. რასაც დაწვრილებით შევეხებით იმ ცალკეული გარემოებების განხილვისას, რომლებიც გავლენას ახდენს სპს-ის პარტნიორთა შემადგენლობის ცვლილებაზე.

---

<sup>3</sup> Reinhardt/Schultz, Gesellschaftsrecht, 2.Aufl. 1981. S.209; Lehman/Deitz, Gesellschaftsrecht, 3.Aufl. 1970. S.179ff. ამ თვალსაზრისის მოწინააღმდეგენი მას სადავოდ თვლიან იმ მოსაზრებით, რომ საწარმოს, როგორც სამართლის სუბიექტის ლიკვიდაცია ყოველთვის არ ნიშნავს საწარმოს, როგორც სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტის აუცილებელ დაქუცმაცებასა და მოსპობას. იხ. Kübler, Gesellschaftsrecht, 1990, S.87.

<sup>4</sup> განსხვავებული მიდგომაა გერმანიის სავაჭრო კოდექსში პარტნიორის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით, რაც საზოგადოების შეწყვეტის საფუძველად განიხილება (§131).

<sup>5</sup> ასეთი დათქმის არსებობისას ლიკვიდაციის საფუძველად სპს-ის პარტნიორის გარდაცვალებას პირდაპირ ითვალისწინებს გერმანიის სავაჭრო კოდექსი (§131). პარტნიორის გარდაცვალებას, გასვლას ან გარიცხვას – რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი (მუხ. 81), გასვლას – კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (14.1.1 მუხლი).



## §2. წილი კაპიტალის გასხვისება

წილის გასხვისება გულისხმობს პარტნიორის მიერ სხვა პარტნიორისათვის ან მესამე პირისათვის თავის წილზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემას სასყიდლით ან უსასყიდლოდ. წილის უსასყიდლო გადაცემა სხვაგვარად წილის დათმობას ნიშნავს.

სამეწარმეო საზოგადოებებში წილთა თავისუფალი გასხვისების პრინციპი ზოგიერთ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულ შეზღუდვებს ექვემდებარება. ასეთი შეზღუდვები შეიძლება იყოს წილის გასხვისების თაობაზე დანარჩენი პარტნიორების წინასწარი თანხმობის აუცილებლობა, თუკი საზოგადოების წესდებით წილის თავისუფალი გასხვისება დაშვებული არ არის, აგრეთვე, სანოტარო ფორმის დაცვის საჭიროება. განვიხილოთ სას-ში წილის გასხვისების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებები.

წილის გასხვისებისთვის დანარჩენი პარტნიორების წინასწარი თანხმობა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოების წესდებით წილის თავისუფალი გასხვისება დაშვებული არ არის („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 30-ე მუხლი). ასეთი თანხმობის საჭიროება შესაძლებელია, აეხსნათ იმით, რომ: „ამხანაგებს, რომლებმაც თავიანთი თანხმობა გამოხატეს ამხანაგობაში A-ს, B-სა და C-ს გაერთიანებაზე, ამით ჯერ კიდევ არ გამოუხატავენ თანხმობა მათთან ერთად D-ს გაერთიანებაზე, ან D-თი C-ს შეცვლაზე“.<sup>6</sup>

კანონი არ აზუსტებს, თუ რა ფორმით უნდა გამოიხატოს პარტნიორთა წინასწარი თანხმობა წილის გასხვისებაზე. რამდენადაც ამ შემთხვევაში საჭიროა ყველა პარტნიორის აუცილებელი შეთანხმება, აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული თანხმობა უნდა გამოიხატოს

---

<sup>6</sup> Г. Ф. Шершеневич, Курс торгового права, т.1, С-ПТ., 1908, стр.355. წილის გადაცემისას სრული ამხანაგობის დანარჩენი პარტნიორების თანხმობას მოითხოვს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსიც (მუხ. 79).

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ფორმით (22.4 მუხლი), მით უმეტეს, რომ პარტნიორთა ამგვარი თანხმობა, რასაც საზოგადოებიდან მათი თანამონაწილის გასვლა უნდა მოჰყვეს, თავისი მნიშვნელობით ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის განხორციელების დროს მისაღებ გადაწყვეტილებებს (22.1 მუხლი). გარდა ამისა, მესამე პირზე წილის გადაცემის შემთხვევაში იცვლება საზოგადოების წესდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობის შესახებ, ხოლო როდესაც წილი გადაეცემა სხვა პარტნიორს, აგრეთვე, იცვლება პირობა წილთა განაწილების თაობაზე. საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა კი წარმოადგენს პარტნიორთა კრების პრეროგატივას.

დანარჩენი პარტნიორების თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების წესდებით დაშვებულია გასხვისება. აღსანიშნავია, რომ ჩვენს პრაქტიკაში უპირატესობა წილი კაპიტალის თავისუფალ გასხვისებას ენიჭება.

როგორც ვხედავთ, კანონის პოზიცია სპს-ში პარტნიორის წილი კაპიტალის გასხვისების მოწესრიგების საკითხზე შორს დგას რომის სამართლისეული მიდგომისაგან, თუმცა დანარჩენი პარტნიორების წინასწარი თანხმობის ან წესდებაში შესაბამისი დანაწესის არსებობის მოთხოვნა მაინც ზღუდავს საზოგადოებიდან პარტნიორის თავისუფალად გასვლის შესაძლებლობას. მაგრამ ამგვარი ნორმის არსებობას აქვს გამართლება. სპს-ის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის არ არის სულერთი, თუ ვინ იქნება მისი პარტნიორი. ამიტომ საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლამ, ერთი მხრივ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საზოგადოების კრედიტუნარიანობას (თუკი საზოგადოება პარტნიორის ქონებაზე ამყარებდა იმედს), მეორე მხრივ, შესაძლებელია, ამან არც იმოქმედოს საზოგადოების ეკონომიკურ სტაბილურობაზე (თუკი მის ნაცვლად შემსვლელი პარტნიორის ქონება, აგრეთვე, დააკმაყოფილებს

საზოგადოების კრედიტუნარიანობას), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანც საფრთხე შეუქმნას საზოგადოების სამართლებრივი კონსტრუქციის მთლიანობას (თუკი ახალი პარტნიორი ვერ შეცვლის გასული პარტნიორის პიროვნულ მონაწილეობას საზოგადოებაში ან ახალი პარტნიორის მიმართ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა არ წარმოიშობა).

ამდენად, დანარჩენი პარტნიორების წინასწარი თანხმობის საჭიროება, რომელსაც კანონი ითვალისწინებს, საზოგადოების მთლიანობის დასაცავად მიმართული ზომაა. თანხმობის მიცემა წილის გასხვისებაზე იმავედროულად ნიშნავს თანხმობას ამ წილის შექმნაზეც, თუმცა საზოგადოების წესდება შესაძლოა, ზოგ პირს არ აძლევდეს უფლებას, შეიძინოს საზოგადოების პარტნიორის წილი. სპს-ის პარტნიორის წილი კაპიტალის სასყიდლიანი გასხვისების მიმართ საზოგადოების წესდებამ შეიძლება, გაითვალისწინოს დანარჩენი პარტნიორების მიერ ამ წილის უპირატესი შესყიდვა. ამასთან, ვინაიდან უპირატესი შესყიდვის ეს უფლება პირადი ხასიათისაა, იგი არ შეიძლება სხვა პირს გადაეცეს.

წილის, როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო გასხვისების ხელშეკრულება საჭიროებს ნოტარიულ დამოწმებას.

პრაქტიკაში დგას საკითხი, უნდა ჩაითვალოს თუ არა სპს-ის პარტნიორის მიერ თავისი წილი კაპიტალის დათმობა ნამდვილად, თუკი პარტნიორთა ნება ამის თაობაზე გამოხატულია პარტნიორთა კრების ოქმში, რომელიც ხელმოწერილია პარტნიორთა მიერ და დამოწმებულია სანოტარო წესით, ხოლო წილის დათმობის ხელშეკრულება ცალკე არ არის გაფორმებული? საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ასეთი შემთხვევის მიმართ მიიჩნია, რომ პარტნიორთა კრების ოქმი, რომელიც შეიცავს საზოგადოების წილის გასხვისებისათვის აუცილებელ პირობებს (გამსხვისებლისა და შემქმნის ვინაობას, სხვა პარტნიორების თანხმობას, წილის გასხვისების პირობებს, რომლებზეც მხარეები თანხმდებიან და ა.შ.) და დამოწმებულია სანოტარო წესით, უნდა ჩაითვალოს წილი

კაპიტალის დათმობის ხელშეკრულებად და აკმაყოფილებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის მოთხოვნებს, თუკი პარტნიორთა კრების ოქმი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.<sup>7</sup>

წილის გადაცემა იწვევს წილის გამსხვისებელი პარტნიორის ყველა უფლება-მოვალეობათა შესაბამის გადაცემას შემძენზე.

პარტნიორის გამოსვლასთან კავშირშია ახალი პარტნიორის მიღება სპს-ში. ახალი პარტნიორი შეიძლება, საზოგადოებაში შევიდეს როგორც ერთ-ერთი პარტნიორის მიერ მასზე თავისი წილი კაპიტალის გასხვისებისა და, შესაბამისად, ამ პარტნიორის შენაცვლების გზით, ისე – საზოგადოებიდან რომელიმე პარტნიორის გასვლის გარეშეც. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ახალი პარტნიორის მიღება უნდა მოხდეს საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

### §3. პარტნიორის გასვლა საზოგადოებიდან

არც ერთი ხალშეკრულება არ შეიძლება იყოს დაურღვეველი ან სამუდამო, ვერც პარტნიორებს ვაიძულებთ მუდმივად საზოგადოებაში ყოფნას ან იმ პარტნიორთან ერთად საზოგადოების საქმიანობის გაგრძელებას, რომელმაც მათი ნდობა დაკარგა. ამიტომ პარტნიორი შესაძლებელია, წავიდეს საზოგადოებიდან არა მარტო თავისი ნებით, არამედ – დანარჩენი პარტნიორების მოთხოვნითაც, თუნდაც მისივე ნების საწინააღმდეგოდ.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი საკუთარი ნებით პარტნიორის სპს-დან გასვლას ითვალისწინებს პარტნიორის სურვილის შემთხვევაში,

---

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება სპს „კედელაშვილი და კომპანიის“ საქმეზე. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. ნაწ.1, 2000, №1-12, გვ.490-492.

პარტნიორის ნების საწინააღმდეგოდ – მის ქონებაზე საგააკოტრებო წარმოების გახსნის ან საზოგადოებიდან გარიცხვის შემთხვევაში.

საზოგადოებრივი საკუთარი სურვილით გასვლა სპს-ის პარტნიორს ყოველთვის შეუძლია. კანონი ამ შემთხვევაში არ ზღუდავს პარტნიორს, მიუხედავად იმისა, საზოგადოება განუსაზღვრელი ვადითაა შექმნილი თუ განსაზღვრული ვადით.<sup>4</sup>

პარტნიორის თავისუფლად გასვლას დაუშვებლად მიიჩნევა გ. შერშენევიჩი როგორც განსაზღვრული, ისე – განუსაზღვრელი ვადით შექმნილი სრული ამხანაგობიდან. იგი თვლიდა, რომ პარტნიორი ვალდებულია, დაიცვას დათქმული ვადა, როდესაც თანხმდება, გაერთიანდეს განსაზღვრული დროით შექმნილ საზოგადოებაში და ამით თითქოსდა სიფრთხილეს იჩენს უფრო ხანგრძლივი ვადით შექმნილ სრულ ამხანაგობაში მონაწილეობის მიმართ. ასეთი ამხანაგობიდან გამოსვლას იგი შესაძლებლად მიიჩნევა მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზეზების არსებობისას. მაგალითად, ხელმძღვანელთა არაკეთილსინდისიერი საქმიანობის, აგრეთვე, კაპიტალის შეუტანლობის შემთხვევაში. განუსაზღვრელი ვადით შექმნილი საზოგადოებიდან პარტნიორის გამოსვლას გ. შერშენევიჩი დასაშვებად თვლიდა, თუმცა მხოლოდ ისეთ დროს, როდესაც პარტნიორის გასვლა არ ავნებდა საზოგადოების საქმიანობას, ვინაიდან: „არ შეიძლება ნება დავრთოთ მონაწილეს, რომელიც საწარმოს ყველა სიკეთით სარგებლობდა, გაეიდეს ამხანაგობიდან კრიტიკულ მომენტში“.<sup>5</sup>

---

<sup>4</sup> ეს საკითხი განსხვავებულადაა გადაწყვეტილი რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსით. რომელიც განსაზღვრული ვადით შექმნილი სრული ამხანაგობიდან პარტნიორის გასვლას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. განუსაზღვრელი ვადით შექმნილი სრული ამხანაგობიდან კი – გასვლის თაობაზე საზოგადოების გაფრთხილებიდან არანაკლებ ექვსი თვის შემდეგ (მუხ. 77).  
<sup>5</sup> იხ. შერშენევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ.352-353.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ კრძალავს პარტნიორის თავისუფალ გამოსვლას განსაზღვრული ვადით შექმნილი სპს-დან, თუმცა შესაძლებელია, ამ საკითხის მოწესრიგება საზოგადოების წესდებით პარტნიორთა შეხედულებისამებრ განხორციელდეს.

სპს-დან პარტნიორის თავისუფლად გასვლის შესაძლებლობის გათვალისწინებით კანონი იცავს პარტნიორის ნების თავისუფლებას, მოუხდავად იმისა, შეექმნება თუ არა საფრთხე საზოგადოების მთლიანობას. ამ შემთხვევაში პარტნიორის ინტერესები საზოგადოების ინტერესებზე უფრო ღირებულია. პარტნიორის გასვლის შემდეგ დანარჩენმა პარტნიორებმა უნდა გადაწყვიტონ, დაშალონ საზოგადოება, გააგრძელონ მისი არსებობა, თუ მოახდინონ მისი რეორგანიზაცია. პარტნიორის გასვლა ლიკვიდაციის საფუძველად წესდებითაც შეიძლება იყოს გათვალისწინებული. საზოგადოების ლიკვიდაცია სავალდებულოა, თუ საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორები ფლობენ ხმათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტს (14.1.1. მუხლის მესამე წინადადება).

სპს-დან გამსვლელი პარტნიორი უნდა გათავისუფლდეს საზოგადოების ვალებისაგან და აუნაზღაურდეს ის, რასაც იგი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა (32.2 მუხლი). მამასადამე, პარტნიორს ეკუთვნის მთლიანად საზოგადოების ქონებაში მისი წილის კომპენსაცია, მათ შორის, ნატურით. გამსვლელი პარტნიორის წილის ოდენობა დგინდება გამოყოფის ბალანსით, რომელმაც უნდა ასახოს საზოგადოების ქონების ღირებულება პარტნიორის გასვლის ძალაში შესვლის დღისთვის.

პარტნიორის გასვლა სპს-დან დაიშვება სამეურნეო წლის ბოლომდე თორმეტი თვით ადრე განცხადების საფუძველზე (14.1.1 მუხლის პირველი წინადადება), საზოგადოების წესდება შესაძლოა, უფრო გრძელ ვადასაც ითვალისწინებდეს, ხოლო ამ ვადის შემცირება არ დაიშვება.

სპს-ის ინტერესების დაცვას ემსახურება საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა პარტნიორის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების

გახსნის შემთხვევაში (31.1 მუხლი). იგულისხმება, რომ ვალაუვალი პარტნიორის ქონება ვეღარ იქნება საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის გარანტი. ამასთან, ეს შემთხვევა ემსახურება ვალაუვალი პარტნიორის პირადი კრედიტორების ინტერესების დაცვასაც, რამდენადაც ის კომპენსაცია, რაც გამოსვლელმა პარტნიორმა საზოგადოებიდან უნდა მიიღოს, შვეა გაკოტრების მასაში და კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიიძღარება. ეს პარტნიორი საზოგადოებამ უნდა გაათავისუფლოს საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადოს ის, რასაც საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა. საზოგადოების ქონების ღირებულება უნდა შეფასდეს იმ დღისათვის, როცა იხსნება ვალაუვალი პარტნიორის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება. ამ შემთხვევაშიც დგება გამოყოფის ბალანსი.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად, გერმანიის სავაჭრო კოდექსი, ერთ-ერთი პარტნიორის ქონებაზე საკონკურსო წარმოების გახსნას მიიჩნევს ღია სავაჭრო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის საფუძვლად (§131). რამდენადაც საზოგადოების შენარჩუნება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა, ამდენად, ამ შემთხვევაში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პოზიცია უფრო პროგრესულია და იურიდიული აზრის ევოლუციის ერთგვარი გამოხატულებაა.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის დროს კანონი უკავშირებს „ამ ფაქტის ძალაში შესვლის მომენტს“ (31.1 მუხლი). მაშასადამე, საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლა ძალაშია წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების რეგისტრაციის მომენტიდან.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევაში მისი წილი საზოგადოების ქონებაში დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს (32.1 მუხლი). ამ შემთხვევაში დარჩენილ პარტნიორთა წილს ემატება გასული პარტნიორის არა „რეალური“ წილი, როგორც უმემკვიდრეოდ დარჩენილი

პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში აქვს ამას ადგილი, არამედ — მხოლოდ „იდეალური“ სახით, შესაბამისი ქონების გარეშე, რომელიც გასულმა პარტნიორმა გაიტანა საზოგადოებიდან. ამიტომ წილები უნდა განაწილდეს თანაბრად, თუმცა პარტნიორთა შეთანხმებით ან წესდებით შეიძლება დადგინდეს განაწილების სხვაგვარი წესიც, მაგალითად, პროპორციული განაწილება.

საზოგადოებიდან პარტნიორის გამოსვლამ შესაძლოა, იმოქმედოს მის საფირმო სახელწოდებაზე, თუ გამსვლელი პარტნიორის გვარი და სახელი (ან გვარი) აღნიშნული ფირმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. როდესაც პარტნიორი საზოგადოებიდან გასვლისას არ მოითხოვს საფირმო სახელწოდებიდან მისი სახელისა და გვარის ამოღებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ფირმაში გამოყენების უფლებას ის უტოვებს საზოგადოებას. ასეთი შემთხვევა არის გამონაკლისი საფირმო სახელწოდების ტემპარიტების პრინციპიდან.

#### §4. პარტნიორის გარიცხვა

სპს-ის პარტნიორთა პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების საფუძველი შესაძლოა, გახდეს პარტნიორის გარიცხვა. „შეწარმეთა შესახებ“ კანონის ზოგად ნაწილში მოცემულია სამეწარმეო იურიდიული პირებიდან პარტნიორის გარიცხვის ზოგადი წესი, რომელიც გარიცხვას პარტნიორის მიერ შესატანის შეტანის მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს (3.5 მუხლი). ეს წესი ვრცელდება ყველა სამეწარმეო საზოგადოების მიმართ. ამასთან, კანონის განსაკუთრებულ ნაწილში მოცემულია სპს-დან პარტნიორის გარიცხვის სპეციალური ნორმები, რაც პარტნიორის გარიცხვას მასზე დაკისრებული არსებითი მოვალეობის დარღვევას უკავშირებს (31.2 მუხლი). განვიხილავთ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ამ შემთხვევებს.



## *I. პარტნიორის გარიცხვის ზოგადი წესი*

საზოგადოების დაფუძნებისას კანონი დამფუძნებელ პარტნიორებს შესაძლებლობას აძლევს, წესდების ხელმოწერისთანავე შეავსონ დათქმული კაპიტალის ნახევარი, თუ წესდება უფრო მეტის შევსებას არ ითვალისწინებს, ხოლო კაპიტალის დანარჩენი ნაწილი დაფარონ მოგვიანებით, წესდებით განსაზღვრულ ვადაში (3.5 მუხლის 1 აბზაცი). იმ შემთხვევაში, თუკი შესატანის შეტანაზე ვალდებული პარტნიორი გადააცილებს ამ ვადას, შესაძლოა, დადგეს საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხი. ამ პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა შეიძლება, მოითხოვოს ნებისმიერმა პარტნიორმა, ვინაიდან შესატანის შეუტანლობის შედეგად გამოწვეული არასასურველი ფინანსური შედეგები ეხება ყველა პარტნიორს და ისინი შესატანის შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალზე თავად აგებენ პასუხს. შეტანაზე ვალდებული პარტნიორისათვის მოთხოვნის წაყენება წერილობით უნდა მოხდეს. მოთხოვნასთან ერთად პარტნიორს უნდა მიეცეს დამატებითი ვადა და გაფრთხილდეს საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე. დამატებითი ვადა არ შეიძლება შეადგენდეს ერთ თვეზე ნაკლებს (3.5 მუხლის მეორე აბზაცი). დამატებითი ვადის გათვალისწინებით კანონი საზოგადოების პარტნიორს კიდევ ერთხელ აძლევს შესაძლებლობას, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ პარტნიორი, რომელმაც გააჭიანურა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ – შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, მაშასადამე, მას არც მოგების და არც წილის კომპენსაციის მიღება შეუძლია, რის შესახებაც წერილობით განემარტება (3.5 მუხლის მესამე აბზაცი).

კანონი ითვალისწინებს გარიცხული პარტნიორის შეუსრულებელი შესატანის განაწილებას სხვა პარტნიორებზე „თავიანთი წილის შესაბამისად“, ე.ი. წილთა პროპორციულად (3.5 მუხლის ბოლო წინადადება). რაც შეეხება გარიცხული პარტნიორის ნაწილობრივად

შესრულებულ შენატანს, იგი უსასყიდლოდ გადაეცემა პარტნიორებს. ამ შენატანის განაწილება თანაბრად უნდა მოხდეს, თუკი საზოგადოების წესდება სხვაგვარ განაწილებას არ ითვალისწინებს. საზოგადოებიდან გარიცხვა პარტნიორს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. შიდა-საზოგადოებრივი წინააღმდეგობები გავლენას არ უნდა ახდენდეს მესამე პირთა ინტერესებზე. ამიტომ კანონი ძალაში ტოვებს გარიცხული პარტნიორის პასუხისმგებლობას. არაფულადი შესატანის შემთხვევაში 3.5 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შესაბამისი ფულადი თანხის ფარგლებში. ბუნებრივია, კანონის ეს მოთხოვნა მხოლოდ კაპიტალურ საზოგადოებებს შეეხება და იგი ვერ გავრცელდება სპს-ის პარტნიორებზე, რომლებიც შეუზღუდავად აგებენ პასუხს.

## *II. პარტნიორის გარიცხვის სპეციალური შემთხვევა*

იმის გამო, რომ სპს პერსონალური საზოგადოებაა, ამ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს არა მარტო პარტნიორის კაპიტალის კავშირი საზოგადოებასთან, არამედ – პარტნიორის პიროვნული კავშირიც. კანონის 31.2 მუხლის თანახმად: „თუ პარტნიორი საზოგადოების წინაშე მასზე დაკისრებულ არსებით მოვალეობას დაარღვევს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თუ ამგვარი მოვალეობის შესრულება მისთვის შეუძლებელი ხდება, ან არსებობს სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ სასამართლომ სხვა პარტნიორების მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება საზოგადოებიდან ამ პარტნიორის გარიცხვის შესახებ“.

მამასადამე, შესატანის შეტანის მოვალეობის დარღვევის გარდა, პარტნიორის გარიცხვა სპს-დან დასაშვებია სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, როდესაც:

ა. პარტნიორი საზოგადოების წინაშე მასზე დაკისრებულ არსებით მოვალეობას დაარღვევს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;

ბ. პარტნიორისათვის მასზე დაკისრებული არსებითი მოვალეობის შესრულება შეუძლებელია;

გ. არსებობს სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

„არსებითი მოვალეობა“, ასევე „მნიშვნელოვანი საფუძველი“ შეფასებითი კატეგორიებია. მათი განმარტება უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე. პარტნიორის მიერ არსებითი მოვალეობის დარღვევას, მაგალითად, ადგილი ექნება საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის მოვალეობების დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, უმოქმედობით, რაც ზიანს მიაყენებს საზოგადოებას ან შელახავს მის საქმიან რეპუტაციას, აგრეთვე, საზოგადოების სახსრების მოხმარების ან საზოგადოების ფირმით სარგებლობასთან დაკავშირებით პარტნიორის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობისაგან განგებ თავის არიდების, კონკურენციის აკრძალვის წესების სისტემატური დარღვევისას და ა.შ. ამასთან, პარტნიორის მიერ ნაკისრი მოვალეობის დარღვევა უნდა იყოს რეალური, ე.ი. სახეზე უნდა იყოს და მართლაც უნდა ხელყოფდეს საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას. კარგი იქნება, თუ პარტნიორის გარიცხვის კონკრეტული შემთხვევები საზოგადოების წესდებით დაწვრილებით განისაზღვრება, რაც ბევრად გააადვილებს პარტნიორთა შორის ურთიერთობას და მათ შორის დავის გადაწყვეტას.

გერმანიის სავაჭრო კოდექსი ითვალისწინებს ღია სავაჭრო საზოგადოებიდან პარტნიორის იძულებით გამოსვლას იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორის კერძო კრედიტორს, მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში პარტნიორის მოძრავი ქონებიდან დაკმაყოფილების უშედეგო ცდის შემდეგ სააღსრულებლო დოკუმენტის საფუძველზე მიღწევს დაკმაყოფილებას იმ ქონების საფუძველზე, რაც პარტნიორს ეკუთვნის საზოგადოების ლიკვიდაციის დროს, შეეძლება

განაცხადოს საზოგადოების სადამფუძნებლო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მიუხედავად ამ საზოგადოების შექმნის ვადისა. ამ შემთხვევაში დანარჩენ პარტნიორებს ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლიათ განუცხადონ კრედიტორს, რომ საზოგადოებას სურს საქმიანობის გაგრძელება დარჩენილი პარტნიორებით. ასეთ დროს მოვალე-პარტნიორი სამეურნეო წლის დასრულებისთანავე იძულებით გადის საზოგადოებიდან (§135). ასეთივე იძულებით გასვლას ადგილი აქვს პარტნიორის ქონებაზე კონკურსის გამოცხადების შემთხვევაშიც (§141).

ამდენად, სპეციალური ნორმის საფუძველზე სპს-დან პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ასეთი იძულებითი ღონისძიებისათვის. ზემოაღნიშნული საფუძველებით კანონი არ ითვალისწინებს პარტნიორის გარიცხვას არც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან და არც სააქციო საზოგადოებიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საზოგადოებისა და პარტნიორის ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელია პარტნიორის კაპიტალის კაემირი საზოგადოებასთან და შესატანის შეუტანლობის გარდა სხვა საფუძველით საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუკი პარტნიორები თვითონ შეთანხმდებიან ამაზე და წესდებით მოაწესრიგებენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპს მონაწილეთა ურთიერთ-ნდობაზე დამყარებული საზოგადოებაა, ხოლო საკორპორაციო სამართალში ტრადიციულად ითვლებოდა, რომ დანარჩენი პარტნიორებისგან შეუძლებელია, მოვითხოვოთ, დარჩნენ საზოგადოებაში იმ პირთან ერთად, რომელმაც მათი ნდობა დაკარგა.<sup>10</sup>

პარტნიორის გარიცხვა იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა სპს-ის სამართლებრივ ცხოვრებაში, რომ მის განსახორციელებლად მხოლოდ

---

<sup>10</sup> შერშენევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ.352.

პარტნიორთა სურვილი არაა საკმარისი. კანონის შესაბამისად ეს უნდა განახორციელოს „სასამართლომ სხვა პარტნიორების მოთხოვნის საფუძველზე“. ეს მოთხოვნა შესაძლებელია, დააყენოს ცალკეულმა პარტნიორმა ან რამდენიმე პარტნიორმა ერთობლივად ან იგი გამოხატული იყოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ფორმით.<sup>11</sup> ასეთ შემთხვევაში კრების ოქმი თან უნდა დაერთოს პარტნიორთა განცხადებას.

გარიცხვა არის გადაწყვეტი ზომა, რომელიც სპს-ის პარტნიორის მიმართ იძულებითი ღონისძიების სახით გამოიყენება. ამიტომ ამ უკიდურესი საშუალებისადმი მიმართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს დასაშვები, თუკი სხვა გზით ვერ მოხერხდება შიდასაზოგადოებრივი პრობლემების მოგვარება. ე. წ. ერთგულების საერთო მოვალეობა, რომელიც სპს-ის პარტნიორებს აკავშირებს, მათ ავალდებულებს, თავიანთ მოქმედებებში იხელმძღვანელონ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ პარტნიორებმა ყოველმხრივ უნდა აწონ-დაწონონ, ხომ არ იქნება გამოსავალი სხვაგვარი ღონისძიების გატარება, მაგალითად, წესდებაში ცვლილებების შეტანა (თუნდაც პერსონალური პასუხისმგებლობის შეზღუდვაც კი). თავის მხრივ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, შიდა-საზოგადოებრივი წინააღმდეგობების მოსაგვარებლად ხომ არ აჯობებს სხვა ღონისძიებათა გატარება, მაგალითად, პარტნიორისათვის წარმოების მართვისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ჩამორთმევა და ა.შ.

სპს-ის პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის სამართლებრივ შედეგებს არეგულირებს კანონის 32-ე მუხლი. 32.1 მუხლის თანახმად საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში, მისი წილი საზოგადოების ქონებაში დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს. ამდენად,

---

<sup>11</sup> გერმანულ პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული პარტნიორის გარიცხვა პარტნიორთა ნაწილის მოთხოვნით, იხ. Hueck, Gesellschaftsrecht, München, 1991, S.138.

გარიცხული პარტნიორი კარგავს თავის წილს საზოგადოების ქონებაში. მაგრამ იგი არ კარგავს შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც. ამიტომ გარიცხულ პარტნიორს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. რამდენადაც ამ შემთხვევაში ადგილი აქვს წილის ღირებულების ანაზღაურებას, გარიცხული პარტნიორის წილი დანაარჩენ პარტნიორებზე უნდა განაწილდეს პროპორციულად, თუმცა წესდებით შეიძლება დადგინდეს განაწილების სხვაგვარი წესიც, მაგალითად, თანაბარი განაწილება.<sup>12</sup>

გარიცხული პარტნიორის კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების ქონებაში მისი წილის ზუსტ ღირებულებას, რომელიც გამოითვლება გარიცხვის შესახებ სარჩელის შეტანის დღისათვის შეფასებული საზოგადოების ქონების ღირებულებიდან (32.3 მუხლი). ამ მიზნით კანონი ითვალისწინებს გამოყოფის ბალანსის შედგენას (32.3 მუხლი), რომელმაც უნდა აჩვენოს საზოგადოების ქონების ნამდვილი მდგომარეობა. რამდენადაც ეს ქონება უნდა შეფასდეს გარიცხვის შესახებ სარჩელის შეტანის დღისათვის, ამიტომ ბალანსი უნდა შედგეს აუდიტორის დასკვნის საფუძველზე. გამოყოფის ბალანსი, განსხვავებით წლიური ბალანსისაგან (რომელიც ემსახურება მოგების დადგენას), არის „ნამდვილი ქონებრივი ბალანსი“.<sup>13</sup> მასში უნდა განისაზღვროს ნაღდი ფულის ოდენობა, შეწყდეს ფარული რეზერვები, ღია რეზერვებში მონაწილეობა უნდა მიიღოს გარიცხულმა პიროვნებამ, მან უნდა მიიღოს, აგრეთვე, ისეთი არამატერიალური ფასეულობების კომპენსაცია, როგორცაა კომერციული საიდუმლოებები, კომერციული გამოცდილება და ა.შ. გარიცხული პარტნიორი უნდა გათავისუფლდეს საზოგადოების ვალებისაგან, მას

---

<sup>12</sup> ასევე წყვეტენ ამ საკითხს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის კომენტარების ავტორები, იხ. Комментарий части первой Гражданского кодекса Российской Федерации, М., 1995, стр.119.

<sup>13</sup> პუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.138.

უნდა გადაუხადონ ის, რასაც საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღებდა. მაგრამ გარიცხულ პარტნიორს არა აქვს გარანტიის მოთხოვნის უფლება (32.2 მუხლი).

საზოგადოების პარტნიორის გარიცხვა საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს საზოგადოების წესდებაში და რეგისტრაციას სასამართლო რეესტრში.

თავისებურებით ხასიათდება პარტნიორის გარიცხვა ორწევრიან საზოგადოებაში. სპს-დან პარტნიორის გარიცხვა გავლენას არ ახდენს საზოგადოების მთლიანობაზე, თუკი გარიცხვის შემდეგ საზოგადოებაში სულ ცოტა ორი პარტნიორი მინც რჩება. ორი წევრისაგან შემდგარი საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის დროს კი საზოგადოების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმავე დროულად საზოგადოებაში შემოვა ახალი პარტნიორი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოხდეს საზოგადოების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, რამდენადაც მხოლოდ ერთი პარტნიორის მონაწილეობით სპს-ის საქმიანობის გაგრძელება დაუშვებელია.

## §5. პარტნიორის გარდაცვალება

სპს-ში საზოგადოების კაეშირი პარტნიორების პიროვნებასთან გაცილებით თვალსაჩინოა, ვიდრე სხვა საზოგადოებებში, თუნდაც ასევე პერსონალური ბუნების მქონე კომანდიტურ საზოგადოებაში. ამიტომ სპს-ში კონკრეტული პარტნიორის პიროვნებას, მის უნარსა და პირად თვისებებს შესაძლოა, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს საზოგადოების არსებობისათვის. ასეთ შემთხვევაში ამ პარტნიორის გარდაცვალება შეიძლება საზოგადოების დაშლის საფუძველიც გახდეს.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი პარტნიორის გარდაცვალებას არ მიიჩნევს სპს-ის ლიკვიდაციის აუცილებელ საფუძველად და ეს არც იქნებოდა გონივრული. მაგრამ პარტნიორის გარდაცვალების საფუძველზე

ლიკვიდაციის შესაძლებლობა კანონის თანახმად არც წესდების შესაბამისი დანაწესის არსებობის შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუმცა ასეთ რეგულირებას ადგილი აქვს საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლის შემთხვევის მიმართ.

ვინაიდან როგორც გასვლის, ისე გარდაცვალების შემთხვევაში პარტნიორი აკლდება საზოგადოებას, ამიტომ პარტნიორის გარდაცვალება შესაძლებელია, სპს-ის არსებობის შეწყვეტის საფუძველიც გახდეს, ისევე, როგორც პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლა, თუკი ეს წესდებით იქნება გათვალისწინებული.

თუ პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში სპს-ის არსებობა ჩვეულებრივ გაგრძელდება, დადგება საკითხი შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების ხელახალი მოწყობისა და გარდაცვლილის წილის ბედის შესახებ. ამ საკითხების მოწესრიგება დამოკიდებულია იმაზე, დარჩა თუ არა გარდაცვლილ პარტნიორს შემკვიდრები. განვიხილოთ ეს შემთხვევები.

### *I. უმკვიდრო ქონების საკითხი*

შემკვიდრების სამართლის ნორმების თანახმად, თუ არც კანონით და არც ანდერძით შემკვიდრები არ არიან, ან არც ერთმა შემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა შემკვიდრეს ჩამოერთვა შემკვიდრების უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის ხაზინაზე (სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილი). განსხვავებულად წყდება წილის სახით არსებული უმკვიდრო ქონების საკითხი, კერძოდ, უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგრამ სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ზოგადი ნორმიდან სპს-ის მიმართ გამონაკლისის სახით მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით



დადგენილი სპეციალური ნორმა, რომლის შესაბამისად უმემკვიდრეოდ დარჩენილი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვლილი პარტნიორის წილი ემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს (33.1 მუხლი).

კანონი არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განაწილდეს გარდაცვლილის წილი დანარჩენ პარტნიორებზე. მართებული იქნება, წესდებაში შესაბამისი დათქმის არარსებობისას განაწილება მოხდეს თანაბრად, როგორც ეს იყო მიღებული რომის სამართალში წილთა კუთვნილი ოდენობის არცოდნის ან საეჭვოობის დროს. ამ შემთხვევაში წილი არ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში.

## *II. ურთიერთობა მემკვიდრეებთან*

განსხვავებულად წყდება საკითხი გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეების არსებობის შემთხვევაში. მემკვიდრეებს კანონი შესაძლებლობას აძლევს, დაიკავონ გარდაცვლილი პარტნიორის ადგილი საზოგადოებაში ან უარი განაცხადონ საზოგადოებაში მონაწილეობაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მემკვიდრეებმა საზოგადოებისაგან უნდა მიიღონ გარდაცვლილი პარტნიორის წილის კომპენსაცია.

ა. მემკვიდრეების მონაწილეობა საზოგადოებაში. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეს შეუძლია, გახდეს პარტნიორი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ე.წ. საყოველთაო კლაუზულას,<sup>14</sup> ე.ი. წესდების ასეთი დანაწესი უთანაბრდება სპეციალურ უფლებამოსილებას, რომლის ძალითაც საზოგადოებაში შემსვლელი მემკვიდრე იღებს პარტნიორის სტატუსს (33.5 მუხლი). ამ შემთხვევაში პარტნიორთა კრების თანხმობა საჭირო აღარ არის.

---

<sup>14</sup> ჰუეკი. დასახ. ნაშრ., გვ.132.

გარდაცვლილი პარტნიორის შენაცვლება მემკვიდრეებით უფრო ხელსაყრელია საზოგადოებისათვის, ვიდრე ასეთი შენაცვლების დაუშვებლობა, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაში მემკვიდრეთა საკომპენსაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საზოგადოების კაპიტალის შემცირება გავლენას იქონიებდა საზოგადოების ქონებრივ სტაბილურობაზე.

თუ საზოგადოების წესდება ითვალისწინებს გარდაცვლილი პარტნიორის შენაცვლებას მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მემკვიდრით (ე.წ. კვალიფიცირებული სამემკვიდრეო კლასუზუა),<sup>15</sup> ეს მემკვიდრე-პარტნიორი ვალდებულია, დანარჩენ მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია, თუმცა, კანონის შესაბამისად, საზოგადოების წესდება შესაძლებელია, არც ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას (33.5 მუხლი).

მემკვიდრე შესაძლებელია, თანახმა იყოს, გახდეს საზოგადოების შეუზღუდავად პასუხისმგებელი პარტნიორი, ან არ იყოს თანახმა იმის გამო, რომ ასეთი პასუხისმგებლობა დიდ ქონებრივ რისკთანაა დაკავშირებული. ამიტომ კანონი ითვალისწინებს გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეების ინტერესებს და აძლევს მათ არჩევანის საშუალებას. კერძოდ, მემკვიდრეს შეუძლია, შევიდეს საზოგადოებაში სოლიდარულად პასუხისმგებელ პარტნიორად ან მოითხოვოს კომანდიტის სტატუსი (33.2 მუხლი). ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო გახდება სპს-ის გარდაქმნა კომანდიტურ საზოგადოებად, რისთვისაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულმა კრებამ, თუკი წესდებით ეს საკითხი მოწესრიგებული არ არის (14.4 მუხლი). სპს-ში კომანდიტად შემსუვლებელი მემკვიდრის საკომანდიტო შენატანის ოდენობა განისაზღვრება მამკვიდრებლის საწევრო შენატანის იმ ნაწილით, რომელიც მას ხვდა წილად (33.2 მუხლის პირველი წინადადება).

---

<sup>15</sup> იქვე, გვ.132.

საზოგადოების ინტერესები მოითხოვს, რომ მემკვიდრეთა სტატუსი ღრულად იქნეს გარკვეული და მემკვიდრეებისაგან შესაბამისი განცხადების გაკეთება განუსაზღვრელად არ გაჭიანურდეს. ამასთან, აღნიშნული განცხადების დაუყოვნებლივ გაკეთება ხშირ შემთხვევაში გამოიწვევს მემკვიდრეთა მიერ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას, რაც, თავის მხრივ, იმოქმედებს სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობაზე. სწორედ ამიტომ კანონი მემკვიდრეების მიერ გადაწყვეტილების მიღებას ღროის გარკვეულ მონაკვეთს უკავშირებს, რომლის განმავლობაშიც მემკვიდრემ უნდა გააკეთოს არჩევანი კომანდითი პარტნიორისა და სოლიდარულად პასუხისმგებელი პარტნიორის სტატუსს შორის, ან საერთოდაც უარი თქვას საზოგადოებაში მონაწილეობაზე. კანონის შესაბამისად მემკვიდრემ განცხადება შეიძლება გააკეთოს სამი თვის ვადაში იმ მომენტიდან, როცა მან მემკვიდრეობა მიიღო (33.4 მუხლი).<sup>16</sup> სამოქალაქო კოდექსით სამკვიდროს მიღების ვადად განსაზღვრულია ექვსი თვე სამკვიდროს გახსნის დღიდან, ე.ი. პირის გარდაცვალების დღიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შედის ძალაში (1320-ე და 1424-ე მუხლები). მაშასადამე, სპს-ის გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეთა სტატუსის გამორკვევის ზღვრული ვადა შეადგენს სრულ ცხრა თვეს.

მემკვიდრე-პარტნიორის თაობაზე წესდებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია არ უნდა მოხდეს მემკვიდრე-პარტნიორის სტატუსის გარკვევამდე.

ვინაიდან მემკვიდრისათვის კომანდიტის სტატუსის მინიჭება იწვევს სპს-ის გარდაქმნას, ამიტომ მემკვიდრის მიერ განცხადების გაკეთების

---

<sup>16</sup> გერმანიის სავაჭრო კოდექსში ეს ვადა შეადგენს სამ თვეს იმ მომენტიდან, როდესაც მემკვიდრემ შეიტყო მემკვიდრეობის მიღების შესახებ (§139(3)). რუსეთის სამოქალაქო კოდექსი ასეთ ვადას არ განსაზღვრავს.

ვადასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 14.4 მუხლიც, რომელიც საზოგადოების გარდაქმნას შეეხება. ამ მუხლის შესაბამისად გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში, ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით.

როგორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს გარდაცვლილი პარტნიორის კუთვნილი ქონებრივი უფლება-მოვალეობების (სამკვიდრო აქტივისა და პასივის) მიღება მემკვიდრეების მიერ? სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო კანტორაში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო“. ამასთან, სამკვიდროს ნაწილის ფლობა მიიჩნევა სამკვიდროს მთლიანად მიღებად, რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს ეს სამკვიდრო და სადაც არ უნდა იყოს იგი. ე.ი. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ნოტარიული წესით მიღება ან სამკვიდრო ქონების ნაწილის ფლობა ნიშნავს მის მიერ საზოგადოებაში მამკვიდრებლის წილზე უფლების მიღებასაც.

სამოქალაქო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს იმ ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების მემკვიდრეობით გადაცემას, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს (1330-ე მუხლი). ამდენად, სპს-ის პარტნიორები ვერ გახდებიან ის მემკვიდრეები, რომელთა მამკვიდრებელიც საზოგადოების კაპიტალში თავისი პირადი შრომით ან ცოდნით მონაწილეობდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში გარდაცვლილი პარტნიორის ყოფნას საზოგადოებაში განაპირობებდა მისი პიროვნული თვისებები.

შესაძლებელია, მემკვიდრე, აგრეთვე, ფლობდეს ისეთსავე ცოდნასა და უნარს, როგორსაც – გარდაცვლილი პარტნიორი. ამ შემთხვევაში,

თუკი დანარჩენი პარტნიორები დააკმაყოფილებენ საზოგადოებაში მისი მოღების მოთხოვნას, ეს პირი საზოგადოების პარტნიორი შეიძლება გახდეს დამოუკიდებელ, და არა მემკვიდრეობის საფუძველზე და თავიდან განისაზღვროს მისი მდგომარეობა (ე.წ. შესვლის კლაუზულა).<sup>17</sup>

იმ შემთხვევაში, თუკი გარდაცვლილი პარტნიორის ადგილს საზოგადოებაში დაიჭერს რამდენიმე მემკვიდრე, მათ ექნებათ საზიარო უფლება მემკვიდრეების წილის მიმართ. მათ, აგრეთვე, შეუძლიათ მოითხოვონ წილის გაყოფა ყოველი მემკვიდრისათვის დამოუკიდებელი წილის გამოყოფის გზით.

---

<sup>17</sup> ჰუეკი, დასახ. ნაშრ., გვ.133.

## თავი მეექვსე

### სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

#### §1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძვლები

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით, ხოლო იურიდიული პირისათვის ასეთი გარდაცვალების ტოლფასი მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტია. ლიკვიდაცია წარმოადგენს სალიკვიდაციო ღონისძიებებისაგან შემდგარ რთულ პროცესს, რომელიც მიმართულია საზოგადოების არსებობის შეწყვეტისაკენ. ეს პროცესი გამოიხატება საზოგადოების ორგანიზაციული მოწყობის, მისი წარმოების თანმიმდევრული დაშლის ღონისძიებებში და ამ ორგანიზებული წარმონაქმნის სამართლებრივი სიცოცხლის თანდათანობით დასრულებას იწვევს.

სპს-ის ლიკვიდაციის სამართლებრივი საფუძვლები, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს როგორც საზოგადოების პარტნიორთა ნებაზე, ისე დადგეს მათი ნებისაგან დამოუკიდებლად. რამდენადაც ლიკვიდაცია საზოგადოების ბედს წყვეტს, ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობის გამო სპს-ის ლიკვიდაციის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები უნდა მივიჩნიოთ ამომწურავად. საზოგადოების წესდებაში ლიკვიდაციის სხვა საფუძვლების გათვალისწინება დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ეს არ არის აკრძალული კანონით და გამომდინარეობს მისი დისპოზიციური ნორმებიდან.

შეეხებით სპს-ის ლიკვიდაციის საფუძვლებს.

ა. იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც საზოგადოება შეიქმნა. განსაზღვრული ვადით შექმნილი სპს-ის არსებობის შეწყვეტის საფუძველია ამ ვადის გასვლა (კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 28 მუხლი). თუ

საზოგადოების პარტნიორები კვლავ აგრძელებენ საზოგადოების საქმიანობას ამ ვადის გასვლის შემდეგ და არ იწყებენ სალიკვიდაციო პროცესს, ამ შემთხვევაში ადგილს აქვს საზოგადოების გახანგრძლივებას. უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორები სპს-ის საქმიანობის ზღვრული ვადის დადგენას პრაქტიკაში ძალზე იშვიათად მიმართავენ.

ბ. პარტნიორთა გადაწყვეტილება. სპს-ის არსებობის შეწყვეტა პარტნიორთა მიერ, აგრეთვე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონით არის გათვალისწინებული (28 მუხლი). იგი ლიკვიდაციის საკვებით ბუნებრივი საფუძველია, რამდენადაც საზოგადოების დაფუძნებაც პარტნიორთა ნებითაა შესაძლებელი. პარტნიორთა შეთანხმება საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე გამოხატული უნდა იყოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ფორმით, რომელიც, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, ერთხმად იქნეს მიღებული. ასეთი გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა მიზეზმა შეიძლება განაპირობოს, მათ შორის, საზოგადოების საქმიანობის წარუმატებლობამ და ა.შ.

გ. საზოგადოების საგაკოტრებო წარმოების გახსნა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით სპს-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა ასევე საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძველია (28 მუხლი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული საზოგადოების გადარჩენის შესაძლებლობები და ლიკვიდაცია მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების გადარჩენა შეუძლებელია.

დ. სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში კანონი განასხვავებს ლიკვიდაციას პარტნიორის ან თავად სასამართლოს ინიციატივით.

კანონის შესაბამისად ყოველ პარტნიორს შეუძლია, მოითხოვოს სპს-ის ლიკვიდაცია, რისთვისაც შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს (29.1 მუხლი). ასეთი განცხადების გასაკეთებლად უნდა

არსებობდეს „მნიშვნელოვანი საფუძველი“. კანონით ასეთი საფუძველია ერთ-ერთი პარტნიორის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მასზე საზოგადოების წესდებით დაკისრებული არსებითი მოვალეობის დარღვევა ან მის მიერ ამგვარი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა (29.2 მუხლი). წესდებით პარტნიორზე დაკისრებული მოვალეობის დარღვევას შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ხელმძღვანელი-პარტნიორის მიერ საზოგადოების სახსრებისა და ფირმის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების, ბალანსის არაკეთილსინდისიერად შედგენის, საზოგადოების ნორმალური საქმიანობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში და ა.შ. წესდებით დაკისრებული მოვალეობის შესრულების შეუძლებლობას შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ხელმძღვანელი-პარტნიორის მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში, როდესაც იგი უუნაროა, გაუძღვეს საწარმოო საქმიანობას და ა.შ. ამ დროს გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საწარმოს მთლიანობის შენარჩუნების ინტერესებით. თუკი შესაძლებელია, რომ ლიკვიდაცია თავიდან იქნეს აცილებული, მართებულია, მიმართოს სათანადო საფუძველით პარტნიორის გარიცხვას და არა ლიკვიდაციას.

სასამართლოს ინიციატივით სპს-ის ლიკვიდაცია შესაძლებელია საზოგადოების წესდებაში სასამართლოს მიერ არსებითი ხარვეზების დადგენისას (5.7 მუხლი). ეს ხარვეზები არ უნდა იყოს დაკავშირებული რეგისტრაციის პირობებთან, რომელთა მიმართ კანონი გამოსწორების სამთვიან ვადას, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლისას რეგისტრაციის გაუქმებას ითვალისწინებს (5.8 მუხლი). რაც შეეხება წესდებაში არსებითი ხარვეზების დადგენას, ამ დროს სასამართლო ვალდებულია, „მოახდინოს საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია და მიუთითოს საფუძველი“. მაშასადამე, ამ დროს სასამართლო თავისი ინიციატივით იწყებს სალიკვიდაციო პროცესს. ერთგვარ შინაგან წინააღმდეგობას მოიცავს 5.7 და 5.8 მუხლების ურთიერთმიმართება. როდესაც საწარმო რეგისტრირებულია,



მაგრამ არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს არსებით ხარვეზს საზოგადოების წესდებაში. ამიტომ ზემოაღნიშნული მუხლები მართებულია, ითვალისწინებდეს ერთგვაროვან ღონისძიებებს: ან ლიკვიდაციას, ან რეგისტრაციის გაუქმებას.

ე. ხმათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტის მფლობელი პარტნიორების გამოსვლა. როგორც წესი, სპს-დან პარტნიორის გასვლა არ იწვევს საზოგადოების ლიკვიდაციას, მაგრამ თუკი გასული პარტნიორის (პარტნიორების) წილობრივი მონაწილეობა საზოგადოებაში ორმოცდაათ პროცენტზე მეტს შეადგენდა, ამ შემთხვევაში საზოგადოება ექვემდებარება ლიკვიდაციას (14.1.1 მუხლის შესაბამე წინადადება).

ვ. საზოგადოებაში ერთი პარტნიორის მონაწილეობა. სპს-ში ერთი პარტნიორის დარჩენა შეიძლება, გამოიწვიოს დანარჩენი პარტნიორის (პარტნიორების) გარდაცვალებამ, გასვლამ, გაკოტრებამ, გარიცხვამ. ამ შემთხვევაში საზოგადოების ლიკვიდაციას კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ ამის აუცილებლობა გამომდინარეობს სპს-ის ცნების იმ არსებითი ნიშნიდან, რომ საზოგადოებაში უნდა იყოს „რამდენიმე ფიზიკური პირი“ (20.1 მუხლი). სპს არ შეიძლება არსებობდეს როგორც ერთი პირის საზოგადოება, ამიტომ ყოველთვის, როდესაც საზოგადოებაში ერთი პარტნიორი რჩება, საზოგადოება ექვემდებარება ლიკვიდაციას მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დამაფუძნებელი ერთ-ერთი არსებითი ნიშნის – პარტნიორთა შემადგენლობის ნაკლის გამო. ნაცვლად ლიკვიდაციისა, საწარმოს შესანარჩუნებლად დარჩენილმა პარტნიორმა შეიძლება, მოახდინოს სპს-ის რეორგანიზაცია სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ, რომელშიც ერთი მონაწილის არსებობა დასაშვებია. რაც შეეხება ვადას, რომლის განმავლობაშიც სპს-ის დარჩენილმა პარტნიორმა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ასეთი შემთხვევის მიმართ შესაძლებელია,

გავრცელდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსწორების სამთვიანი ვადა.<sup>1</sup>

ზ. საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული შემთხვევა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს საზოგადოების ლიკვიდაციას სხვა შემთხვევებშიც, მაგრამ ასეთი დანაწესის არსებობა კანონის დისპოზიციური ნორმებიდან უნდა გამოძინდარიყოს. მაგალითად, შესაძლებელია, წესდება განსაზღვრავდეს საზოგადოების ლიკვიდაციას რამდენიმე პარტნიორის გასვლის შემთხვევაში (4.1.1 მუხლი), აგრეთვე, პარტნიორის გარდაცვალების, გარიცხვის, გაკოტრების შემთხვევებში.

## § 2. ლიკვიდაცია

### *I. ლიკვიდაციის პროცესი*

სპს-ის ლიკვიდაცია სამეწარმეო საზოგადოებათა ლიკვიდაციის საერთო საფუძვლების მიხედვით ხორციელდება, ამ საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის თავისებურებათა გათვალისწინებით. სპს-ის ლიკვიდაცია ნიშნავს საზოგადოების დაშლისა და ვალდებულებებისაგან განთავისუფლების რთულ პროცესს, რომელიც წინ უსწრებს საზოგადოების უფლებუნარიანობის შეწყვეტას და მას განაპირობებს. სხვაგვარად, ლიკვიდაცია არის აუცილებელი პროცესი, რომელიც მომაკვდავმა საზოგადოებამ უნდა გაიაროს. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც აღნიშნულს შესაძლოა, ადგილი არ ჰქონდეს, არის ლიკვიდაცია გაკოტრების საფუძველზე, როდესაც გაკოტრების საქმის წარმოება იმავე ღონისძიებებს მოიცავს. რასაც ლიკვიდაცია და ნაწილობრივ ცვლის ამ უკანასკნელს.

---

<sup>1</sup> რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ამ შემთხვევაში ადგენს ექვსთვიან ვადას იმ მომენტიდან, როცა პარტნიორი საზოგადოების ერთადერთი მონაწილე აღმოჩნდება (მუხ.81).

ლიკვიდაციის პროცესი მდგომარეობს მთელი რიგი მოქმედებების თანმიმდევრულ განხორციელებაში, რაც ლიკვიდაციის მიზანს – საზოგადოების უფლებაუნარიანობის შეწყვეტას ემსახურება. ესენია:

ა. საზოგადოების კრედიტორთა სასარგებლოდ ვალდებულებების შესრულება;

ბ. საზოგადოების მოვალეებისათვის პრეტენზიების წაყენება;

გ. საზოგადოების დარჩენილი ქონების ფულადი სახით გამოხატვა;

დ. ფულადი სახით გამოხატული საზოგადოების დარჩენილი ქონების განაწილება პარტნიორთა შორის. საგულისხმოა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა, ჩაითვლება თუ არა ეს უკანასკნელი სალიკვიდაციო პროცესის დამსრულებელ ღონისძიებად, რის შესახებაც საუბარი შემდგომ გვექნება.

სალიკვიდაციო პროცესის განმავლობაში საზოგადოება განაგრძობს არსებობას ადრინდელი საფირმო სახელწოდებით,<sup>2</sup> თუმცა რამდენადმე იცვლება მისი საქმიანობის მიზანი – ექვემდებარება ლიკვიდაციის მიზნებს, რის გამოც იგი, როგორც სამეწარმეო საზოგადოება, სალიკვიდაციო საზოგადოებად იქცევა.<sup>3</sup> მართალია, ამ პერიოდში საზოგადოება არა მარტო ლიკვიდაციის დაწყებამდე წარმოშობილ ვალდებულებებს ასრულებს, არამედ ახალ გარიგებებსაც ღებს, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს იმ ფარგლებში და იმ მოცულობით, რაც ლიკვიდაციის მიზნებისათვის არის საჭირო. სხვაგვარად, გ. შერშენევიჩის ხატოვანი თქმით, ლიკვიდაციის პერიოდში საზოგადოება, როგორც მომაკვდავი, უნაროა ახალი ცხოვრებისეული პროცესებისადმი და მოიხმარს მხოლოდ

---

<sup>2</sup> გერმანიის სვაჭრო კოდექსი ამ შემთხვევაში მოითხოვს საფირმო სახელწოდებაზე შესაბამისი დამატების დაროვას, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოება იმყოფება ლიკვიდაციაში (§153).

<sup>3</sup> Hueck, Gesellschaftsrecht, München, 1991, S.144.

იმას, რაც აუცილებლად სჭირდება ცხოვრების დასრულებამდე.<sup>1</sup>

ამა თუ იმ საზოგადოების შეურნეობისა და ორგანიზაციის დაშლის თავისებურებების გათვალისწინებით ლიკვიდაცია შეიძლება, იყოს როგორც ხანმოკლე, ისე – გრძელვადიანი, ხანგრძლივი პროცესი. ამიტომ, სრულად მართებულად, ჩვენი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ლიკვიდაციის ვადას, ისევე, როგორც გაკოტრების საქმის წარმოების ვადას.

## II. ლიკვიდაციის წესი

სპს-ის სალიკვიდაციო პროცესი იწყება ლიკვიდაციის სათანადო საფუძვლის არსებობისას, შესაბამისად – პარტნიორების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. ლიკვიდაციის განსაზოგადოებლად და სალიკვიდაციო მოქმედებების შესასრულებლად საზოგადოებას სჭირდება ამისათვის უფლებამოსილი პირები – ლიკვიდატორები.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად ლიკვიდატორების დანიშვნა შესაძლებელია როგორც პარტნიორების, ისე – სასამართლოს მიერ. როგორც წესი, ლიკვიდატორებად ინიშნებიან საზოგადოების ხელმძღვანელები, რამდენადაც ისინი ჩახედულნი არიან საზოგადოების მართვის საკითხებში, კარგად ერკვევიან საზოგადოების საწარმოო საქმიანობის თავისებურებებში და მესამე პირებისთვისაც ცნობილნი არიან.

კანონი მოითხოვს ლიკვიდატორების დანიშვნას (14.2 მუხლი), მაშასადამე, მათ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ხელმძღვანელები, მაინც სჭირდებათ დანარჩენი პარტნიორებისაგან სპეციალური რწმუნება ლიკვიდაციის განხორციელებაზე.

კანონი არ ითვალისწინებს პარტნიორების მიერ ლიკვიდატორად არაპარტნიორის დანიშვნას. ბევრ ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული ლიკვიდატორებად არაპარტნიორის, მაგალითად, კრედიტორის ნდობით

---

<sup>1</sup> Г.Ф.Шершеневич, Курс торгового права, т.1, С-ПТ., 1908, стр.356.

აღჭურვილად ხარის მოწვევა. ასეთ ლიკვიდატორებს საკორპორაციო სამართალში „არჩევით ლიკვიდატორებს“ უწოდებენ.<sup>5</sup>

თუ რომელიმე პარტნიორი არ ეთანხმება საზოგადოების მიერ დანიშნული ლიკვიდატორის კანდიდატურას და ამისათვის აქვს მნიშვნელოვანი საფუძველი, მისი შუამდგომლობის საფუძველზე ლიკვიდატორები შეიძლება, დანიშნოს სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც სას-ს აქვს ადგილსამყოფელი (14.2 მუხლის მეორე წინადადება). სასამართლოს შეუძლია, ლიკვიდატორებად დანიშნოს ის პირებიც, რომლებიც არ არიან საზოგადოების ხელმძღვანელები.

ლიკვიდატორები ახორციელებენ საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებებს ლიკვიდაციის პროცესში. ამიტომ, თუკი ისინი საზოგადოების დირექტორები არ არიან, რეგისტრირებულნი უნდა იქნენ სამეწარმეო რეესტრში. რამდენიმე ლიკვიდატორის არსებობის შემთხვევაში ადგილი ექნება წარმოების ერთობლივ გაძლოლასა და ერთობლივ წარმომადგენლობას, რამდენადაც მათ სალიკვიდაციო მოქმედებები უნდა აწარმოონ ერთობლივი ხელმოწერით (14.2 მუხლის პირველი წინადადება). ლიკვიდატორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ ისეთივე გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელები. საკუთარი მოქმედებებით პარტნიორებისათვის მიყენებული ზიანისთვის მათი პასუხისმგებლობაც ისევე განისაზღვრება, როგორც ხელმძღვანელების მიმართ, კანონის 9.7 მუხლის მიხედვით (14.2 მუხლის მეათე წინადადება). მაგრამ, განსხვავებით ხელმძღვანელებისაგან, ლიკვიდატორების უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ სალიკვიდაციო პროცესის საჭიროებებით და, ამდენად, უფრო შეზღუდულია. ლიკვიდატორები უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ მხოლოდ ის მოქმედებები, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ

---

<sup>5</sup> პუეი. დასახ. ნაშრ., გვ.144.

უკავშირდება სალიკვიდაციო მოთხოვნებთან შესრულებას. მათ მიერ დადებული ყველა გარიგება, რომელიც არაა დაკავშირებული სალიკვიდაციო პროცესთან, რჩება მათი პირადი პასუხისმგებლობის რისკზე.

პირველი, რაც ლიკვიდატორებს დანიშნისთანავე მოეთხოვებათ, ესაა ბალანსის შედგენა. თუ ბალანსის საფუძველზე დგინდება საზოგადოების ზედავალიანება, ლიკვიდატორები ვალდებული არიან, ამის თაობაზე აცნობონ სასამართლოს, რომელიც შემოწმებს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საკითხს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

თუ ბალანსიდან არ გამოძინარეობს საზოგადოების ზედავალიანება, ლიკვიდატორები უნდა შეუდგნენ საზოგადოების მიმდინარე საქმეების დამთავრებას. მათ უნდა იზრუნონ საზოგადოების ვალდებულებების შესრულებისათვის, რისთვისაც ცნობილ კრედიტორებს საეციალური შეტყობინებით უნდა აცნობონ საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და მათ, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, – საჯარო განცხადებით და მოიწვიონ ისინი პრეტენზიების განცხადებისათვის. პუბლიკაციის მეშვეობით გამოძახებულ უნდა იქნენ საზოგადოების მოვალეებიც. ამ მიზნით საჯარო პუბლიკაცია აუცილებელია, სამჯერ მაინც გაკეთდეს (14.3 მუხლის შესაბამისად წინადადება). ლიკვიდატორებმა მოვალეებს უნდა მოსთხოვონ საზოგადოების დრომოსული ვალდებულებების შესრულება, მიიღონ ასეთი შესრულება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.

კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ საზოგადოების ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ხარჯზე; გარდა ამისა, კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ლიკვიდატორებს შეუძლიათ, თავისუფლად გაყიდონ საზოგადოების აქტივები. თუკი ცნობილი კრედიტორები არ განაცხადებენ თავიანთ მოთხოვნებს, ამ მოთხოვნების

ღირებულება სასამართლოსგან უნდა იქნეს დეკონირებული. ასევე დეკონირებულ უნდა იქნეს საზოგადოების სადავო ვალდებულებებისა და იმ ვალდებულებების შესაბამისი ღირებულება, რომელთა შესრულების ვადა ვერ არ დამდგარა. დეკონირება არ მოხდება, თუკი კრედიტორებისთვის წარდგენილ იქნება თანაბრად ღირებული გარანტია ან საზოგადოების ქონების განაწილება შეჩერდება ამ ვალდებულებათა შესრულებამდე (14.3 მუხლის მეექვსე აბზაცი).

იმის გამო, რომ სპს-ის პარტნიორები სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების ვალდებულებებზე, საზოგადოების სახსრების უკმარისობის შემთხვევაში კრედიტორებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიმართონ პარტნიორებს. პარტნიორის შეგებებული მოთხოვნის მიმართ შესაბამისად გამოიყენება კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული წესები.

ლიკვიდატორები წარმართავენ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებს. მათ უნდა დაამთავრონ სასამართლო საქმეები, დაასრულონ დავები, ხოლო თუ საჭიროა, დადონ ახალი გარიგებებიც. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მათ ყოველწლიურად უნდა შეადგინონ შუალედური ბალანსები, რომლებიც ასახავს საზოგადოების ქონების მდგომარეობას მოცემული პერიოდისათვის, აჩვენებს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგს. ლიკვიდაციის პერიოდში არ გამოიყენება წესები პარტნიორთა მიერ საზოგადოების სალაროდან საკუთარი ხარჯებისათვის ფულის გამოტანის შესახებ (14.3 მუხლის მეშვიდე აბზაცი).

### *III. საზოგადოების ქონების განაწილება*

საზოგადოების ქონების ვალებისაგან გათავისუფლების შემდეგ ლიკვიდატორებმა უნდა შეადგინონ საბოლოო ბალანსი, რომლის საფუძველზეც დარჩენილი ქონება განაწილდება პარტნიორთა შორის.

განაწილება შესაძლებელია, თუკი საბოლოო ბალანსით აქტივი აღემატება პასივს. პარტნიორთა შეთანხმებით გასანაწილებელი ქონება შეიძლება მისი რეალიზაციის მეშვეობით გამოიხატოს ფულადი სახით ან განაწილდეს ნატურით. განაწილება მოხდება პარტიორების მიერ გაღებული თანხებისა და მათ წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად. თუ საზოგადოების წესდება განაწილების სხვა წესს არ ითვალისწინებს, მაგალითად, ქონების გამოყენებას საქველმოქმედო მიზნებისათვის და ა.შ.

საზოგადოების ქონება ვალებისაგან გათავისუფლებულად შეიძლება ჩაითვალოს და, შესაბამისად, დარჩენილი ქონება შეიძლება განაწილდეს მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა მოვალეები პუბლიკაციის მეშვეობით მესამედ იქნენ გამოძახებული (14.3 მუხლის მესამე წინადადება). განაწილება შეიძლება მოახდინოს სასამართლომ ერთი წლის გასვლამდეც, თუკი, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს (14.3 მუხლის მეოთხე წინადადება). მაგალითად, საზოგადოებას არ ჰყავს კრედიტორები ან ისინი უკვე დაკმაყოფილებულნი არიან.

სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან. მაგრამ, რა უნდა მივიჩნიოთ ლიკვიდაციის დამასრულებელ მოქმედებად: საზოგადოების ვალებისაგან გათავისუფლება, თუ მისი ქონების განაწილება პარტნიორთა შორის? ამ საკითხს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი პირდაპირ არ პასუხობს. ამ საკითხზე არც იურიდიულ მეცნიერებაშია ერთმნიშვნელოვანი აზრი და არც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებობს ერთგვაროვანი მოწესრიგება.

პარტნიორთა შორის საზოგადოების ქონების განაწილებას სალიკვიდაციო პროცესის შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევა გ. შერშენევიჩი



და მას ლიკვიდაციის მიზანთან აიგივებდა.<sup>6</sup> რუსეთის ფედერაციის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის კომენტარების ავტორებიც ამავე თვალსაზრისს იზიარებენ.<sup>7</sup> ამის საწინააღმდეგოდ, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ მხოლოდ საზოგადოების ქონების განაწილების დასრულებას მოსდევს საზოგადოების არსებობის შეწყვეტა.<sup>8</sup>

ლიკვიდაციის მიზანია არა საზოგადოების ქონების განაწილება პარტნიორთა შორის, არამედ – საზოგადოების უფლებაუნარიანობის შეწყვეტა. საზოგადოების ქონების საბოლოო მდგომარეობით აქტივები შესაძლებელია, არც აღმატებოდეს პასივს და ასეთ შემთხვევებში გამოდის, რომ ლიკვიდაციის მიზანი ყოველთვის არ შეიძლება მიღწეულ იქნეს, მაშასადამე, ლიკვიდაციის პროცესის განხორციელება უშედეგოდ დამთავრდეს. სწორედ საზოგადოების უფლებაუნარიანობის შეწყვეტისკენა მიმართული მთლიანი სალიკვიდაციო პროცესი, ხოლო პარტნიორთა შორის ქონების განაწილება უნდა მივიჩნიოთ ამ პროცესის დამამთავრებელ წინარე ღონისძიებად, რასაც საზოგადოების ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაცია მოსდევს.

პარტნიორთა შორის საზოგადოების ქონების განაწილებით მთავრდება ლიკვიდაციის პროცესი, რაც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში. ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან წყდება სას-ის უფლებაუნარიანობა. საზოგადოების უფლებები და მოვალეობები არ გადაეცემა სხვა პირს. ამის შემდეგ საზოგადოებისადმი ყოველგვარი სარჩელის წაყენება, მოქმედების არარსებობის გამო, შეუძლებელი ხდება.

---

<sup>6</sup> შერშენევიჩი. დასახ. ნაშრ., გვ.359.

<sup>7</sup> Комментарий части первой Гражданского кодекса Российской Федерации. М., 1995, стр.97, თუმცა კოდექსი ამას პირდაპირ არ ითვალისწინებს; Е. В. Богданов, Сущность и ответственность юридического лица. Государство и право, 1997, №10, стр.99.

<sup>8</sup> Франк Плессе, Право торговых товариществ. Основы немецкого торгового и хозяйственного права, М., 1995, стр.32.

### §3. რეორგანიზაცია

სპს-ის რეორგანიზაცია, ისევე როგორც მისი ლიკვიდაცია, ხორციელდება სამეწარმეო საზოგადოებების რეორგანიზაციის საერთო წესების საფუძველზე, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც ამ საზოგადოების სამართლებრივ ფორმას ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში რეორგანიზაცია, როგორც ლიკვიდაცია, საზოგადოების არსებობის შეწყვეტას იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევაში მას თან ახლავს უფლებამონაცვლეობა – იმ საზოგადოების უფლებები და მოვალეობები, რომლის არსებობაც წყდება, გადადის ახლად შექმნილ ან უკვე არსებულ სხვა საზოგადოებაზე – მის უფლებამონაცვლეზე.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი განასხვავებს რეორგანიზაციის რამდენიმე ფორმას: გარდაქმნას, შერწყმას, გაყოფას.

#### *I. გარდაქმნა*

სპს-ის რეორგანიზაცია გარდაქმნის გზით გულისხმობს მის საფუძველზე სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს შექმნას. სპს-ის გარდაქმნა კომანდიტურ საზოგადოებად ან კაპიტალურ საზოგადოებად შესაძლოა, განპირობებული იყოს პარტნიორთა სურვილით, შეზღუდონ პასუხისმგებლობის რისკის მოცულობა თავიანთი შენატანის ფარგლებში. გარდა ამისა, გარდაქმნა შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების საქმიანობის მოცულობის გაფართოების მოთხოვნილებამ და ამისათვის პარტნიორებს ესაჭიროებოდეთ დამატებითი კაპიტალი, რომლის მიზიდვის საშუალებასაც ნაკლებად იძლევა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება პარტნიორთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის არსებობის გამო, მეტად – კომანდიტური საზოგადოება საგარანტიო თანხის ფარგლებში კომანდიტის პასუხისმგებლობის შესაძლებლობით, ხოლო უფრო მეტად – ყველა პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის არსებობა შეზღუდული პასუხისმგებლობისა და

განსაკუთრებით – სააქციო საზოგადოებაში, აქციონერების, მათ შორის, „ანონიმი“ აქციონერების მოწვევის გზით ბაზარზე აქციების გაშვების შედეგად. კომანდიტურ საზოგადოებად სპს გარდაიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილი პარტნიორის შემკვიდრე აღნიშნულ საზოგადოებაში კომანდიტის სტატუსით შედის.

ინდივიდუალურ საწარმოდ გარდაქმნა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი. როდესაც სპს-ში რჩება მხოლოდ ერთი პარტნიორი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ ოდენობას.

სპს-ის გარდაქმნა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად შეიძლება, განაპირობოს სხვა გარემოებებიც: პარტნიორთა შორის ნდობის დაკარგვამ, საზოგადოების საქმიანობაში პირადად მონაწილეობის შეუძლებლობამ და ა.შ.

გარდაქმნას კანონი ითვალისწინებს წილობრივი ურთიერთობების და საზოგადოების საქმიანობის საგნის შენარჩუნებით (14.4 მუხლის პირველი წინადადება). კანონის ეს მოთხოვნა დაცული უნდა იყოს გარდაქმნის პროცესში. გარდაქმნის შემდეგ პარტნიორებს, რასაკვირველია, შეუძლიათ, შეცვალონ როგორც საზოგადოების საქმიანობის საგანი, ისე – წილობრივი ურთიერთობები, წესდებაში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით.

სპს-ის გარდაქმნის გადაწყვეტილება პარტნიორებმა ერთხმად უნდა მიიღონ (14.4 მუხლის ბოლო წინადადება), განსხვავებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისაგან, სადაც გარდაქმნის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმების საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობა.

ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში კანონი მოითხოვს

გარკვეული ვადის დაცვას. კერძოდ, გარდაქმნა დაიშვება მხოლოდ სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში, ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით (14.4 მუხლის მეორე წინადადება).

გარდაქმნილი სპს-ის აქტივებისა და პასივების მოცულობის დასადგენად უნდა შედგეს გარდაქმნის ბალანსი. მასში აქტივების შეტანა შესაძლებელია როგორც ძველი საბალანსო ღირებულებით, ისე – საბაზრო ღირებულებით, რაც, კანონის თანახმად, უნდა განხორციელდეს აუდიტორის შეფასების საფუძველზე. სპს-ის გარდაქმნის გზით შექმნილი საზოგადოება წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს. ამდენად, მასზე გადადის ადრინდელი სპს-ის ყველა უფლება-მოვალეობა, ხოლო სპს-ის პარტნიორებზე ვრცელდება პრეტენზიების ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა ადრინდელი სპს-ის ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე სოლიდარული პასუხისმგებლობისათვის.

## *II. შერწყმა*

შერწყმა რეორგანიზაციის ისეთი შემთხვევაა, როდესაც ხდება ორი ან მეტი საზოგადოების გაერთიანება. საზოგადოების ამგვარი გაერთიანება შესაძლოა, განხორციელდეს ორი ფორმით: მიერთებით და შეერთებით. მიერთების დროს საზოგადოებას, რომელიც არ წყვეტს არსებობას და არც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას იცვლის, უერთდება ერთი ან რამდენიმე საწარმო, რომელთა არსებობა წყდება მიერთების მომენტიდან. შეერთების შემთხვევაში ხდება რამდენიმე საწარმოს გაერთიანება ერთ ახალ საზოგადოებად, რაც გაერთიანებული საწარმოების არსებობის შეწყვეტას იწვევს. შერწყმის საფუძველზე შექმნილი საზოგადოება წარმოადგენს ადრინდელი საზოგადოების (საზოგადოებების) უფლებამონაცვლეს (14.5 მუხლის ბოლო წინადადება).

სპს შეიძლება მიუერთდეს (შეუერთდეს) სხვა საზოგადოებას (საზოგადოებებს) ან თავად მიერთოს ისინი, რაც შეეხება ინდივიდუალურ

საწარმოს, შესაძლებელია მხოლოდ მისი მიერთება (შეერთება) სპს-თან. რამდენიმე საზოგადოების შეერთებისას ახალი საზოგადოების დამფუძნებლებად გამოვლენ მათი პარტნიორები.<sup>9</sup>

გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ, ისევე როგორც გარდაქმნის შემთხვევაში, სპს-ის პარტნიორთა ძირითადი მიზეზი უნდა იქნეს ერთხმად (14.5 მუხლის მეორე წინადადება). გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს შერწყმის კონკრეტული ფორმა და განისაზღვროს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა. შერწყმის შემთხვევაში უნდა შედგეს შერწყმის სპეციალური ბალანსი. მასში აქტივების შეტანა შესაძლებელია ძველი საბალანსო ღირებულებით, ხოლო თუ ადგილი ექნება გადახვევებს საბალანსო ღირებულებიდან, იგი უნდა დაზუსტდეს აუდიტორის შეფასების საფუძველზე (14.5 მუხლის მეორე წინადადება). ბალანსმა უნდა მოიცვას შერწყმული სპს-ის ვალდებულებათა მთელი კომპლექსი, მათ შორის, რომელთა შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, აგრეთვე, სადავო ვალდებულებები.

კანონის შესაბამისად შერწყმა, ისევე როგორც გაყოფა, დაიშვება მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით (14.7 მუხლი), მამასადამე, წლიური ანგარიშის შედგენამდე ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ამ ანგარიშის შედგენის დღისა.

გარკვეულ შეზღუდვებს უკავშირდება ისეთი საზოგადოების გაერთიანება სხვა მეწარმე სუბიექტთან, რომელსაც ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა აქვს. კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და

---

<sup>9</sup> ზოგიერთი ავტორი აცნობს საკითხს ამ შემთხვევაში დამფუძნებლებად შესარწყმული იურიდიული პირების მიწვევის შესახებ. იხ. С. Зинченко, В. Лапач, Б. Газарян, Парадоксы правосубъектности предприятий. Хозяйство и право, 1995, №1, стр.75-87. საწინააღმდეგო შეზღუდვების თაობაზე იხ. А. Коровайко, Реорганизация юридических лиц: проблемы правового регулирования. Хозяйство и право, 1996, №11, стр.77-80.

კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი სხვა სუბიექტთან გაერთიანებისას ვალდებულია, რეგისტრაციისათვის გაიაროს ანტიმონოპოლიური ექსპერტიზა.<sup>10</sup> ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში საზოგადოების რეგისტრაცია არ დაიშვება.

შეერთების შემთხვევაში სპს-ის არსებობა შეწყდება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები (უფლება-მოვალეობათა გადაცემა) წარმოიშობა ახლად შექმნილი საწარმოს რეგისტრაციის მომენტიდან. რაც შეეხება შემოერთებას, ამ შემთხვევაში შეერთებული სპს-ის საქმიანობა შეწყდება რეგისტრაციის მომენტიდან.<sup>11</sup>

### *III. გაყოფა*

რეორგანიზაცია გაყოფის გზით ნიშნავს საზოგადოების დაყოფას რამდენიმე დამოუკიდებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოდ, ისე, რომ თავად ეს საზოგადოება წყვეტს არსებობას (დაყოფა), ან საზოგადოებიდან დამოუკიდებელი საწარმოს (საწარმოების) გამოყოფას ამ საზოგადოების არსებობის შენარჩუნებით (გამოყოფა). ისევე, როგორც სხვა სამეწარმეო საზოგადოებების გაყოფა, სპს-ის გაყოფაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუკი მის შემადგენლობაში რამდენიმე ორგანიზაციულად განცალკევებული საწარმოო ერთეულია,

---

<sup>10</sup> პარლამენტის უწყებანი, 1996, №22-23.

<sup>11</sup> ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვთ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის კომენტარების ავტორებს. ისინი რეორგანიზაციის შემთხვევაში უფლებებისა და მოვალეობების გადაცემის მომენტად თვლიან გადაცემის აქტისა და გაყოფის ბალანსის ხელმოწერისა და დამტკიცების თარიღს. იხ. Комментарии к Гражданскому кодексу Российской Федерации, под ред. О. Садикова, М., 1995, стр.96.

რომელთაც აქვთ საკუთარი საქმიანობის სფერო. ამიტომ კანონი ასეთ რეორგანიზაციას სხვაგვარად ნატურით გაყოფას უწოდებს (14.6 მუხლის პირველი წინადადება). ნატურით გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ნატურით გაყოფილ საწარმოში ადრინდელი პარტნიორები მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე (14.6 მუხლის მეოთხე წინადადება).

ნატურით გაყოფა დასაშვებია როგორც საბალანსო, ისე საბაზრო ღირებულებით. აუდიტორის შეფასების საფუძველზე. გაყოფის ბალანსმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელ საწარმოზე რა უფლება-მოვალეობები გადადის.

შერწყმის ანალოგურად. ნატურით გაყოფაც უნდა განხორციელდეს ექვსი თვის განმავლობაში წლიური ანგარიშის შედგენის დღიდან.

დაყოფის შემთხვევაში სპს-ის არსებობა შეწყვეტილად უნდა მკვიჩნიოთ ახლად შექმნილი საწარმოების რეგისტრაციის მომენტიდან.

## ნაშრომში დამოწმებული ლიტერატურა

გუგუშვილი პაატა, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1941.

მესხია შოთა, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბილისი, 1983.

ცისკაძე მარიამი. სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი. სერგო ჯორბენაძე, 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996.

ჭანტურია ლადო, ნინიძე თეოდ. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002.

ჭანტურია ლადო, კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში. სერგო ჯორბენაძე, 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996.

ჭანტურია ლადო. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997.

ჯავახიშვილი ივანე. ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, მე-2 წიგნი, თბილისი, 1984.

ჯაფარიძე სერგი, სავაჭრო სამართალი. ტფილისი, 1925.

ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი I. თბილისი, 1992.

მართლმსაჯულება საქართველოში, 2000 წლის სტატისტიკა. თბილისი, 2001.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ტფილისი, 1925.



საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21-22.

პარლამენტის უწყებანი, 1996, №22-23.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2002, №9, ნაწ. I.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ნაწ. I, 2000, №1-12.

Lindley. On the Law of Partnership, fourteenth edition by Ernest H. Scamell and R. C. Mansorn Banks, London, 1979.

Swedish law, a survey. Stockholm, 1994.

Bokelmann, Das Recht der Firmen - und Gesellschaftsbezeichnungen, 3 Aufl., 1986.

W. Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Berlin, 1977.

Hueck Alfred, Das Recht der offenen Handelsgesellschaft, 4. Aufl., 1971.

Hueck Götz. Gesellschaftsrecht. München, 1991.

Kübler Friedrich, Gesellschaftsrecht, Heidelberg, 1990.

Lehman/Deitz, Gesellschaftsrecht, 3. Aufl. 1970.

Reinhardt/Schultz, Gesellschaftsrecht, 2. Aufl. 1981.

Schmidt, Karsten, Gesellschaftsrecht, Köln. Berlin ... 1991.

Wiesner, Die Lehre von der fehlerhaften Gesellschaft, 1980.

Богатых Е., Гражданское и торговое право, ч. I, М., 1996.

- Богданов Е. В., Сущность и ответственность юридического лица. Государство и право, 1997. №10.
- Братусь С. Н., Юридические лица в советском гражданском праве, М., 1974.
- Н. Вавин, Юридические лица в товарищеских объединениях. Право и жизнь. М., 1925, кн. 4-5.
- Вормс А. Э., Данилова Э. Н., Источники торгового права. М., 1919.
- Вольф В. Ю., Основы учения о товариществах и акционерных обществах, М., 1927.
- Герваген Л., Теория общественных союзов. Юридический вестник. т. VIII, М., 1891.
- Германское право. ч. II, М., 1996.
- Гинцбург Л., К вопросу о хозяйственном кодексе СССР. Вопросы советского хозяйственного права. М., 1933.
- Гражданское и торговое право капиталистических государств, т. I, М., 1983.
- Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран, М., 1986.
- Гражданский кодекс Российской Федерации, часть первая, отв. ред. Т. Е. Абова, А. Ю. Кабалкин, В. П. Мозолин, М., 1996.
- Дювернуа Н. Л., Из курса лекций по гражданскому праву (учение о лицах). С-ПТ., 1895.

Зинченко С., Лапач В., Газарян Б., Парадоксы правосубъектности предприятий. Хозяйство и право. 1995, №1.

Жалинский А., Рерихт А.. Введение в немецкое право, М., 2001.

Жюльено де ла Морандьер. Гражданское право Франции. М., 1958.

Каминка А. И.. Очерки торгового права. С-ПТ., 1911.

Каминка А. И.. Основы предпринимательского права. Петроград. 1917.

Карасс А.. О возможных формах объединения юридических лиц. Еженедельник Советской Юстиции. 1923, №49.

Кашанина Т. В., Хозяйственные товарищества и общества: правовое регулирование внутрифирменной деятельности. М., 1995.

Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации. отв. ред. О. Садиков. М., 1995.

Комментарий части первой гражданского кодекса Российской Федерации для предпринимателей, М. Брагинский, В. Витрянский, В. Звеков, Е. Суханов, К. Ярошенко, М., 1995.

Коммерческое право, ч. 1, под ред. В. Попондопуло, И. Яковлевой. М., 1996.

Коровайко А., Реорганизация юридических лиц: проблемы правового регулирования. Хозяйство и право, 1996, №11.

Ласк Г.. Гражданское право США, 1961.

Ландкоф С. Н.. Товарищества и акционерные общества, Харьков, 1926.

Май С. К., Очерк общей части буржуазного обязательственного права, М., 1953.

Никонов С. П., Юридическая природа торговых и промышленных предприятий по русскому праву, Петроград, 1917.

Новицкий И. Б., Римское право, М., 1994.

Плессе Ф., Право торговых товариществ. Основы немецкого торгового и хозяйственного права, М., 1995.

Победоносцев К., Курс гражданского права, ч.3. С-ПТ., 1880.

Разъяснения Отдела Законодат. Предпол. и Кодификации НКЮ. Еженедельник Советской Юстиции. 1924, №17.

Свод английского гражданского права, М., 1941.

Советское хозяйственное право, под ред. Даниловой, Перетерского и Раевича, М., 1926.

Суворов Н., Об юридических лицах по римскому праву, М., 1900.

Удницев В. А., История обособления торгового права, Кнев, 1900.

Удницев В., Русское торгово-промышленное право, Баку, 1923.

Фишелевич О., Возможен ли договор товарищества между юридическими лицами? Еженедельник Советской Юстиции. 1923, №40.

Щершеневич Г. Ф., Курс торгового права, т.1. С-ПТ., 1908.

Эннексерус Л., Курс германского гражданского права, т.1. полутом 1, М., 1949.

Av. Guntekin Yazgan, Hukuk, Istanbul, 1988, S.268.